
სკოლამდელი აღზრდელთათვის
ფასიქოლოგიათა სწავლება
და
აქტივობათა ნიმუშები



ბათუმი - 2016

მთარგმნელი:

გელა გოგიტიძე

უშანგი ბოლქვაძე

მთავარი რედაქტორი:

ზურაბ მიქელაძე

თეოლოგიური რედაქტორი:

გელა გოგიტიძე

უშანგი ბოლქვაძე

კორექტორი:

ადამ შანთაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

უშანგი ბოლქვაძე

თარგმნილია:

«Okul öncesi degerler eğitimi ve faliyet örnekleri» Nigâr Büşra BAHÇECİ

ISBN:

978-9941-0-8429-4

წიგნი გამოცემულია საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაციის მიერ, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ინიციატივით.

ერქამის გამომცემლობა: 2016 - წელი

სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის ფასეულობათა სწავლება და აქტივობათა ნიმუშები

საქართველოს ახალგაზრდობაზე დაბალანსებული პოლიტიკის ასოციაცია
AGY
ASSOCIATION OF AID FOR GEORGIAN YOUTH

სარჩევი

ღირებულებების სწავლების შესავალი / 13

1. ხედვა ღირებულებების სწავლების მიმართ **14**

2. ღირებულებების სწავლების პრინციპები **16**

ა. თანმიმდევრულობა 16

ბ. სიყვარული 17

გ. ცოდნის დონის შეფასება 19

დ. ჯილდოსა და დასჯის ზღვარი (სამართლიანობა) 20

ე. დისციპლინა 21

ვ. ინდივიდუალურობა 23

ზ. გულწრფელობა 23

დროის ფაქტორი და მთლიანობა 24

სამაგალითოობა 24

3. **ღირებულებების სწავლებისას ხშირად გამოყენებული მეთოდები** **25**

ა. სამაგალითოობა 25

ბ. ზღაპრებითა და იგავებით გადაცემული ცოდნა 26

გ. რჩევა-დარიგებით სწავლება 27

დ. პრაკტიკული სწავლება 28

4. ფაქტორები, რომლებიც აღმზრდელობით სფეროზე მოქმედებს 29

ა. გონებრივი განვითარება 29

ბ. ბავშვის ნიჭი 29

გ. ოჯახი 29

დ. გარემო 30

5. აღმზრდელი პედაგოგის თვისებები 31

ა. ინდივიდუალური თვისებები 31

I. ადამიანების დაფასება 31

II. გულისხმიერება და შემწყალებლობა 32

III. მოთმინება 33

IV. ხელგაშლილობა 34

VI. ნდობა 35

VII. სანიმუშო ადამიანობა 35

VIII. დისციპლინის მქონე 35

ბ. მიმართვის მეთოდი 35

I. მოკლე და კონკრეტული საუბარი 35

II. გამართული საუბარი 36

III. მეთოდის სწორად შერჩევა 36

IV. სიტყვის დიდი მარაგი 36

V. ხმის ტემბრის განსაზღვრის უნარი 36

გ. გონებრივი თვისებები 37

I. როგორც გული, ასევე გონებაც სუფთა უნდა ჰქონდეს 37

II. აღმზრდელი პედაგოგი დროის კარგად მცოდნე უნდა იყოს 37
III. ყოველთვის ეცადოს, რათა ცოდნა გაიღრმავოს 37

დ. ფიზიკური თვისებები 38

I. სისუფთავე 38
II. მოწესრიგებული ჩაცმულობა 38
III. ჯანმრთელობა 38
IV. პოზიცია 38

6. პედაგოგი აღზრდა-განათლების გზაზე 39

ა. კარგად უნდა იცნობდეს აუდიტორიას 39
ბ. ყველას უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ისინი ძვირფასები არიან 39
გ. პოზიტიური დამოკიდებულება და მისი დანერგვა 39
დ. სანდოობა და დამაჯერებლობა 40
ე. თავისი სფეროს პროფესიონალი უნდა იყოს 40
ვ. პატივსაცემი პიროვნება უნდა იყოს 40

წერილი მასწავლებელს 41

რწმენის ღირებულებები / 43

1. ალლაჰის რწმენა 44

1. ბავშვთა ასაკის მიხედვით ალლაჰის წარმოდგენის ფანტაზია და მისი რწმენის ახსნა **44**

I. 0-2 წლის ასაკი 44
II. 2-5 წლის ასაკი 45
III. 5-8 წლის ასაკი 46

ბ. საყურადღებო საკითხები, როდესაც ბავშვებს ალლაჰზე ვუყვებით 48

გ. სამყაროზე დაკვირებით ალლაჰის შესახებ საუბარი 50

I. სამყარო ბავშვის შინაგან სამყაროში 51

II. სამყაროდან უზენაეს ალლაჰთან ხუთი გრძნობით მიღწევის მოდელი 54

III. სამყაროში ცუდი არსება არ არის 58

IV. უზენაესი ალლაჰი როგორი არსებაა? 58

V. ალლაჰი სად არის? 59

ბ. ბავშვების კითხვები უზენაესი ალლაჰის შესახებ და სათანადო პასუხები 60

გ. ბავშვები ალლაჰის სახელით არ უნდა შევაშინოთ 61

დ. რა არის ვედრება? როგორ ვასწავლოთ ვედრების სიყვარული და კულტურა? 62

ე. ესმაულ ხუსნა: ალლაჰის ულამაზესი სახელების სწავლება 64

2. შუამავლის რწმენა 65

ა. ბავშვებში შუამავლის სიყვარული და შუამავლის მცნება 65

ბ. როგორ უნდა მოვიქცეთ შუამავლის სიყვარულის მოსაპოვებლად 67

გ. რას უნდა მიექცეს ყურადღება ჰადისების სწავლებისას 68

დ. სანიმუშო ჰადისები, რომლებიც შესაძლებელია, ბავშვებმა დაიზეპირონ 69

დ. ჰადისების სწავლების სანიმუშო მაგალითები 70

ვ. შუამავლის ისტორიების თხრობა 72

1. წმინდა ადამ შუამავალი 72

2. შუამავალი იდრისი 73

3. შუამავალი ნუჰი 74

4. შუამავალი ჰუდი 76
5. შუამავალი სალიჰი 77
6. შუამავალი იბრაჰიმი და ისმაილი 78
7. შუამავალი იაყუფი და იუსუფი 79
8. შუამავალი შუღაიბი 80
9. შუამავალი მუსა 81
10. შუამავალი დავუდი 82
11. შუამავალი სულეიმანი 83
12. შუამავალი ეიუბი 85
13. შუამავალი იუნუსი 86
14. შუამავალი ისა 88

3. წიგნების რწმენა 89

ა. როგორ გავაცნოთ წმინდა ყურანი 89
ბ. როგორ უნდა ავუხსნათ ყურანის სიყვარული და კულტურა 90
გ. წმინდა ყურანის სწავლების დროს საყურადღებო საკითხები 90
I. ბავშვებისთვის ყურანის ანბანის სწავლებისას იოლი, სახალისო და საინტერესო მეთოდები უნდა ავირჩიოთ 91
ბ. „ბისმილლაჰის“ ხალისით სწავლება 92
მოთხრობა „ბისმილლაჰზე“ 92
გ. როგორ წავახალისოთ ბავშვებს ყურანის სურების დაზეპირება? 94
დ. ამბავი, წმინდა ყურანის შესახებ 95
სანამ ამბავის მოყოლას დავიწყებდეთ,ასე მივმართოთ 95
მოთხრობა: წმინდა ყურანი, როგორც ფასეულობა 95
მოთხრობის შემდეგ 96

4. განკითხვის დღის რწმენა 97

ა. როგორ ავუხსნათ ბავშვებს სიკვდილის ცნება 97

ბ. სამოთხე და ჯოჯოხეთი 98

5. ანგელოზების რწმენა 100

ღვთისმსახურების ღირებულებები / 103

1. ნამაზის სწავლება **104**

ა. ასაკის მიხედვით ლოცვის სწავლება და სიყვარული 104

ბ. ბავშვების შეჩვევა მეჩეთზე 105

გ. ნამაზთან დაკავშირებული თამაშები 106

დ. როგორ შევაყვაროთ ბავშვს ნამაზი? 108

2. მარხვის სწავლება 111

ა. როგორ შევასწავლოთ ბავშვებს მარხვა? 111

ბ. ბავშვებისთვის მარხვის ღვთისმსახურების სწავლება 111

გ. მარხულის ქცევა 113

დრამატული აქტივობა 113

დ. ბავშვის მიერ აღწერილი მარხვის დღეები 115

ე. მარხვის ღვთისმსახურების შეყვარების ისტორია 119

ვ. მარხვის შესახებ 122

3. ზექათის სწავლება 123

ა. განსახილველი საკითხები 123

4. ჰაჯობის ღვთისმსახურების სწავლება 124

ზნეობრივი ღირებულებები / 125

1. სკოლამდელი პერიოდის ბავშვთა ფიზიკური უნარ-ჩვევები და სოციალური განვითარების თავისებურებები 126

2. ზნეობრივი ღირებულებების შესწავლის მნიშვნელობა 128

ა. პასუხისმგებლობა 135

რა არის პასუხისმგებლობა? 135

რა უნდა გავაკეთოთ პასუხისმგებლიანი ბავშვების აღზრდისათვის 137

რა არ უნდა გავაკეთოთ პასუხისმგებლიანი ბავშვების აღზრდისას 138

თამაშები პასუხისმგებლობის შესახებ 138

რეგულარული - არარეგულარული 140

ბ. ქველმოქმედება 141

რა არის ქველმოქმედება? 141

ქველოქმედი ბავშვების აღზრდისათვის მშობლებმა პედაგოგი სწორად უნდა შეარჩიონ 142

ქველმოქმედების ღირებულებების შეძენისთვის რა უნდა გავაკეთოთ? 142

ქველმოქმედების ღირებულებების შეძენისთვის რა არ უნდა გავაკეთოთ! 143

შევუქმნათ ბავშვებს ცნობიერება 143

თამაშები ქველმოქმედების თემაზე 144

გ. სამართალი 148

სამართლიანი ბავშვების აღზრდისათვის მშობლებმა პედაგოგები სწორად უნდა შეარჩიონ 150

დ. სიზუსტე 153

გულახდილი ბავშვების აღზრდისათვის მშობლებმა პედაგოგი სწორად უნდა შეარჩიონ 153

ე. მოთმინება 156

მომთმენი ბავშვების აღზრდისათვის მშობლებმა და პედაგოგებმა რა უნდა გააკეთონ? 156

მომთმენი ბავშვების აღზრდისათვის მშობლებმა და პედაგოგებმა რა არ უნდა გააკეთონ? 158

მოთმინების თამაშები 158

ვ. პატივისცემა 160

რა უნდა გავაკეთოთ ღირსეული შვილების აღზრდისათვის? 162

რა არ უნდა გავაკეთოთ ღირსეული შვილების აღზრდისას? 163

თამაშები პატივისცემის სწავლების შესახებ 163

ღირებულებების სწავლების შესავალი

1. ხედვა ღირებულებების სწავლების მიმართ

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის პერიოდი, მათი რელიგიური ცოდნისა და გრძნობების განვითარების მხრივ, ოქროს ხანად იწოდება. ამ თვალსაზრისით აღზრდის ეს პერიოდი ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში დაეხმარება იმ მიმართულებების განსაზღვრაში, რომელიც რეილიგიურ და ზნეობრივ ფასეულობებს ჯანსაღი ფორმით წარმართავს.

ისლამში ფასეულობების შესწავლა ჭეშმარიტი რწმენის ზნეობრივი და ესთეტიკური ფასეულობების მომავალ თაობებზე გადაცემის სამსახურია.

თქვენს ხელთ არსებულ ნაშრომში ფასეულობების შესწავლა შემდეგი თანმიმდევრობით არის დალაგებული:

1. რწმენის ფასეულობები (ალლაჰის, შუამავლების, ანგელოზების, წმინდა წიგნების და ა.შ რწმენა)
2. ზნეობრივი ფასეულობები (მოწყალება, ხელგაშლილობა, პატივისცემა, სიყვარული და ა.შ)



3. კულტურული ფასეულობები (თავმდაბლობა, სტუმართმოყვარეობა, ყურადღება და ა.შ.)

ფასეულობების თვასაზრისით **სწავლება** ასე გამოიყურება:

- გონებაში არსებული ცოდნის ქმედებებში გამომჟღავნება;
- ინდივიდის მიერ სასურველი ქმედებების სააშკარაოზე გამოტანის პერიოდი;
- არსებული ცოდნისა და გამოცდილების შთამომავლობაზე გადაცემა.

არაბული სიტყვა „რაბ“ აღმზრდელს ნიშნავს. დიადი გამჩენი ადამიანთა შორის შუამავლებს გამოარჩევს და სათანადოდ აღზრდის. გამომდინარე აქედან, შუამავლები სწავლით მიღებულ ცოდნას სხვა ადამიანებს გადასცემენ. ადამიანის აღზრდის პროცესში შეუძლებელია, მხოლოდ ერთი, გარკვეული მეთოდით აღზარდო პიროვნება. ამიტომაც, აუცილებელია, აღმზრდელმა პედაგოგმა სწავლების პრინციპები და მიმართულებები კარგად იცოდეს.

ამ მიმართულებებით ისწავლება:

- ბავშვების მიერ ახალ გარემოსთან შეჩვევისა და ახალ სიტუაციებში შესწავლილი ცხოვრებისეული მოქმედებების გამოყენების უნარი;
- ადამიანისთვის აუცილებელი ფიზიკური თუ სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარი;
- უზენაესი ალლაჰის მიერ ადამიანისთვის ბოძებული უმწიკვლო ბუნების გამოყენებისა და დაცვის უნარი.



2. ღირებულებების სწავლების პრინციპები

სამყარო გარკვეული წონასწორობით არის გაჩენილი. გამომდინარე აქედან, ისლამის სწავლა-განათლება აღნიშნული წონასწორობის შესაბამისად უნდა ხდებოდეს. მაგალითად, ისლამის სწავლა-განათლების სფეროში არ არსებობს მხოლოდ ამქვეყნიური, ან მხოლოდ იმქვეყნიური ფასულობები. როდესაც უზენაესი ალლაჰისგან ვითხოვთ სიკეთეს, არ შემოიფარგლება მხოლოდ ამქვეყნიურით, ან საიქიოთი, იგი მოიცავს ორივე სამყოფელს. ეს დებულება, როგორც ზოგადი სწავლა-განათლების პრინციპები, ღირებულებების სწავლებისთვისაც შეიძლება ვიხელმძღვანელოთ შემდეგი თანმიმდევრობით:

ა. თანმიმდევრულობა

წმინდა ყურანისეული მეთოდი, რომელსაც ადამიანები უმეცრებიდან ჭეშმარიტებისკენ, ცდომილებიდან სამართლიანობისკენ მიჰყავს, ჩვენთვის სწავლების საუკეთესო მაგალითია.

თავდაპირველად საძირკველის მომზადება, შემდეგ კი მშენებლობის დაწყება ხდება. ამიტომაც ყველაფერი თავის დროზე, თანდათან უნდა გაკეთდეს, ერთდროულად ვერ გავსწვდებით.

მაგალითად; ნამაზის, ზექათისა და ჰაჯობის მსგავსი ღვთისმსახურების ბრძანებასთან ერთად ალკოჰოლის, მრუშობის, მევახშეობის აკრძალვაშიც თანმიმდევრობა იყო დაცული. მექას ცამეტწლიან

პერიოდში რწმენამ ადამიანების გულებში შეაღწია, ხოლო მედინას ათწლიან პერიოდში ყოველდღიურ ცხოვრებაში რწმენის გამოსახატავად ღვთისმსახურებები დაიწყო.

ბავშვის სწავლა-განათლება გარკვეულ პერიოდზეა გათვლილი და შესაბამის დროს მოითხოვს. იმ ქცევების შეთვისება, რომლებიც გვინდა, რომ ბავშვმა შეიძინოს, მის ბუნებაში გაიდგას ფესვები, უნდა მოხდეს ნელ-ნელა. მშობლები ვალდებულნი არიან, მოითმინონ და მარტივიდან რთულისკენ, ეტაპობრივად იმოქმედონ.

ბ. სიყვარული

ბავშვები უნდა გვიყვარდეს და მათ ეს სიყვარული უნდა ვაგრძნობინოთ. მათთვის უნდა გამოვძებნოთ საალერსო სიტყვები და მოვექცეთ თბილად.

იქ, სადაც არ არის სიყვარული, არც სწავლება იქნება. აუცილებელია ენატკბილობა და თბილი მოპყრობა. ბუნებრივია, გვეყვარებოდა ისეთი ბავშვები, რომლებიც ხასიათით ჩვენ გვგვანან, მაგრამ აქ უმთავრესი ყველა ბავშვის სიყვარულია.

სიყვარულზე, როგორც ცნებაზე, სხვადასხვა გამოხატულებით წმინდა ყურანის ოთხმოცდათერთმეტ აიათშია საუბარი. აღსანიშნავია, რომ უფრო მეტად ყურადღება გამახვილებულია უზენაესი ალლაჰისა და წმინდა შუამავლის სიყვარულზე. გამომდინარე აქედან, სიყვარული და დაფასება მუსლიმი ადამიანის თვისებაა. უკეთილშობილესი შუამავლის ეს ჰადისი სწორედ ამას გვასწავლის: **“გაუადვილეთ, არ გაუძნელოთ, უმახარობლეთ, არ შეაძულოთ.”** *(ბუჰარი, საჰიჰ, ილიმ, 11.)*

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში კარგად დავინახავთ სიყვარულის ძალას.



ძვირფასი ენესი (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) გადმოგვცემს: “მაშინ, როდესაც უკეთილშობილესმა შუამავალმა მედინაში მობრძანდა, ჩემმა მამინაცვალმა, ებუ ტალჰამ, ხელი მომკიდა და მასთან წამიყვანა.

ალლაჰის შუამავალს უთხრა: ენესი გონიერი ბავშვია, მინდა შენს სამსახურში იყოს! ამის შემდეგ ალლაჰის საყვარელ შუამავალს

ათი წელი ვემსახურე. ვფიცავ, ამ ხნის განმავლობაში ცუდი ქმედებების გამო მსგავსი შენიშვნა; „ასე რატომ გააკეთე," ან „ეს რატომ არ გააკეთე" არასოდეს მოუცია." *(მუსლიმი, ფედაილი, 52)*

ძვირფასი ენესი (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) მოგვითხრობს:

"ერთ მშვენიერ დღეს ალლაჰის შუამავალს ჩემი სადღაც გაგზავნა უნდოდა. ვუთხარი, ვფიცავ, არ წავალ-მეთქი, თუმცა შინაგანად წასვლისთვის უკვე მზად ვიყავი. ვინაიდან თხოვნა ალლაჰის შუამავალს ეკუთვნოდა, გზას გავუდექი. ქუჩაში მოთამაშე ბავშვები დავინახე და მეც თამაშში ჩავერიე. ამასობაში ალლაჰის შუამავალი მოვიდა, დამინახა და კისერზე ხელი დამადო, როცა მოვბრუნდი და დავინახე, იღიმებოდა. მკითხა:

- ჩემო ენეს! იყავი იქ, სადაც გთხოვე მისვლა?
- ახლავე წავალ ალლაჰის შუამავალო! -ვუპასუხე *(მუსლიმ, ფედაილ, 54)*

ალლაჰის შუამავალი ს.ა.ვ. ხშირად „ჩემო ენეს," ან კიდევ "შვილო ენეს" მომმართავდა."ძვირფასი ენესი ცდილობდა, ყოველთვის სუნნეთის შესაბამისად ეცხოვრა. ებუ ჰურეირე ხშირად იტყოდა, რომ ენესი ისე ასრულებს ნამაზს, როგორც ალლაჰის შუამავალი ლოცულობდაო. ყოველთვის ნატრობდა, მის წინაშე წარმდგარიყო და ეთქვა: "ო, ალლაჰის შუამავალო, პატარა მსახური შენს წინაშეა."

იმამი მალიქი მოგვითხრობს: „როდესაც ერთ ჰადისს დავიზეპირებდი, მამა აუცილებლად პატარა საჩუქარს გამიკეთებდა. ასე მეც დიდი ხალისით ვიზეპირებდი ჰადისებს. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ ჰადისებს არა საჩუქრის გამო, არამედ ჰადისის სწავლით მიღებული სიამოვნების გამო ვიზეპირებდი".



როცა ბავშვის ქმედებები უარყოფითისკენ მიდის და თანდათან უარესდება, მიზეზი, დიდი ალბათობით, უსიყვარულობაა. თუკი ბავშვის ქცევები უკეთესობისკენაა მიმართული, ეს არის შედეგი იმ ღირსეული და სათანადო სიყვარულისა, რომელსაც თქვენ თქვენი შვილის მიმართ იჩენთ.

სიყვარულის საპირისპირო ძალადობა ბავშვში დისციპლინის ჩამოყალიბებას მნიშ-

ვნელოვნად აბრკოლებს. ამიტომაც კარგად აღზრდილი ბავშვი მხოლოდ ის იქნება, რომელიც დამოუკიდებლად შეძლებს გადაწყვეტილებების მიღებას და თავს ისე იგრძნობს, როგორც სრულყოფილი ადამიანი.

ადამიანი სიყვარულის წყალობით ითავისებს რწმენას. სიყვარულით წარმართული სწავლება უფრო მაღალხარისხიანია და ამგვარად სწავლების დასახული მიზანიც მარტივად მიიღწევა.

გ. ცოდნის დონის შეფასება

აღმზრდელობით სფეროში მთავარია აღსაზრდელის გონებრივი განვითარების დონე, ფსიქიკა, ასაკი, ნიჭიერების განსაზღვრა და შესაბამისი მეთოდებით სწავლების დაწყება. როგორც სამი წლის ასაკის ბავშვის ნიჭი და გონებამახვილობა განსხვავდება ათი წლის ბავშვისგან, ისე განსხვავდება მათთან სწავლების მეთოდები და ხერხები. ალლაჰის შუამავალი ჩვენთვის ამ საკითხშიც საუკეთესო მაგალითია. ის ბრძანებს:

„ადამიანებს ესაუბრეთ იმ დონეზე, რომელსაც მათი გონება სწვდება“.

ბავშვები პირველივე წლებიდან კითხვების დასმას დაიწყებენ. მათ მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის დროს, აუცილებელია, გავითვალისწინოთ და არ უგულებელვყოთ მათი ასაკი, მდგომარეობა და შეგნების დონე. მათ ისე უნდა ვუპასუხოთ, რომ დაკმაყოფილდნენ და კარგად გაიგონ პასუხი. მაგალითად; თუ ბავშვი გარდაცვლილს დაინახავს, ან ვინმეს გარდაცვალების ამბავს გაიგებს, ეს მასზე ზეგავლენას მოახდენს და კითხვების დასმას დაიწყებს. თუკი სწორ პასუხებს ვერ მიიღებს, ეს მის ფსიქიკაში უარყოფითად აისახება.



ბევრი მშობელი, ან აღმზრდელი პედაგოგი ბავშვების შეკითხვებს უაზროდ მიიჩნევს, ან კიდევ ვერ სცემს სათანადო პასუხებს. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, ბავშვის ყურადღება სხვა შეკითხვაზე გადავიტანოთ და ისე გავცეთ პასუხი. მაგალითად; თუკი ბავშვი დასვამს შემდეგ კითხვას: „რას აკეთებს ახლა ალლაჰი?“ ჩვენც დავფიქრდეთ.

თუკი არ გვაქვს პასუხი, კითხვა შევუბრუნოთ და ამჯერად ჩვენ ვკითხოთ: „ეს შეკითხვა რატომ დამისვი?" ან კიდევ „შენი აზრით რას უნდა აკეთებდეს?" ასე შესაძლებელია ბავშვის ყურადღება სხვა თემაზე გადავიტანოთ.

რელიგიური სწავლა-განათლების დროსაც აუცილებელია ასაკისა და განვითარების დონის მიხედვით მივაწოდოთ ინფორმაცია. მაგალითად; მცირეწლოვან ბავშვს შეიძლება ვესაუბროთ დიდი განბანვის რიტუალზე და მისი შესრულების წესებზე. თუ ამ საკითხს იგი გარკვეულ ასაკამდე სრულად ვერ აღიქვამს, შეიძლება, მხოლოდ ავუხსნათ ის, თუ რისთვის სრულდება დიდი განბანვა.

ბავშვებს 10-11 წლამდე კონკრეტული ცნებები (სამოთხე, ჯოჯოხეთი, ანგელოზი), შესაძლებელია, მხოლოდ ზედაპირულად ავუხსნათ.

დ. ჯილდოსა და დასჯის ზღვარი (სამართლიანობა)

უზენაესი ალლაჰი ადამიანებს თავიანთი ნამოქმედარის შესაბამისად სამოთხეს ან ჯოჯოხეთს გვაუწყებს. უკეთილშობილესი შუამავალი თავის თანამიმდევრებს კეთილი საქმის გამო შეაქებდა და საუკეთესო მიმართვებით მოიხსენიებდა. ეს სიტყვები მათთვის მატერიალურ საჩუქარზე უფრო მეტს ნიშნავდა.

ბავშვების მიმართ საჩუქარი ორ ნაწილად იყოფა მატერიალური და მორალური.

მატერიალური საჩუქარი: კანფეტი, სათამაშო, ფული ან სხვა:

მორალური საჩუქარი: შექება, მოფერება, წახალისება, მილოცვა, მათ მიმართ დიდი ინტერესი, აღიარება.

ყველა ადამიანის ფსიქიკაში არსებობს წახალისების, დაჯილდოების, შექების მოთხოვნილება. ეს სრულწლოვან პიროვნებებში უფრო მეტია. მორალური ჯილდო შეიძლება იყოს ისეთი რამ, რაც ბავშვს უნდა. მაგალითად; როდესაც გაკვეთილს კარგად ისწავლის, შესაძლებელია, ოჯახური პიკნიკი მოაწყოთ, ან ბავშვის მეგობრები ოჯახში მოიწვიოთ.





ასეთ ვითარებაში ბავშვის მეგობრებს შეიძლება წახალისების მიზნით უთხრათ: ნახეთ თქვენმა მეგობარმა რა კარგი ვედრება ისწავლა, ან რა კარგად ასრულებს ლოცვებს და ა.შ.

ბავშვებს ხშირად უნდა შევახსენოთ, რომ საჩუქარი, რაოდენ ძვირადღირებულიც არ უნდა იყოს, მეორეხარისხოვანია, მთავარი ღვთისმსახურებაა. ბავშვისთვის გადაცემული ჯილდო, შესაძლებელია იყოს ძვირფასი, მაგრამ მასში უნდა იგრძნობოდეს მორალური სულისკვეთება.

თუკი ბავშვის აღზრდაში საჩუქრებმა არანაირი დადებითი შედეგი არ გამოიღო, დასჯის მეთოდი შესაძლებელია იმ დონით, რომ შევძლოთ ცუდი ხასიათი დათმოს. მაგრამ, სანამ დასჯის მეთოდს მიმართავდეთ, მანამდე აუცილებელია ბავშვს აუხსნათ, რომ მისი ესა თუ ის ქმედება იყო არასწორი და სწორედ ამან განაპირობა მისი დასჯა. ბავშვის მიმართ გატარებული სასჯელი არ უნდა შეიცავდეს ფიზიკურ შეხებას, ეს მხოლოდ იმით უნდა განისაზღვროს, რომ ბავშვს არ მისცე ის, რაც მას ძალიან უნდოდა, ან გარკვეული ზღვარი დაუწესო, ან კიდევ აუკრძალო მისთვის სასურველი რამ, მაგალითად; არ გაუშვებ პარკში, ან ეზოში სათამაშოდ. ბავშვის ფიზიკურმა დასჯამ შესაძლებელია მის ფსიქიკაში უარყოფითი კვალი დატოვოს.

სრულწლოვანების მიმართ გასატარებელი სასჯელი, შეიძლება იყოს, მისი ქცევის იგნორირება, მის მიმართ ნაკლები ინტერესის გამოჩენა, ან უბრალოდ უმნიშვნელოდ მიჩნევა.

ე. დისციპლინა

იმისათვის, რომ საზოგადოება მშვიდად ცხოვრობდეს, საჭიროა გარკვეული წესებისა და კანონების არსებობა, რომელსაც დისციპლინა ეწოდება.

ზოგადად დისციპლინის მეთოდები და ფორმები ასეთია:

I. შურისძიებითი დისციპლინა: შურისძიების გრძნობა ეუფლება ინდივიდს, რომელსაც ცუდად მოექცევიან.

II. დამსჯელობითი დისციპლინა: დანაშაულის ჩამდენის დანაშაულის შესაბამისად დასჯას ითვალისწინებს.



III. დაშინებითი დისციპლინა: დამნაშავეების ან დანაშაულის განზრახვის მქონეთა დაშინება.

IV. აკრძალვითი და დაცვითი დისციპლინა: ეს არის დისციპლინა, რომელიც წინასწარ აცნობებს პიროვნებას სწორი და მცდარი ქმედების შესახებ.

V. გამოსწორებითი, საშუალობითი დისციპლინა: მიზანი არაა დამნაშავეების დასჯა, არამედ მათი გამოსწორების გზაზე დაყენებაა.

VI. თავიდან აცილებითი დისციპლინა. დანაშაულის ჩადენამდე მისი აღმოფხვრის გზების ძიება.

უკეთილშობილესი შუამავლის მიერ ცხოვრებაში გატარებული დისციპლინის სამი მეთოდი ასეთია:

იმისათვის, რომ ბავშვი გარკვეულ წესებს შევაჩვიოთ, უმთავრესია, თავად ჩვენ უნდა ვიყოთ ამ წესების შესრულების ნიმუში. თუკი დედა შვილს ეტყვის, რომ ტყუილი არ თქვას, მაგრამ როცა კარებზე ვინმე დააკაკუნებს და ეტყვის შვილს, რომ დაუძახოს: "სახლში არავინ არის," ეს ბავშვს უკიდურესობაში ჩააგდებს, რადგან უფროსის ნათქვამსა და ქმედებაში ურთიერთსაპირისპიროს აღმოაჩენს. გარდა ამისა, მშობლები, რომლებიც წიგნს არ კითხულობენ, შეუძლებელია, შვილს წიგნის კითხვის სურვილი გაუჩნდეს.

დისციპლინის მიზანი ბავშვისთვის თავისუფლების არათუ შეზღუდვა, არამედ გარკვეული საზღვრების დაცვით უფრო მეტი თავისუფლების შეძენაა.

დისციპლინა ბავშვს ეხმარება იმის გაგებაში, რომ იმას, რაც მას ნებისმიერ დროს მოესურვება, ყოველთვის ვერ მიიღებს. რა თქმა უნდა, ეს ბავშვს არ მოეწონება, მაგრამ იმისათვის, რომ ამ საკითხს დადებითად შეხედოს, საჭიროა, დისციპლინის ძირითადი პრინციპები მაქსიმალურად შევასრულოთ.

მტკიცე გადაწყვეტილება, რომელსაც ბავშვისგან მოვითხოვთ, არ უნდა იყოს ნაჩქარევად მოფიქრებული, უმჯობესია წინასწარ განვსაზღვროთ. ბავშვისთვის რაღაცის ერთბაშად აკრძალვა არ

შეიძლება, შესაძლებელია იგი ეტაპობრივად შეიზღუდოს: „კლასში არ ირბინო," "სათამაშო დარბაზში არ იხტუნო," და ა.შ.

გაუმჯობესება: დაწესებული ნორმის სუსრულეში მოყვანა და ხშირი განმეორება. მაგ: ჭამის შემდეგ ხელების დაბანა.

პიროვნული გრძნობებით მოქმედება, სტრესულ სიტუაციაში ბავშვზე ზეწოლა, დაუმსახურებლად ფიზიკური შეხება, ან სხვა სახის სასჯელი სააღმზრდელო პრაქტიკისთვის მიუღებელია.

ვ. ინდივიდუალურობა

სწავლა-განათლების დროს პიროვნების ინდივიდუალურობის გათვალისწინებაა უმთავრესი.

ათვისების უნარი: ყველა ბავშვის ათვისების უნარი ერთნაირი არ არის. ერთი და იმავე მეთოდის გამოყენებით ყველა ბავშვისგან ერთნაირი წარმატება შეუძლებელია.

ინდივიდუალური განსხვავება: სწავლების შედეგის მხრივ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ბავშვი უფრო კარგად კითხვით, წერით, მოსმენით, ესე იგი პრაქტიკით ითვისებს.

ბუნების შესაბამისობა: თუკი ბავშვის შინაგანი ბუნება გვეცოდინება, უფრო მეტად წარმატებული იქნება სასწავლო პროცესი. ბავშვის ბუნებაში არსებული ეგოიზმი, სიძუნწე, შური, მჩაგვრელობა და სხვა უარყოფითი თვისებები შესაძლებელია, დადებითით შევცვალოთ.



ზ. გულწრფელობა

ბავშვებისადმი აღმზრდელი პედაგოგის მიდგომა ისეთი გულწრფელი უნდა იყოს, როგორც მშობლების მიდგომა შვილების მიმართ. ბავშვის მიერ დასმულ შეკითხვას არცერთ შემთხვევაში მცდარი ან ცრუ პასუხი არ უნდა გაეცეს, პასუხი ყოველთვის გულწრფელი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში აღსაზრდელში აღმზრდელი პედაგოგის ფასი და ღირსება დაეცემა.

აღმზრდელი პედაგოგის უმთავრესი მოვალეობაა, რომ მოსწავლეებს სწორი

მიმართულება მისცეს, შეძლებისდაგვარად ზრუნვა არ დაიშუროს მათ მიმართ და ბოლომდე დაიხარჯოს.

დროის ფაქტორი და მთლიანობა

ადამიანი ცოდნას ყველაზე უკეთ აქტიური კითხვა-პასუხის მომენტში იძენს და კიდევ მაშინ, როცა იგი ბედნიერია.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს ფასეულობები ვასწავლოთ, შესაბამის მომენტს უნდა დაველოდოთ, მაგალითად: შესაძლებელია, მეგობრობის ან სიყვარულის შესახებ მოთხრობის წაკითხვისას ალლაჰისა და მისი შუამავლის სიყვარულის დაკავშირება და განმარტება.

სამაგალითოობა

იმას, რასაც ჩვენ არ გავაკეთებთ, ვერც ჩვენ შვილებს, ან მოსწავლეებს გავაკეთებინებთ. საჭიროა, უპირველესად ჩვენ თვითონ ვიყოთ მათთვის მაგალითი. ბავშვები ისეთ ადამიანებთან უნდა წავიყვანოთ, ვისგანაც შეიძლება მაგალითი აიღონ, წმინდა ადგილები უნდა ვაჩვენოთ, ხშირად წავიყვანოთ მეჩეთში, ხშირად ვატაროთ უფროსების სანახავად და ა. შ.



3. ღირებულებების სწავლებისას ხშირად გამოყენებული მეთოდები

ადამიანის აღზრდა ყველაზე უფრო რთული პროფესიაა და საკმაოდ დიდ დროს საჭიროებს. ბავშვისთვის არაა საკმარისი რომელიმე ღვთისმსახურების, ან ქმედების ერთხელ ჩვენებით სწავლება. იმისათვის, რომ ბავშვმა შეეჩვიოს და ისწავლოს ესა თუ ის ქმედება, განსაზღვრული პერიოდია საჭირო.

იმისათვის, რომ ბავშვმა რომელიმე არასწორი ქმედება სწორით შეცვალოს, ან ახალი კარგი ქცევა შეიძინოს, მშობლები იტყვიან: „მე ასე გავაკეთე და დადებითი შედეგი მივიღე“. მაგრამ იგივე მეთოდი სხვა ბავშვზე შეიძლება არ იყოს ეფექტური. თუკი პრობლემის მიზეზი განსხვავებულია, შესაბამისად მისი გადაჭრის გზებიც განსხვავებული უნდა იყოს.

ა. სამაგალითოობა

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის მისაბაძი პიროვნებები არიან ოჯახის წევრები: დედ-მამა, უფროსი და-ძმა, ბებია-ბაბუა და სხვა ახლო ნათესავები. ხოლო, რაც შეეხება სკოლის პერიოდს, შესაძლებელია, იყოს როგორც ახლო გარემოცვა, ასევე ცნობილი ფეხბურთელი, მსახიობი ან სხვა ნებისმიერი ცნობილი პიროვნება.

ბავშვისთვის სკოლამდელ პერიოდში კარგი ქცევების შეძენა უფრო მარტივია, ვიდრე შემდგომ პერიოდში შეძენილი ცუდი ქცევების აღმოფხვრა.

ბავშვები უფროსი ასაკის პიროვნებების ქცევების მიმართ ინტერესს იჩენენ და მათში ბუნებრივად არსებული „მიბაძვითი“ კანონით ცდილობენ დაემსგავსონ. ბავშვებს მოსწონთ გარშემომყოფი უფროსების ქცევების განმეორება. განმეორება და მიბაძვა შეიძლება არა მხოლოდ ქმედებებით, არამედ გრძნობებითა და ემოციებითაც.



უზენაესმა ალლაჰმა ადამიანები „სანიმუშო პიროვნებების“ პრინციპით აღზარდა. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ დიადმა გამჩენმა ამქვეყნად ადამიანებისთვის რელიგიური ღირებულებების შესწავლის მიზნით შუამავლები მოავლინა.

ოჯახის წევრების მიერ მოკრძალებით შესრულებული ნამაზი, ვედრება, წაკითხული ყურანი, წმინდა ღირებულებების მიმართ გამოჩენილი ყურადღება და ინტერესი, რა თქმა უნდა, ბავშვებისთვის საუკეთესო და ეფექტური მაგალითია.

იმისათვის, რომ ბავშვმა პიროვნება მისაბაძ მოდელად მიიჩნიოს, გარკვეული მიზეზებია საჭირო. მაგალითად; შეიძლება ბავშვზე დიდ ზეგავლენას ახდენდეს საჩუქრის მიცემა, დასჯისგან თავის დაღწევაში დახმარება, პიროვნული სიძლიერე, ავტორიტეტი და, რაც მთავრია, ბავშვებთან თანატოლივით ახლოს ყოფნა და მათი შეხედულებებით აზროვნება.

ბავშვები სანიმუშო პიროვნებად ირჩევენ ისეთებს, ვინც მათ საჩუქრებს გადასცემს, სურვილებს უსრულებს, განწყობას უხალისებს, თანატოლივით ექცევა და ეთამაშება კიდეც.

„სკოლამდელ“ პერიოდში უმეტესწილად მშობლებს მიბაძავენ.

„სასკოლო პერიოდში“ უფრო მეტად მასწავლებელი დგება წინა პლანზე.

„მოწიფებულობის პერიოდში“ კი მეგობრებისა და ცნობილი პიროვნებებისგან იღებენ მაგალითებს.

ბ. ზღაპრებითა და იგავებით გადაცემული ცოდნა

ბავშვებს ძალიან უყვართ ზღაპრებისა და იგავების მოსმენა. ხშირ შემთხვევაში ბავშვები მოსმენილ ზღაპრებსა და იგავებს გაითავისებენ და საკუთარ თავს იგავის, ან ზღაპრის მთავარ გმირად წარმოიდგენენ.

ბავშვები სწრაფად ექცევიან იგავებისა და ზღაპრების ზეგავლენის ქვეშ. ამიტომ ბავშვებს ადამიანის მჭამელი დევების, ადამიანების მკვლელი და მყალპავი გველეშაპების, ან ადამიანების ქვაბებში ხარშვის და ჭამის ზღაპრები კი არ უნდა მოვუყვეთ, არამედ ისეთი ზღაპრები და იგავები, რომლებიც მათში დადებით შთაბეჭდილებებს დატოვებს.



წმინდა ყურანში აღნიშნული მეთოდის შესახებ ხშირად არის გადმოცემული, ყურანის ერთი მესამედი მსგავს ცხოვრებისეულ ისტორიებს შეეხება.



უკეთილშობილესი შუამავალიც ზოგიერთი საკითხების შესახებ მიმართავდა ისტორიულ მოთხრობებს.

ერთხელ გზად მიმავალი ადამიანი წყურვილმა შეაწუხა. მან ჭას მიაგნო, შიგ ჩავიდა და წყურვილი მოიკლა. როცა ამოვიდა, წყურვილისგან ენაგამოგდებულ ძაღლს მოჰკრა თვალი, რომელიც ცვრიან მიწას ლოკავდა. კაცმა თავისთვის ჩაილაპარაკა: **„ამ ძაღლსაც ჩემსავით მოსწყურებია“** და ხელმეორედ ჭაში ჩავიდა, ფეხსაცმელი წყლით აავსო, ამოვიდა და ძაღლს დაალევინა. ამ კაცის ასეთი საქციელით უზენაესი ალლაჰი კმაყოფილი დარჩა და მას ცოდვები მიუტევა. ერთხელ წმინდა შუამავალს ჰკითხეს: „მოგვეცემა თუ არა მადლი, როდესაც პირუტყვს სიკეთეს გავუკეთებთ“. ალლაჰის შუამავალმა მიუგო: ***„ყოველი ცოცხალი არსებისთვის გაკეთებული სიკეთის სანაცვლოდ ჯილდოდ მადლი არის დაწესებული.“ (ბუჰარი, შურბი, 9)***

პატარა ბავშვები წმინდა წიგნებში წარმოდგენილი გმირების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. ბავშვებითვის ყველაზე მეტი ინტერესის სფეროს კი „ადამიანი“ წარმოადგენს. ამიტომაც სკოლამდელ პერიოდში ბავშვებს მარტივი რელიგიური ისტორიები უნდა მოვუყვეთ.]

გ. რჩევა-დარიგებით სწავლება

ადამიანი, რომელიც სოციალური არსებაა და საზოგადოებრივ გარემოში ცხოვრობს, შეუძლებელია, არ მოექცეს გარშემომყოფთა ზეგავლენის ქვეშ. უფროსების რჩევა- დარიგებები, ნახალისებები, აკრძალვები და დაბრკოლებები ბავშვების ყოფაქცევის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.



წმინდა ყურანში სურა ნაჰლის 125-ე აიათში უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„მოუწოდე შენი ღმერთის გზისკენ სიბრძნითა და კეთილი შეგონებით, ეკამათე მათ საუკეთესო მეთოდით. უეჭველად, შენი ღმერთი უკეთ უწყის, თუ ვინ ასცდა თავის გზას და უკეთ უწყის ჭეშმარიტ გზაზე მყოფთ!“

თუკი რჩევებმა და დარიგებებმა დადებითი შედეგი არ გამოიღო, ამის შემდეგ შესაძლებელია, გადავიდეთ მეორე ეტაპ-

ზე -დასჯაზე, რომელიც ითვალისწინებს ბავშვების მოთხოვნების შეუსრულებლობას.

ცეცხლს როგორც სასარგებლო, ასევე საზიანო და მწველი თვისება გააჩნია. ასეთივეა რჩევა-დარიგებაც. თუკი მშობლები ან აღმზრდელი პედაგოგი უყურადღებოდ მოიქცევა, შესაძლებელია, რჩევა-დარიგებამაც უარყოფითი შედეგი მოიტანოს.

რჩევა-დარიგებისთვის წინააღმდეგობის გაწევა უარყოფითი თვისებაა, მაგრამ ადამიანის ბუნება, სწორედ, ასეთი წინააღმდეგობებისკენაა მიდრეკილი. რჩევა-დარიგების დროს მსმენელის სიამაყე და ღირსება წინა პლანზე წამოიწევა, ამიტომაც ადამიანის ხასიათის ეს თავისებურებაც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

რჩევა-დარიგების დროს საუბრის შეწყვეტისა და დასრულების ადგილი და დრო კარგად უნდა განვსაზღვროთ.

დ. პრაკტიკული სწავლება

ისეთი ქმედებები და ღვთისმსახურებები, რომლებიც გვსურს, რომ ბავშვმა შეიძინოს, თავად მას უნდა შევასრულებინოთ. ასე უფრო მარტივად აითვისებს და ცხოვრებაში გაითავისებს.

პატარა გოგოს, რომელიც ყოველ დღე მომსწრე ხდება ოჯახში კერძების მომზადებისა, ჭურჭლის გარეცხვისა, დასუფთავებისა, თვალები შეჩვეული აქვს ამ საქმიანობას, მაგრამ როდესაც საქმე პრაქტიკაზე მიდგება, გოგონა ვერ გააკეთებს, რადგან მას ეს არასოდეს გაუკეთებია.



ბავშვისთვის ცოდნის გადაცემა ზოგჯერ თამაშის მეთოდითაც შეიძლება. ნებისმიერი თამაშის დროს შეიძლება, მშობელმა ბავშვს კანონები დაუწესოს.

მაგალითად: როდესაც ძვირფასმა ჰასანმა და ჰუსეინმა შენიშნეს, რომ ერთ-ერთი პიროვნება მცირე რიტუალურ განბანვას, „აბდესს“ არასწორად ასრულებდა, ჰკითხეს: “აბა ვნახოთ, რომელი ჩვენგანი ასრულებს სწორად?” ასეთი მეთოდით მას სწორი ვარიანტი უჩვენეს და შეცდომის გამოსწორებაშიც დაეხმარნენ.



4. ფაქტორები, რომლებიც აღმზრდელობით სფეროზე მოქმედებს

ა. გონებრივი განვითარება

ცნობილია, რომ ბავშვის მთავარი ინდივიდუალური თვისებები მნიშვნელოვან ფორმას იძენს პირველი ხუთი წლის განმავლობაში, ანუ სანამ ბავშვი სკოლაში წავა. ყველაზე მეტს, სწორედ, ამ პერიოდში სწავლობს. გამოკვლევები ადასტურებს, რომ ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში შესასწავლ ფასეულობების უმეტეს ნაწილს 3-6 წლის ასაკში იძენს.

ბ. ბავშვის ნიჭი



ბავშვს დაბადებისას ნიჭი თან დაჰყვება. უზენაესმა ალლაჰმა ყოველ ადამიანს განსაკუთრებული და განსხვავებული ნიჭი არგუნა. იმისათვის, რომ გავიგოთ ბავშვს რის მიმართ გააჩნია მიდრეკილება, რაშია უფრო მოხერხებული, საჭიროა, ბავშვს ნიჭიერების გამომჟღავნებაში დავეხმაროთ. თუკი ასე მოვიქცევით, ბავშვი ადვილად განავითარებს თავის ნიჭს და მარტივად შეძლებს სწავლას. წარუმატებელი იქნება ბავშვი, როცა მისი განვითარების პერიოდისთვის არაადეკვატური სწავლების მეთოდს მიმართავთ.



გ. ოჯახი

იმისათვის, რომ ბავშვმა რელიგიური ცოდნა მიიღოს, ისლამი უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობას ოჯახს აკისრებს. ოჯახი ბავშვის ფიზიკური და სულიერი აღზრდის საუკეთესო გარემოა. ბავშვის შეხედულება და რწმენა უზენაესი

ალლაჰის მიმართ მთლიანად ოჯახზეა დამოკიდებული. მაგალითად: ბავშვი, რომელიც ოჯახში უსაფრთხოდ ვერ გრძნობს თავს, მასში ჯანსაღი რწმენა ვერ ჩამოყალიბდება. ოჯახში, რომელშიც უსაფრთხო გარემოა, მშობელი ბავშვს რასაც ასწავლის და რისკენაც უბიძგებს, იმას კარგად აითვისებს და შესაბამის ფორმას მიიღებს.

დ. გარემო

ბავშვს სადაც გაუშვებ, იქაურ თვისებას შეიძენს. იგი როდესაც წამოიზრდება, მისი რწმენა ქვეცნობიერად გარშემომყოფების ზეგავლენის ქვეშ მოექცევა. 2-6 წელი ბავშვისთვის მიბაძვის პერიოდია. ირგვლივ რასაც ნახავს, იმას შეიცნობს და მიიღებს. ამიტომაც სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების სწორად შერჩევა მეტად მნიშვნელოვანია. სკოლამდელ პერიოდში ცოდნის მიღება ბავშვისთვის სასიცოცხლოდ ეფექტურია.



5. აღმზრდელი პედაგოგის თვისებები

ა. ინდივიდუალური თვისებები

I. ადამიანების დაფასება

აღმზრდელ პედაგოგს აღსაზრდელები ძალიან უნდა უყვარდეს. პედაგოგი, რომელსაც არ ეყვარება აღსაზრდელები და მათ განსხვავებულ ინდივიდებად არ მიიჩნევს, ვერ იქნება კარგი აღმზრდელი. ადამიანები განსხვავებული ნიჭითა და ხასიათით არიან გაჩენილები. ყველას არ შეუძლია, იყოს აღმზრდელი, შეეძლოს სწავლება და სიტუაციები ლოგიკურად განსაჯოს. აღმზრდელი ვალდებულია, დიდი ყურადღება გამოიჩინოს ადამიანებთან სწავლების დროს და იყოს სამართლიანი. აღმზრდელის ორიენტირი ადამიანია, ამიტომაც, თუ მას არ დააფასებს და მის მიმართ დიდ ინტერესს არ გამოიჩენს, მას არც მომსმენი ეყოლება და არც შედეგი ექნება.



უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: **„ვფიცავ, თქვენთან მოვიდა შუამავალი თქვენივე წიაღიდან. მძიმეა მისთვის, რომ თქვენ განსაცდელში ხართ. გული შესტკივა თქვენზე. მიმტევებელი და მწყალობელია მორწმუნეებისადმი!“** (სურა თევბე, აიათი 128)

„ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ლმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და ულმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ. აპატიე მათ, ითხოვე მათთვის მიტევება და დაეკითხე მათი საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები!“ *(სურა ალი ღიმრანი, აიათი 159)*

მუსლიმი აღმზრდელი პედაგოგი, რომელიც წინააღმდეგია ჰარამის, ინტრიგისა და ცოდვის, არაა მტრულად განწყობილი იმათ მიმართ, ვინც აღნიშნულ სისაძაგლეებს სჩადის. მუსლიმი ადამიანი ცოდვილებს მიიღებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინიც ადამიანები არიან და შეეცდება, რომ ისინი ამოიყვანოს იმ სიბინძურიდან, რომელშიც არიან ჩაძირულნი.

II. გულისხმიერება და შემწყნარებლობა

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: **„მოუწოდე შენი ღმერთის გზისკენ სიბრძნითა და კეთილი შეგონებით, ეკამათე მათ საუკეთესო მეთოდით. უეჭველად, შენი ღმერთი უკეთ უწყის, თუ ვინ ასცდა თავის გზას და უკეთ უწყის ჭეშმარიტ გზაზე მყოფთ!“ (სურა ნაჰლი, აიათი 125)**

უკეთილშობილესი შუამავალი გვამცნობს: ***„დიადმა გამჩენმა მომავლინა იმისათვის, რათა გავუადვილო და შევასწავლო ადამიანებს და არ გავურთულო და არ შევაძულო.”*** *(მუსლიმი, ტალაყი, 29)*

აღმზრდელი პედაგოგი ვალდებულია, ყველა ადამიანის მიმართ, გასნაკუთრებით კი იმათ მიმართ, ვისთანაც ურთიერთობა აქვს, გულისხმიერი იყოს. არ იქნება სწორი მეთოდი ის, თუკი აღმზრდელი აღსაზრდელებს უხეშად ან აგრესიულად მიუდგება. მათთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბება, დაფასება, თანამშრომლობა, მათი სწორ გზაზე დაყენება მისი მოღვაწეობის მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს.



აღმზრდელი პედაგოგი საკლასო ოთახში მოსწავლეების მიმართ სრულიად გულწრფელი, გულისხმიერი და გულმოწყალე უნდა იყოს, მათი აზრებისა და გრძნობების მიმართ კი — ყურადღებიანი, უნდა შეეძლოს მათი სიხარულისა და მწუხარების გაზიარება, მათ მიმართ თანაგრძნობისა და თანაგანცდის გამოხატვა. აღმზრდელი პედაგოგი არ უნდა იყენებდეს აღმზრდელობითი მუშაობის დროს პოლიტიკურ თუ სხვა სახის იდეოლოგიებს. აღმზრდელის მთავარი იდეოლოგია საუკეთესო ზრდილობისა და სწორი ყოფაქცევის ადამიანის ჩამოყალიბება უნდა იყოს.

არ იქნება სწორი ქმედება ის, რომ აღმზრდელი-პედაგოგი გულისხმიერი მხოლოდ



ბავშვის აღზრდის პროცესში იყოს, სხვა შემთხვევებში კი არა. მუსლიმი ადამიანი ვალდებულია, გულისხმიერი და მიმტევებელი იყოს არა მხოლოდ სწავლების დროს, არამედ ცხოვრების ნებისმიერ პერიოდში და ამ ყველაფერს მის სულსა და გონებაში ფესვები ჰქონდეს გადგმული. პიროვნებები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, არ აფასებენ ერთმანეთს, ისინი ვერაფერს ვერ შესძენენ აღსაზრდელებს.

III. მოთმინება

ურაყოფითმა გარემოებამ, ცხოვრების რთულმა პირობებმა, სხვადასხვა საშუალებების უქონლობამ და სწავლების რთულმა პირობებმა აღმზრდელი პედაგოგი არ უნდა დაამარცხოს. რთულ გზაზე ბრძოლის ყველაზე დიდი იარაღი მოთმინებაა. ნამაზი და ვედრება დიდი მონდომებით უნდა სრულდებოდეს. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: **„ლოცვითა და მოთმინებით ითხოვეთ შეწევნა (ღმერთისგან). უთუოდ, ძნელია იგი, თვინიერ მოკრძალებულნისა“**. *(2/45)*

მოთმინება უტყუარი მაჩვენებელია იმისა, რომ ადამიანი ნებისმიერ სიტუაციაში არ გრძნობს მარტოობას. მოთმინება უზენაეს ალლაჰზე მინდობაა, ძალების ერთობლიობაა, დასახული მიზნის მისაღწევად თავგანწირვაა.

უნებისყოფო, მოუთმენელი აღმზრდელი მთელ საკუთარ ენერგიას დახარჯავს გარშემომყოფებისთვის, მაგრამ საბოლოოდ დახარჯულის შესაბამის შედეგს ვერ მიიღებს, მისთვის დანაკარგი უფრო მეტი იქნება, ვიდრე შედეგი.

უზენაესი ალლაჰი მოთმინების შესახებ ბრძანებს: **„და რომელთაც მოითმინეს თავიანთი ღმერთის კმაყოფილების სურვილით“** *(სურა რადი, აიათი 22)*

„მაშ, მოითმინე, როგორც მოითმინეს მტკიცე ნების მქონე შუამავლებმა და არ ითხოვო დაჩქარება მათთვის, რამეთუ იმ დღეს იხილავენ იმას, რაც აღთქმული ჰქონდათ...*(სურა აჰყაფი, აიათი 35)*

„ვფიცავ, ღესვრს (ესაა დრო ან სამხრობის, ან აბსოლუტური დრო)! უეჭველად, ადამიანი წაგებულია! გარდა მათი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, და ერთმანეთს ჭეშმარიტებასა და მოთმინებას ამცნობენ!“*(სურა ასრი, აიათი 1-3)*

IV. ხელგაშლილობა

აღმზრდელი პედაგოგი ალლაჰისთვის საკუთარი ქონების გაღებით უნდა გამოირჩეოდეს და მოსაწვლეებისთვის სანიმუშო უნდა იყოს. დღევანდელ მსოფლიოში გლობალურმა კაპიტალიზმმა მოსახლეობის დიდი ნაწილი ღარიბ ფენად აქცია, ამიტომაც ამ პერიოდში ხელგაშლილობა და ქველმოქმედება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თვისებაა. დღევანდელ მსოფლიოში ყველაფერს შესაბამისი ფასი ადევს და მატერიალური სარგებელი ცხოვრების წესად არის ქცეული. დიადი გამჩენის კმაყოფილებისთვის აუცილებელია თუნდაც მცირეოდენი ქველმოქმედება, უსასყიდლოდ, უანგაროდ ერთმანეთის დახმარება და ადამიანებისთვის შეძლებისდაგვარად ხელის გაწოდება, როდესაც ამას აკეთებ მაშინ, როცა იგივე დახმარება შენც გჭირდება, უდიდესი თავგანწირვაა და იგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კაცობრიობისთვის.

ხელგაშლილობა საუკეთესო თვისებაა, რომელიც მნიშვენლოვნად დასაფასებელია და მას ჩვენს ცხოვრებაში ღირსეული ადგილი უნდა ეკავოს. ადამიანებს ხელგაშლილობის მნიშვნელობაზე საუბრები სჭირდებათ, ვინაიდან საზოგადოებისთვის მისი არსებობა წყაროსავით საჭიროა.

როდესაც აღმზრდელი პედაგოგი თავისი ცხოვრებით ხელგაშლილობის ნიმუშია, მორალურად ვალდებულია იგივე სულისკვეთება საზოგადოებასაც ჩაუნერგოს და ხალხი სიძუნწის მორევისგან იხსნას.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: **„და ნუ იქნები ხელმომჭირნე (სიძუნწე არ გამოიჩინოთ) და ნურც გაშლი მას ბოლომდე,(არ გადახვიდე ზღვარს და არ გაანიავო ქონება) თორემ იმედგაცრუებული, გაღატაკებული დარჩები!** (17/29)



რომელიც გაიღებს თავის ქონებას, რათა განიწმინდოს! *“(სურა ლეილი, აიათი 18)*

V. თავაზიანობა

სწავლა-განათლების პერიოდის ყოველდღიურ ურთიერთობაში თავაზიანობის ჩარჩო არ უნდა გადავლახოთ. ძვირფასი ენეს ბინ მალიქი ამ საკითხთან დაკავშირებით მოგვითხრობს: წმინდა მუჰამმედი (ს.ა.ვ.) არ

იყო უკადრისი, შემარცხვენელი სიტყვების მთქმელი და მაწყევარი პიროვნება.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: **„და უეჭველად, შენ ადგახარ უმაღლეს ზნეობას!** *(სურა ყალემი, აიათი 4)*

აღზრდის პროცესში ფიზიკური მოთხოვნილების წინააღმდეგ ბრძოლას შედეგად თან ახლავს ისეთი უნარების ჩამოყალიბება, როგორიცაა; მაღალი ზნეობრივი დისციპლინა, ფართო საზრიანობა და საკითხების სიღრმისეული წვდომა. ქვემოთ ჩამოთვლილი ზნეობრივი ნორმები ამათგან ზოგიერთია.

VI. ნდობა

აღმზრდელი პედაგოგი მისთვის შესაფერისი ზნეობით, ყოფაქცევით, საუბრითა და პროფესიონალიზმით ყველას ნდობას უნდა იმსახურებდეს. „სანდოს“ სახელს უნდა ატარებდეს. უფრო მეტიც, მის მიმართ მტერიც და მოკეთეც ნდობით უნდა იყოს განწყობილი.

VII. სანიმუშო ადამიანობა

თუკი აღმზრდელ-მასწავლებელი საზოგადოებაში ავტორიტეტული პიროვნება არ არის, ესე იგი ის ამაყი, არასანდო, ბოროტი და საეჭვო ხასიათის პიროვნებაა.

VIII. დისციპლინის მქონე

არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ წარმატების მიღწევის მთავარი პირობა დისციპლინაა, რომელმაც ცხოვრების ყველა სფერო უნდა მოიცვას. პიროვნება აუცილებლად უნდა იყოს დისციპლინირებული, რადგან უხეშობით, პირქუშობით, ამორალური ქცევებით საზოგადოების სიმპატიას ვერ დაიმსახურებს და წარმატებული ვერ იქნება.



ბ. მიმართვის მეთოდი

I. მოკლე და კონკრეტული საუბარი

უკეთილშობილესი შუამავლის (ს.ა.ვ) საუბრის მიზანი რეალობის აღქმა იყო. იგი არასოდეს იყენებდა ისეთ მეთოდს, როგორიცაა რეალობის გაზვიადებით ადამიანებზე

ზემოქმედება. ცნობილია, რომ იგი ზოგჯერ საუბრით იპყრობდა ადამიანების გულებს და სასურველ მიზანს აღწევდა. შესაძლებელია, ასეთი სტილით საუბარმა ყოველთვის სასურველი შედეგი არ გამოიღოს, ვინაიდან ასეთი საუბრები, შესაძლოა, ატარებდეს მომაჯადოებელ ეფექტს და რეალობას სცდებოდეს. საუბრის საჭიროზე მეტად გაგრძელება, ერთი და იმავის რამდენჯერმე უაზროდ განმეორება მსმენელისთვის მოსაწყენი იქნება და თან ისეთ განწყობაზე დააყენებს, თითქოს იგი უგუნურ პიროვნებად მიაჩნიათ.

II. გამართული საუბარი

აღმზრდელი, პედაგოგი აუცილებელია, საუბრობდეს გამართულად, ასობგერებსა და სიტყვებს გამოკვეთილად წარმოსთქვამდეს, ხოლო მისი საუბარი მსმენელს სიამოვნებდეს. ყველა ენას საკუთარი წესები და თვისებები გააჩნია, ამიტომაც მათი დარღვევით როგორც ფორმა, ასევე მნიშვნელობაც შეიცვლება. ეფექტური და შედეგიანი საუბრის მსურველმა აღმზრდელმა უნდა იცოდეს დედაენის გრამატიკა, აუცილებლად უნდა ფლობდეს სასაუბრო ენას და უნდა იცოდეს მისი ყველა წესი და კანონი. აღმზრდელი, პედაგოგი უნდა იყოს კარგი მჭევრმეტყველი და მეტად წიგნიერი.

III. მეთოდის სწორად შერჩევა

საუბარი ის პრიალა სარკეა, რომელიც მოსაუბრის გონებას, გულს, რწმენასა და ზნეობას ერთად ააშკარავებს. ენას, რომელიც სიკეთის გასაღებია, თუ არასათანადოდ გამოვიყენებთ, შესაძლოა ბოროტების გასაღებად იქცეს. ამიტომაც აუცილებელია, გავუფრთხილდეთ ენას, რათა იგი არ იქმნეს ეკლად, რომელიც ადამიანთა გულებს დააზიანებს.



IV. სიტყვის დიდი მარაგი

აღმზრდელი პედაგოგი უნდა იყოს განათლებული, კულტურული, რაც იცის, ის სრულად უნდა იცოდეს და რასაც ასწავლის, სრულყოფილად უნდა ასწავლოს.

V. ხმის ტემბრის განსაზღვრის უნარი

აღმზრდელ-მასწავლებლის საუბარი არ უნდა იყოს ერთი ტონის, იგი სიტუაციის

შესაბამისად ზოგჯერ მაღალი ხმით უნდა საუბრობდეს, ხოლო ზოგჯერ კი დაბალი ხმით ჩურჩულებდეს. გასხვავებული ხმის ტონი საუბარს საინტერესოს, შთამბეჭდავსა და მრავალფეროვანს ხდის. რა თქმა უნდა, ეს სტრატეგია მსმენელის ინტერესს გაზრდის.



გ. გონებრივი თვისებები

I. აღმზრდელ პედაგოგს როგორც გული, ასევე გონებაც სუფთა უნდა ჰქონდეს

აღმზრდელი პედაგოგის გონება წმინდა წყაროებით უნდა იყოს გამოკვებილი და შესაბამისად რწმენაც და აზროვნებაც სუფთა უნდა გააჩნდეს. მისი აზრები არ უნდა იყოს არაჯანსაღი იდეებით მოწამლული და დასნეულებული და სული არ უნდ ჰქონდეს დაბინძურებული. მისი მოსაზრებები მოსწავლეებისთვის ჯანსაღი ცოდნის წყარო უნდა იყოს. იგი წმინდა ყურანისა და სუნნეთის უშრეტი წყაროთი უნდა იკვებებოდეს, ვინაიდან აღსაზრდელების სუფთა გონება მასწავლებლის მოსაზრებებით და მის მიერ გადაცემული ცოდნით უნდა შეივსოს.

II. აღმზრდელი პედაგოგი დროის კარგად მცოდნე უნდა იყოს

აღმზრდელი მასწავლებელი ვალდებულია, ეპოქის დადებით და უარყოფით სფეროს კარგად იცნობდეს, სათანადოდ იღებდეს გამოცდილებებს და არ იყოს მხოლოდ ერთი დროით, ან ერთი გარემოებით შემოფარგლული და ისლამის ფასეულობების ეპოქიდან ეპოქაზე გადაცემის გზებს ეძიებდეს.

III. ყოველთვის ეცადოს, ცოდნის გაიღრმავებას

აღმზრდელი ვალდებულია, საკუთარი საგანი ზედმიწევნით იცოდეს, აუცილებელია ფლობდეს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაკტიკულ გამოცდილებას, ვინაიდან მან აღსაზრდელები მომავალი ცხოვრებისთვის უნდა მოამზადოს. მან უნდა შეძლოს იმ ცოდნის გადაცემა, რომელიც ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანია და არსებობისთვის საჭიროა. აღმზრდელი პედაგოგი გამუდმებით უნდა ცდილობდეს საკუთარი ცოდნის გაღრმავებას, განახლებას, გადახალისებას და მოსწავლეებს უნდა ამზადებდეს მომავლისთვის სანიმუშო მოქალაქეებად.

დ. ფიზიკური თვისებები

I. სისუფთავე

აღმზრდელი პედაგოგი თავისი მდგომარეობითა და მოქმედებებით ვალდებულია, რომ სანიმუშო იყოს აღსაზრდელებისთვის. იგი როგორც ქმედებებით, ასევე წესრიგითა და სისუფთავით უნდა გამოირჩეოდეს. საუკეთესო სურნელებითა და კოხტა, მოხდენილი ჩაცმულობით მოსწავლის მზერას უნდა იპყრობდეს.


II. მოწესრიგებული ჩაცმულობა

აღმზრდელი პედაგოგი ადამიანების თვალში სასიამოვნო ჩაცმულობით უნდა გამოიყურებოდეს. არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ პიროვნებას ჩაცმულობის შესაფერისად დახვდებიან და საუბრით სათანადოდ გააცილებენ. ჩაცმულობა სადა, უბრალო, მოხდენილი და ჰარმონიული უნდა იყოს. ზედმეტობისგან თავი უნდა შევიკავოთ, თორემ მოსწავლის ყურადღებას აღმზრდელი მასწავლებლის არათუ საუბარი, არამედ ჩაცმულობა მიიქცევს.

III. ჯანმრთელობა

აღმზრდელმა მასწავლებელმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ სხეული მისთვის უზენაესი ალლაჰისგან მიბარებული ამანათია. ამიტომაც სხეული ზედმეტად არ უნდა გადაღალოს და ყურადღებით უნდა იკვებოს. სხეულს უნდა მოუაროს და ჯანმრთელობას გაუფრთხილდეს. ავადმყოფი მასწავლებელი გაკვეთილს ვერ დაესწრება და თუნდაც დაესწროს, ხარისხიანად ვერ ჩაატარებს. იმისათვის, რომ სამსახური ღირსეულად შეასრულო, საჭიროა, ჯანმრთელობას გაუფრთხილდე.

IV. პოზიცია



არ შეიძლება აღმზრდელი იყოს ზედმეტად ამაყი და ზედმეტად თავმდაბალი. ის უნდა იყოს, გაწონასწორებული, იმედიანი, მახარობელი და იოლი გზის მაჩვენებლი. ირგვლივ მხიარულებას უნდა აფრქვევდეს და სახემღიმარი გამოიყურებოდეს. კარგად უნდა იცოდეს თუ როგორ გამოიყენოს სხეულის ენა.

6. პედაგოგი აღზრდა-განათლების გზაზე

აღმზრდელი მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეს სწავლის წყურვილს ვერ უღვივებს, იმ მჭედელს ჰგავს, რომელიც ცივი რკინის დამუშავებას ცდილობს.

ა. პედაგოგი კარგად უნდა იცნობდეს აუდიტორიას

აღმზრდელი პედაგოგი თანამოსაუბრის ასაკს, ცოდნის დონეს, კულტურულ თვითშეგნებასა თუ ზნეობრიობას კარგად უნდა იცნობდეს. თუკი გვინდა, რომ გაწეულმა სამსახურმა პოზიტიური შედეგი გამოიღოს, ყველაფერ ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან ცოდნის დაბალი დონის მქონე პიროვნებას ისე არ ესაუბრო, როგორც მაღალი ინტელექტის მქონეს, მორწმუნეს ისე არ ესაუბრო, თითქოს ურწმუნოს უხსნიდე, ან კიდევ პირიქით. მსგავსი მიდგომა არცერთ შემთხვევაში დადებით შედეგს არ მოიტანს. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეების ინტერესის სფერო და მოთხოვნილებები. შესაძლებელია, ესა თუ ის მოსწავლე შეპყრობილი ჰყავდეს მისთვის საზიანო სურვილებს. ამიტომ, მდოგმარეობას კარგად უნდა გავეცნოთ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ მას სწორი მიმართულება მივსცეთ.

ბ. ყველას უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ისინი ძვირფასები არიან



პიროვნება, რომელიც აღმზრდელობის პროცესში ინტელექტუალური და ემოციური თვალსაზრისით მისთვის შესაბამის ადგილს ვერ დაიმკვიდრებს, დროის შუალედში საერთოდ მოსწყდება გარემოს, ან პრობლემურ ინდივიდად ჩამოყალიბდება. აღმზდრელი მასწავლებელი ვალდებულია, თითოეულ მოსწავლეს აგრძნობინოს, რომ ის მისთვის, გამონაკლისის გარეშე, ძვირფასია.

გ. პოზიტიური დამოკიდებულება და მისი დანერგვა

აღმზრდელმა პედაგოგმა არასოდეს უნდა გამოავლინოს პესიმისტური განწყობა. ყველაზე რთულ პერიოდშიც კი უნდა შეეცადოს, რომ მოსწავლეებს ბედნიერებისკენ მიმავალი გზები აჩვენოს და მათში დადებითი მუხტი ჩანერგოს.

დ. სანდოობა და დამაჯერებლობა

სანდოობას და დამაჯერებლობას წინ უძღვის მართალსიტყვაობა და გულწრფელობა, რომლისგანაც შორს არის ანგარებიანი ურთიერთობა. პიროვნება, რომელიც ყოველთვის მატერიალურ სარგებელზე და საკუთარ თავზე ფიქრობს, ის საზოგადოებაში ვერ იქნება სანდო სახელის მატარებელი. აღმზრდელმა პედაგოგმა გარკვეულ მომენტებში როგორც დრო, ასევე ხელთარსებული მატერიალი სწავლების მიზნით უნდა გაიღოს.

ე. თავისი სფეროს პროფესიონალი უნდა იყოს

სანიმუშო პიროვნება იქნება ის, რომელსაც კარგად ეცოდინება რა, როდის და როგორ უნდა გააკეთოს. აღმზრდელმა პედაგოგმა უნდა იცოდეს, როგორ დაუახლოვდეს ადრესატს და როგორ შეაღწიოს მის გულში. ამიტომაც, იმ საგანში, რომელიც უნდა ასწავლოს, თავად უნდა იყოს, პირველ რიგში, საუკეთესოდ მომზადებული და მეთოდოლოგია სწორად უნდა ჰქონდეს შემუშავებული.

ვ. პედაგოგი პატივსაცემი პიროვნება უნდა იყოს

პატივისცემის ღირსი იქნება პიროვნება, რომელიც თითოეულ მსმენელს სათანადოდ დააფასებს. გამომდინარე აქედან, ადამიანი იმდენად იქნება პატივდებული, რამდენადაც სხვებს აფასებს. ასეთი ადამიანი უმეცრების, უპატივცემულობის დროსაც კი პიროვნებას მხოლოდ იმიტომ დააფასებს, რომ ის „ადამიანია“.



წერილი მასწავლებელს

ერთ მშვენიერ დღეს, რომ ვინმემ ასე გითხრას;

“ძალიან მალე თქვენთან სტუმარი მოვა!

თქვენ მას უნდა მოემსახუროთ და უმასპინძლოთ.

თანაც ისეთი სტუმარია, რომელსაც ჯერ ცოდვა არ ჩაუდენია. უფრო მეტიც, დედამიწაზე უცოდვილო და უმწიკვლო პიროვნებაა...

მაგრამ საჭიროა ძალიან გაუფრთხილდეთ, რომ თქვენ მიერ ჩადენილი ბოროტება და სიგლახე არ დაინახოს. ვინაიდან ეს მას ძალიან შეაწუხებს და აწყენინებს.

ხოლო თქვენს მიერ გაკეთებული სიკეთე ყოველთვის დაინახოს. ასეთები მას ძალიან ახარებს და მოსწონს.

უზენაეს ალლაჰს თქვენი სტუმარი ძალიან უყვარს, ვინაიდან თქვენი გაჩენის ერთ-ერთი მიზეზი მასზე მსახურებაა.

დიადი გამჩენი თქვენს სტუმარს იმდენად აფასებს რომ;

დედამიწაზე თუკი სიკეთის ქმნას ინებებს, ამის გაკეთებას მხოლოდ მისი ხელით ინებებს.

უზენაესი ალლაჰი თქვენი სტუმარის წყალობით კაცობრიობას სიკეთეს მოუტანს და ბოროტებას ჩამოაშორებს.

სამოთხეში თქვენი შესვლაც კი ერთის მხრივ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ უმასპინძლებთ აღნიშნულ სტუმარს.

უფრო მეტიც, ის სტუმარი თქვენ ჯოჯოხეთიდან გადარჩენის საშუალებას მოგცემთ!

მაგრამ მთავარ და მნიშვნელოვნად საყურადღებო საკითხის წინაშე იქნებით!

სანამ სტუმარი თქვენთან ერთად იქნება, თქვენ მიერ ჩადენილი თითოეული ცოდვა და შეცდომა, ერთმანეთს ნელ-ნელა დაგაშორებთ.

ის სანამ თქვენთან ერთად იქნება, თქვენ მიერ ჩადენილი დიდი თუ პატარა ცოდვა, სტუმრის მიერ მოტანილ ხვავსა და ბარაქას დაგაშორებთ.

უფრო მეტიც, ის გულში გავლილ და სახეზე ანარეკლ ცუდ განზრახვასაც კი იგრძნობს.

თუკი მის გულს მოიგებთ, მას ღირსეულად მოემსახურებით, შესაძლოა, მთელი საზოგადოების გადარჩენა შეძლოთ.

მაგრამ ასევე ძალიან მნიშვნელოვანია...

თქვენ იქნებით ერთ-ერთი ის პიროვნება, რომელსაც აღნიშნული სტუმარი იცნობს.

როგორიც იქნებით თქვენ, ისე გაიცნობს სხვა ადამიანებსაც.

თქვენში ნანახ სწორს სწორად, ხოლო შეცდომას შეცდომად შეისწავლის.

თუკი სწორს შეცდომად, შეცდომას კი სწორად შეისწავლის, ზემოთ ჩამოთვლილ ვერცერთ ჯილდოს ვერ მიიიღებთ.

სრულებით არ იდარდოთ, ის თქვენ ძალიან შეგიყვარდებათ.

მაგრამ თქვენ ის იმდენად შეგიყვარებთ, რამდენის ღირსიც იქნებით.

ასევე ერთ მშვენიერ დღეს ხელთარსებულ მთლიან მემკვიდრეობას მას დაუტოვებთ.

თუმცა ის თქვენ მიერ დანატოვარი მემკვიდრეობისგან მხოლოდ ***ცოდნას, სიბრძენსა და ზნეობას დაიტოვებს.***

გაინტერესებთ ვინ არის ეს სტუმარი?

თქვენი მორალი, რომელიც თქვენი მემკვიდრეობისგან დანატოვარ ცოდნას, სიბრძნეს თქვენ შემდეგ შეუნარჩუნებს არსებობას თქვენი ქალიშვილების, ვაჟიშვილებისა და მოსწავლეების სახით.

ისინი თქვენი ამქვეყნიური სტუმრები არიან.

მაგრამ საიქიოში!

უკიდეგანო მოგ ზაურობის, მარადიული სამოთხის უსასრულო მეგ ზური იქნება...”



ფარუქ ქანგერი

რწმენის ღირებულებები

1. ალლაჰის რწმენა

1. ბავშვთა ასაკის მიხედვით ალლაჰის წარმოდგენის ფანტაზია და მისი რწმენის ახსნა

ბავშვები მათი ასაკის შესაბამისად სხეულით, ინტელექტითა და ემოციურობით ერთმანეთისგან განსხვავდებიან. აღნიშნული განსხვავებები კარგად უნდა იცოდნენ მშობლებმა და მასწავლებლებმა, რათა ყურადღება მიაქციონ ბავშვთა განვითარების დონეს და მათ სათანადო განათლება მისცენ.

ბავშვის ზრდასთან ერთად მისი მოთხოვნილებები იცვლება. ბავშვს სათანადო დროს მოთხოვნილებების შესაბამისად ინფორმაციები სწორად და გარკვევით უნდა მივაწოდოთ. ამ დროს ბავშვის ინტელექტუალური მდგომარეობა და ემოციური მხარე, აუცილებლად, უნდა გავითვალისწინოთ.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ბავშვის ზრდის პერიოდი. უკეთილშობილესი მუჰამმედ შუამავალი (ს.ა.ვ) ბრძანებს: **„ადამიანებს თავიანთი შეგნების დონის შესაბამისად მოექეცით"** *(ებუ დავუდი, ედები, 22).* გამომდინარე აქედან, ბავშვს შემეცნების, ოცნების სამყაროს, ცოდნის დონისა და ნიჭიერების შესაბამისად უნდა მოვუთხროთ ერთადერთი ღვთაების - ალლაჰის შესახებ. ბავშვს უზენაესი ალლაჰის არსებობისა და მისი თავისებურებების შესახებ კონკრეტულად უნდა ვესაუბროთ.

I. 0-2 წლის ასაკი

ბავშვები უზენაესი ალლაჰის შესახებ ინფორმაციებს, დიადი გამჩენის არსებობის ჭეშმარიტებას თავდაპირველად გარემოსა და მშობლების ყოველდღიური ცხოვრებისგან ქვეცნობიერად ეუფლებიან. 0-2 წლის ასაკის ბავშვები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ საუბრობენ გამართულად და წინადადებებს თავისუფლად ვერ აყალიბებენ, თვალყურს ადევნებენ მშობლებსა და გარემოს, რომელშიც იმყოფებიან. ბავშვი, რომელიც მშობლების ყოფაქცევებსა და მათ მიერ ოჯახურ გარემოში შეტანილ წვლილს აკვირდება, საკუთარ თავში

გაიაზრებს და მისცემს თავისებურ ინტერპრეტაციას. ჩვენს რელიგიაში, „ისლამში“, ბავშვისთვის რეკომენდირებულია პირველ სიტყვად „ალლაჰის“ სწავლება. მთავარი ის არის, რომ ბავშვის გონებაში დაისადგუროს სიტყვამ„ ალლაჰი“, რომელიც დიადი გამჩენის ულამაზესი სახელია. როგორც ოჯახურ გარემოში, ასევე ყოველდღიურ საუბარში უნდა ვიყენებდეთ წინადადებებს, რომლებიც უზენაესი ალლაჰის არსებობას გვახსენებს და ეს ბავშვის გონებაშიც მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს, მაგალითად: „ალლაჰს ებარებოდე“, „ალლაჰმა დაგვიფაროს“, „ალლაჰი უზენაესია“, „ალლაჰი ყოვლისმხედველია“, „ალლაჰმა უწყის“, „ალლაჰმა გაგიადვილოს“ და სხვა... აღნიშნული ცნებები ბავშვის გონებაში სიტყვის მარაგს გაამდიდრებს და მასში ალლაჰის არსებობის რწმენას საფუძველი ჩაეყრება. ამისათვის არა მარტო მსგავსი წინადადებებია საკმარისი, საჭიროა, ბავშვი ხედავდეს მშობლებს მუხლმოდრეკილი ვედრების დროს, სხვადასხვა ღვთისმსახურებების შესრულების მომენტში, ამ ქცევებით ბავშვი ქვეცნობიერად უზენაესი არსების, „ალლაჰის“ არსებობას შეიმეცნებს.

II. 2-5 წლის ასაკი

გამართული საუბრის დაწყებიდან ბავშვს ინტერესი უძლიერდება ყველაფერ იმის მიმართ, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხედვას და ესმის. ეს კი მიზეზი ხდება იმისა, რომ ბევრი კითხვა დასვას და შესაბამისად მიიღოს პასუხები. ამ პერიოდში, რომელშიც ბავშვის კითხვების რაოდენობა განუსაზღვრელია, მშობლები ვალდებულნი არიან დასმულ შეკითხვებს დიდი ყურადღებით უპასუხონ. ხოლო, რაც შეეხება არსებებს, რომლებსაც ისინი ხედავენ და შესაბამისად სვამენ კითხვებს, შესაძლოა პასუხის გაცემა დავიწყოთ იქიდან, რომ ამ ყველაფრის ერთადერთი გამჩენი უზენაესი ალლაჰია. აუცილებელია პასუხები სწორი, მოკლე, კონკრეტული და ამომწურავი იყოს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავსცეთ მცდარი და ბუნდოვანი პასუხები. მაგალითად: თუკი ბავშვი დასვამს კითხვას; “როგორ მოდის წვიმა?” – პასუხად -„ალლაჰის ნებით წვიმს“ თქმაც კი მას ალლაჰის უეჭველი არსებობისკენ და მისი რწმენისკენ უბიძგებს. როგორც ზემოთ






მოგახსენეთ, ბავშვები მათთვის დამახასიათებელი ბუნებიდან გამომდინარე რწმენისთვის ღია არიან.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მშობლების რელიგიასთან სიახლოვე და რელიგიის ტერმინოლოგიის ცოდნაა. თუკი მშობელი ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად იყენებს აღნიშნულ ტერმინებს, ეს ბავშვს ალლაჰის სიყვარულს, რწმენას ქვეცნობიერად ჩაუნერგავს. პერიოდში, რომელშიც ბავშვები ფიქრობენ კონკრეტულად, შესაძლებელია, მოკლე და საინტერესო ისტორიების მოყოლით შევასწავლოთ ზოგიერთი ცნება. ბავშვი საინტერესო ისტორიით კარგად გაიგებს, თუ რა არის გულისხმიერება. მოწყალების, ურთიერთდახმარებისა და სიყვარულის ცნებებიც შეიძლება ავუხსნათ გარკვეულ ისტორიებზე დაყრდნობით. ალლაჰთან ნაბიჯ-ნაბიჯ მიახლოების მეთოდით შესაძლებელია, მივმართოთ უკეთილშობილესი შუამავლის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა; ვედრებების, ლექსებისა და მნიშვნელოვანი წინადადებების სწავლება. ასევე შესაძლებელია მოვუყვეთ ისტორია, რომელიც ცნობილია ემოციურობით. მაგალითად; როდესაც უკეთილშობილესი შუამავალი ნამაზს ასრულებდა, შვილიშვილი უმამე სეჯდეზე წასვლის დროს ზურგზე შეჯდებოდა, ხოლო ფეხზე ადგომის დროს მხრებზე ემაგრებოდა. შუამავალი კი ასეთ მდგომარეობაში ასრულებდა ლოცვას.

III. 5-8 წლის ასაკი

გონებრივ განვითარებასთან ერთად 5-8 წლის ასაკის ბავშვები უზენაესი ალლაჰის შეცნობას ოცნების სამყაროში არსებული მსგავსებებით შეეცდებიან. ბავშვი, რომელიც მანამდე ფიქრობდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მშობლები იყვნენ ყოვლისშემძლენი, 5 წლის შემდეგ თანდათან გაითავისებს, რომ მათ ყველაფრის ძალა არ შესწევთ და იგრძნობენ, რომ სამყაროში არსებობს ყოვლისშემძლე დიადი გამჩენი. მაგრამ რადგანაც არ შეუძლიათ აბსტრაქტული აზროვნება, ალლაჰს ვეებერთელა ადამიანად წარმოიდგენენ, ან კიდევ ცხოვრებაში ნანახ უდიდეს არსებას მიამსგავსებენ. ამასთან ერთად ბავშვმა ალლაჰი რაოდენ დიდ არსებადაც არ უნდა წარმოიდგინოს, ან მიამსგავსოს, 7-8 წლის ასაკში უკვე მიხვდება, რომ ის უხილავია.



რადგანაც ამ ასაკში ბავშვებს შეუძლიათ, ირგვლივ მიმდინარე მოვლენების შესახებ კომენტარი გააკეთონ, შესაძლებელია, მოვიყვანოთ მაგალითები ადამიანებისა და სამყაროს არსებობიდან და ეს დავუკავშიროთ დიადი გამჩენის განგებას. მაგალითად ის, რომ ადამიანი ხშირად უძლურია, სუსტია და ზოგჯერ ავადაც ხდება, ან შემთხვევა მოუდის, მაგრამ ამ დროს მას უზენაესი ალლაჰი ეხმარება და აღნიშნული რთული სიტუაციიდან გამოსავალ გზას უჩვენებს.

ზოგადი ცნობები, როცა ბავშვს ალლაჰზე ვესაუბრებით

- პირველ რიგში კარგად უნდა ვიცოდეთ ბავშვის გონებრივი განვითარების პერიოდი. სწორედ განვითარების პერიოდის გათვალისწინებით უნდა ვესაუბროთ ალლაჰზე.
- ის, რომ ბავშვია და აბსტრაქტული ცნებებით ვერ აზროვნებს, ამის გამო აღნიშნული საკითხები არ უნდა გამოვრიცხოთ.
- უნდა ვიცოდეთ, რომ მშობლების მიერ ოჯახურ გარემოში ალლაჰის არსებობის შესახებ გაჟღერებულ წინადადებებს ბავშვი ყურადღებით ადევნებს თვალყურს და მის ქვეცნობიერებაში ინფორმაციის სახით გროვდება.
- გამართული საუბრის დაწყების შემდეგ ბავშვის მიერ დასმულ შეკითხვებს შესაძლოა, პასუხი გავსცეთ იმ შინაარსით, რომ ამ ყველაფრის ერთადერთი გამჩენი უზენაესი ალლაჰია, მაგ: “ალლაჰს ებარებოდე, მადლობა ალლაჰს, ან თუკი ალლაჰი ინებებს”.
- იმისათვის, რომ ალლაჰის ცნება სწორად შეისწავლოს, აბსტრაქტული მოვლენების შემცველი ისტორიები და მოთხრობები უნდა მოვუყვეთ.
- მშობლები ყურადღებას უნდა აქცევდნენ სულიერ ცხოვრებას. რწმენის ვალდებულებებს უნდა ასრულებდნენ ზედმიწევნით, რათა ეს ყველაფერი ბავშვისთვის მაგალითი იყოს.
- ბავშვების მიერ სამყაროში არსებული მოვლენების შესახებ დასმულ კითხვებს პასუხი ისე უნდა გავსცეთ, რომ ხაზგასმით გამოვკვეთოთ ალლაჰის არსებობა და მისი ყოვლისშემძლეობა.
- 4-6 წლის ასაკის ბავშვებთან უზენაესი ალლაჰის თავისებურებებზე საუბრისას თემას არ უდნა ჩავუღრმავდეთ და მხოლოდ ზოგადი ახსნით უნდა შემოვიფარგლოთ.
- განსაკუთრებით მაშინ უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით, როცა ბავშვს აინტერესებს და გვეკითხება.

ბავშვს არ უნდა მოვუყვეთ ისეთი რამ, რაც ალლაჰის შესახებ მას ნეგატიურ ფიქრებს გაუჩენს. ბავშვის არასწორი ქცევის გამოსწორების მიზნით ალლაჰის სახელით დაშინება მცდარი საქციელია და ასეთებისგან თავი შორს უნდა დავიჭიროთ, მაგალითად: "ალლაჰი დაგსჯის, ალლაჰი გაგაქვავებს, ალლაჰი ჯოჯოხეთში დაგწვავს" და.ა.შ.

ბ. საყურადღებო საკითხები, როდესაც ბავშვებს ალლაჰზე ვუყვებით

ბავშვები 3-4 წლის ასაკში ძალიან ბევრ კითხვებს სვამენ. მათ ისე, როგორც ნებისმიერი საკითხი, ასევე ალლაჰის შესახებაც აინტერესებთ. ეს პერიოდი საუკეთესო მომენტია, რომ ბავშვს ალლაჰის შესახებ ავუხსნათ, მაგრამ ამავე დროს ზედმიწევნით დიდი სიფრთხილე გვმართებს.

რა უნდა გავაკეთოთ, როცა ბავშვს ალლაჰის შესახებ ვესაუბრებით?

1. ისე როგორც ყველა საკითხში, ასევე რელიგიურ სფეროშიც ოჯახის წევრები სანიმუშონი უნდა იყვნენ. მშობლების საუბარი და საქმე ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს.

2. ბავშვი სკოლაში საყვარელი მასწავლებლის გაკვეთილებს უკეთ სწავლობს, ვიდრე იმ მასწავლებლისა, რომლისაც ეშინია. ამიტომაც, მშობელმა სიყვარულითა და მოფერებით უნდა მიუდგეს და ისე ასწავლოს.



3. 2-8 წლის ასაკის ბავშვს უზენაესი ალლაჰი არათუ ცოდვილების ჯოჯოხეთში დამსჯელი, არამედ კეთილი ადამიანების სამოთხით დამჯილდოვებელ არსებად უნდა შევამცნოთ.

4. გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვები მოყოლილ ამბებს ადვილად იჯერებენ, აუცილებელია, მიცემული ცოდნა სწორი და უტყუარი წყაროებიდან იყოს.

5. ისე როგორც უფროსები, ასევე ბავშვებიც მათზე უფრო ძლიერის არსებობის რწმენასა და სანდო დასაყრდენს საჭიროებენ. ამიტომაც, კარგად უნდა



ავუხსნათ, რომ ეს ყოველისშემძლე ძალა უზენაეს ალლაჰს ეკუთვნის.

6. ბავშვებს მათი ასაკის შესაბამისად გარკვეული ვედრებები ხალისით, მოფერებითა და სიყვარულით უნდა ვასწავლოთ.

7. იმისათვის, რომ ბავშვმა თავი დაცულად იგრძნოს, გაუსაძლის სიტუაციებში მოთმინება უნდა ვასწავლოთ.

8. რელიგიური დღესასწაულები როგორც უფროსებს, ასევე პატარებსაც უნდა მივულოცოთ. შესაძლებლობის ფარგლებში მათ საჩუქრები უნდა გადავსცეთ და წმინდა ადგილების სანახავად წავიყვანოთ.

ასე, რომ ბავშვები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების თვალის ჩინი არიან, სანამ რელიგიასა და წმინდა წიგნის სიყვარულზე საუბარს დავუწყებდეთ, მანამდე საკუთარი თავი უნდა შევაყვაროთ. ვინაიდან ადამიანი ისეთი პიროვნების სიტყვას ადვილად დაიჯერებს, ვინც უყვარს და აფასებს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბავშვი უფრო მეტად არათუ ახსნილ მასალას, არამედ ამხსნელ პიროვნებას უყურებს.

რა არ უნდა გავაკეთოთ, როცა ბავშვს ალლაჰზე ვესაუბრებით?

1. ზოგიერთ ბავშვს, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ადვილად უჩნდება შიშის გრძნობა. ამიტომაც, დაშინების მეთოდს უფრო მეტად უნდა გავუფრთხილდეთ მაშინ, როცა ალლაჰზე ვესაუბრებით.

2. ოჯახის წევრებმა თავი უნდა შეიკავონ ბავშვების წყევლისგან.

უნდა გაუფრთხილდნენ ჰარამ ლუკმას, რომელიც ბავშვების ურჩობის მიზეზი ხდება.

3. ბავშვები, როგორც ჩვეულებრივ ცხოვრებაში უშვებენ ბევრ შეცდომას, ასევე უშვებენ შეცდომებს რელიგიურ საკითხებშიც, მაგრამ აქ დაშვებული შეცდომა არ უნდა გავაზვიადოთ და ზედმეტი უხეშობით არ უნდა გადავტვირთოთ.

4. ბავშვების შეცდომის, ან ნეგატიური ქმედების გამო არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივმართოთ ალლაჰის სახელით დაშინების გზას.

5. როცა დედა და მამა უშვებენ შეცდომებს და ამას ნორმალურ

ქმედებად მიიჩნევენ, მაშინ გაგებით უნდა მოეკიდონ ბავშვების შეცდომებსაც.

გ. სამყაროზე დაკვირებით ალლაჰის შესახებ საუბარი

მოდი დავფიქრდეთ, დედამიწაზე მოვლენილი თითოეული ახალი სიცოცხლე სამყაროსთვის ახალი შენამატია. რამდენიმე წუთის წინ არარსებული, რომლის არც სახელი და არც ვინაობა არ იყო ცნობილი, უცებ დედამიწას ევლინება. ეს სამყაროს შენაძენია. სამყარო კიდევ ერთ უნიკალურ არსებას უმასპინძლებს. კიდევ ერთი არსება მოევლინა სამყაროს, რომელიც მასში უამრავ არსებათა გაჩენის უნიკალურობას, სილამაზეს, მშვენიერებას შეიცნობს. სამყაროში არსებულ ულამაზეს ხმას მოისმენს, უზენაესი ალლაჰის წყალობებს იგემებს, სურნელებას შეიგრძნობს, სხვადასხვა არსებებს და მათში არსებულ საოცრებებს აღიქვამს. დიახ, სამყაროს მოევლინა გონიერი არსება, რომელიც ყველა სილამაზეზე სიღრმისეულად დაფიქრდება.


ბავშვის სწრაფ ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ განვითარებასთან ერთად სამყაროში მისი აქტივობის ფაზა დაიწყება. სამყაროს ახალი სტუმარი ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყებს წინსვლას და საკუთარი წვლილის შეტანას ცხოვრებისეულ ასპარეზზე. ბავშვი მოუსვენრობს, სხვადასხვა ელემენტებს ეხება, ახალ ობიექტებს დაეძებს, თამაშობს, ნივთებს იღებს და აკვირდება. ყვავილებს იღებს და სურნელებას გრძნობს, ეცნობა სიცხეს და სიცივეს. ბავშვი სამყაროს შეიცნობს, ხოლო სამყარო შეიცნობს ბავშვს და ასე მათ შორის ჩამოყალიბდება ურთიერთობა. როგორ შეიძლება გავაანალიზოთ ეს საკითხი?

10 წლის ასაკის ბავშვს ვთხოვოთ, რომ თვალები დახუჭოს და მას ხელში სხვადასხვა სახის ნივთები მივსცეთ, ბავშვი რამდენიმე ნივთს ხელის შეხებით გამოიცნობს. ის ხელის შეხებით გამოიცნობს საწერ კალამს, ფორთოხალს, მარწყვს. ანალოგიურად ბავშვი სურნელების მიხედვითაც შეძლებს სხვადასხვა სახის ხილის გამოცნობას. ასევე თვალებდახუჭული ბავშვი ზღვის ღელვას, ფოთლების შრიალსა და კარის დახურვის ხმასაც სწორად გამოიცნობს.



როგორ ხდება, რომ ამ ყველაფერს ბავშვი სწორად აღიქვამს?

ბავშვმა სამყაროში არსებობის პერიოდში შეიცნო სამყარო, ხოლო სამყარომ შეიცნო ბავშვი და ასე მათ შორის ჩამოყალიბდა ურთიერთობა. ხმები, სურათები, გემო და შეხებით



შეგრძნებები უწყვეტ რეჟიმში ბავშვის დაბადების დღიდან მისი გონებისკენ მიმართება. ამასთან ერთად, მშობლების მიერ გამოჩენილი ყურადღება, გულისხმიერება და მოწყალება ბავშვის შინაგან სამყაროში აღწევს და იქ იბუდებს.

მშობლებისა და გარემო ფაქტორების შედეგად შემდგარი კავშირები იკრიბება და ერთ მთილანობად ბავშვის შინაგან სამყაროში ყალიბდება. მთავარი რამ აქ ის არის, რომ ამ ყველაფერს ბავშვი როგორი რეაქციით მიიღებს. მაგალითად: ბავშვი, რომელიც დაინახავს შინაურ ფრინველს, კერძოდ ბატს, იმის მიმართ წარმოიქმნება კავშირი, რომელიც ბავშვს ბატის მიმართ სიყვარულის გრძნობას გაუღვიძებს. ასე ბავშვსა და ბატს შორის ზოგჯერ ცალმხრივი, ზოგჯერ კი ორმხრივი სიყვარული გაჩნდება. როდესაც ბავშვი ბატს მიატოვებს და შინ დაბრუნდება, იგი თითქოსდა ბატის მსგავსად ბაჯბაჯს დაიწყებს, ან მის მსგავს ხმას გამოსცემს. ეს მიმანიშნებელია იმისა, რომ მათ შორის არის ფარული კავშირები. სახლში მოსულ ბავშვს ბატი მოენატრება კიდეც, კიდევ ერთხელ ნახვის საშუალება თუ აღარ ექნება, ბატისადმი შინაგანი სიყვარული მისთვის საკმარისია, რადგან ბატი მასთან არ არის, თუმცა ბატი მის შინაგან სამყაროში არსებობს.

სამყაროსა და ბავშვს შორის ურთიერთკავშირები მოწიფულობის ასაკში უმაღლეს დონეს აღწევს. როდესაც ბავშვსა და სამყაროს, სამყაროსა და ბავშვს შორის ურთიერთობა ჩამოყალიბდება, ბავშვიც ერთ პატარა სამყაროდ წარმოგვიდგება. ბავშვის ერთ უჯრედში ერთი ადამიანი რომ გამოვკეტოთ, ის ადამიანი ლიმონის გემოს, ქარის შრიალს, მარწყვის სურნელებას, დედის გულისხმიერ ჩახუტებას, ცის კამარაზე არსებული მთვარის ფორმას შეიგრძნობს და გამოიცნობს. ამრიგად სამყარო არა მხოლოდ ადამიანის გარეთ, არამედ მის შინაგან სამყაროშიც არსებობს.

I. სამყარო ბავშვის შინაგან სამყაროში

ბავშვის ემოციური გრძნობების განვითარებასთან ერთად ნივთიერებებსა და სამყაროს შორის მჭიდრო კავშირი იქმნება. ბავშვის ემოციური გრძნობები ნივთიერებების საშუალებით თანმიმდევრულად ვითარდება.

თანამედროვე ცხოვრება მატერიასთან ირიბად დამოკიდებულების დამყარებას გვასწავლის. ასეთი დამოკიდებულება წამიერია ისე, როგორც ერთ წრეში, ერთ წერტილზე ერთხელ შეხება. ამ შემთხვევაში ნივთიერებებს ჩვენც წამიერად შეგვიძლია შევეხოთ. ნივთიერებებზე წამიერმა შეხებამ, ან კიდევ ირიბმა დამოკიდებულებამ სამყაროსა და ადამიანის ურთიერთობაში, შესაძლებელია, სერიოზული სირთულეები შექმნას. ეს კი ბავშვების სამყაროში სიცარიელეს წამოქმნის და ემოციური გრძნობების განვითარებას ხელს შეუშლის. ბავშვები და მოზარდები ნივთიერებებთან წამიერ, საკმაოდ სწრაფ კავშირს ამყარებენ, ეს სისწრაფე კი ამ კავშირის განვითარებას აბრკოლებს. თანამედროვე ეპოქაში ნივთიერებებისა და სამყაროს მიმართ ადამიანის დამოკიდებულებაში პრობლემები შეიქმნა, რომლებმაც ბავშვების ყურადღება და ინდივიდუალური შემეცნების ნიჭი დაასუსტა. ამის შედეგად მივიღეთ ყურადღებაგაფანტული და ჰიპერაქტიური ბავშვები.

ნივთიერებებთან ირიბი დამოკიდებულებების ძირითადი მაჩვენებელი არის ამ ნივთიერებებთან ხუთი მთავარი გრძნობის ორგანოს გარეშე დამყარებული ზედაპირული კავშირები. ასეთი კავშირია, მაგალითად; დაყნოსვის, შეხედვის, შეხების, პირში დაღეჭვის, ხმის გაგონების გარეშე, მხოლოდ პირში წამიერი გემოს შეგრძნებით მარწყვის შეჭმა. ან კიდევ თუ ბავშვს ოჯახში გააჩნია უამრავი სათამაშო, მაგრამ არ აქვს სათამაშოებთან ხანგრძლივი ურთიერთობა, შესაბამისად არ განიცდის დამოკიდებულებას, იგი მასთან აყალიბებს მხოლოდ ზედაპირულ და ზერელე ურთიერთობას. ამ ურთიერთობაში არ იყენებს ხუთ მთავარ გრძნობათა ორგანოს. გამოყენებულ და უმალ გადაგდებულ საჭმლის ყუთებთან ადამიანს აკავშირებს მხოლოდ წამიერი, ზედაპირული ურთიერთობა. სწორედ ამიტომაა, რომ სისტემატურად შეცვლილ სათამაშოებთანაც ბავშვი ზედაპირულ ურთიერთობას ამყარებს.



განსაკუთრებით სამყაროში არსებულ ცოცხალ არსებებთან ბავშვის მიერ დამყარებული კავშირები და ამ კავშირების გათავისება ბავშვის კმაყოფილების გრძნობის მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია. „სამყაროსთან კავშირის გარეშე“ რაც არ უნდა გავაკეთოთ, ბავშვი მაინც უკმაყოფილო იქნება. ეს კი უამრავი საჩივრის მიზეზი გახდება. ის, რომ დღევანდელი ბავშვები უკმაყოფილონი არიან, ნამდვი-



ლად დამაფიქრებელია, ვინაიდან ისინი სამყაროს მოწყვეტილნი რჩებიან.

დღეს სეკულარული განათლების პერიოდში სამყაროს კავშირი ბავშვის შინაგან სამყაროსთან და ნივთიერებების გათავისების მორიგი პრობლემა კიდევ ის არის, რომ ბავშვის აღზრდის დროს სამყაროსთან კავშირის დამყარებისას მისი გამჩენის არსებობა გამოირიცხება. სამყარო ისე არ შეაღწევს ბავშვის შინაგან სამყაროში, როგორც ერთ ოთახში თავმოყრილი უამრავი სახის ნივთი. აქ უნდა დამყარდეს ნივთთან ბავშვის ემოციური დამოკიდებულება. გამომდინარე აქედან, ბავშვში სამყაროს შეღწევა არ შეიძლება ემოციებისა და გრძნობების გარეშე.

სამყაროსთან ბავშვის სანდო, ჯანსაღი, ემოციური გრძნობებით აღსავსე დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის მეორე მთავარი საკითხი ის არის, რომ ბავშვმა სამყაროსთან კავშირის დროს ალლაჰის რწმენაც უნდა გაითავისოს, ვინაიდან ბავშვის სული და გული უფროსების სულსა და გულზე უფრო მგრძნობიარეა. რამდენადაც არ უნდა ვეცადოთ, რომ ბავშვმა ალლაჰის რწმენის გარეშე დაამყაროს სამყაროსთან კავშირი, სამყარო ბავშვისთვის ყოველთვის გაურკვეველის, მტკივნეულის, წარმავალის ასოციაციას დატოვებს. უზენაესი ალლაჰის რწმენისგან შორს მყოფი ბავშვის გული სიცარიელეს განიცდის. **„...დიახ, მხოლოდ ალლაჰის ხსენებით ჰპოვებს გულნი სიმშვიდეს!”** (სურა რადი, აიათი 28) ბავშვის გულში უნდა არსებობდეს სიმშვიდე. ბავშვი, რომელსაც სამყაროსთან ერთად დიად გამჩენთანაც ექნება დამოკიდებულება, მაშინ თავს უფრო მეტად დაცულად იგრძნობს. ბავშვის საჭიროებათაგან ერთ-ერთი და მთავარი უსაფრთხოების, დაცულობის გრძნობაა. უსაფრთხოების განცდა ბავშვის ემოციური განვითარებისთვის მეტწილად მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

არა მხოლოდ უფროსები საჭიროებენ დიადი გამჩენის რწმენას

მშობლები ხშირ შემთხვევაში ბავშვების ზრდასრულ ასაკზე ოცნებობენ. მშობლებს სურთ, რომ მათ შვილებს როდესაც გაიზრდებიან, დიადი გამჩენის წრფელი რწმენა და მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონდეთ. მაგრამ ავიწყდებათ, რომ ამას ბავშვები პატარაობისასაც საჭიროებენ. ეს არის ის უმთავრესი რამ, რომელიც მშობლებმა არასოდეს არ უნდა დაივიწყონ.

II. სამყაროდან უზენაეს ალლაჰთან ხუთი გრძნობით მიღწევის მოდელი



ბავშვის ურთიერთობა ნივთიერებებთან ისე, რომ დიადი გამჩენი არ ფიგურირებდეს, მას იმ დამოკიდებულებას არ დაუკმაყოფილებს, რომელსაც ბავშვის შინაგანი სამყარო საჭიროებს. ისე როგორც ზრდასრული ადამიანები, ასევე ბავშვებიც საჭიროებენ, იცოდნენ ის, რომ ყველა არსება და ყველა მოვლენა უზენაესი ალლაჰის გაჩენილია. ბავშვის ურთიერთობა ნივთიერებებთან დიადი გამჩენის გამორიცხვით ბავშვის გულს მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს, ხოლო სამყაროს შეცნობის გარეშე პირდაპირი წესით გამჩენის შეცნობა კი ბავშვში მოუწესრიგებელ ემოციებს ჩამოაყალიბებს. ისე, როგორც რთულია სამყაროს შეღწევა ბავშვის შინაგან სამყაროში დიადი გამჩენის გამორიცხვით, ასევე რთულია დიადი გამჩენის რწმენის შეღწევა ბავშვის შინაგან სამყაროში რეალური სამყაროს გამორიცხვით. შეუძლებელია, მოხდეს ის, რომ ეს ორი უმთავრესი რამ ბავშვის სამყაროში ერთდროულად აღმოჩნდეს.

მსგავსი რამ შესაძლებელია მაშინ, თუკი ბავშვს სამყაროში მიმდინარე პროცესების ჩართულობაში და ნივთიერებებთან მიმართებაში არათუ ირიბი, არამედ პირდაპირი კავშირი ექნება. ამისათვის საუკეთესო საშუალებაა, თუ ბავშვს დაბადებიდან, როცა ის ნივთიერებებთან იწყებს კავშირს, თითოეული ნივთის თვისებებს ავუხსნით და სათანადოდ გავათვითცნობიერებთ.

მაგალითად, მარწყვი მხოლოდ საოცარი გემოვნებით არ არის გაჩენილი, მას სურნელებაც გემრიელი გააჩნია. ასევე მარწყვს შეხედულებაც ლამაზი აქვს და მისთვის დამახასიათებელი სირბილეც თან ერთვის. მარწყვის მხოლოდ გემოვნებაზე ყურადღების გამახვილება და მისი ისე აღქმა, რომ ის მხოლოდ გემრიელი ხილია, არასწორი იქნება, ვინაიდან მარწყვის ასე შეცნობა არასრულია. სხვა მხრივ, თუკი მარწყვს მხოლოდ ხუთი გრძნობის ორგანოთი შევიგრძნობთ და მასთან კავშირს დიადი გამჩენის გარეშე დავამყარებთ, ამ შემთხვევაშიც მარწყვი მხოლოდ მარწყვად დარჩება და მეტი არაფერი. მაგრამ თუკი მარწყვს მისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით შევიცნობთ, როგორც უზენაესი გამჩენის წყალობა ადამიანებისთვის, უფრო განსხვავებულ და ეფექტურ მნიშვნელობას შეიძენს.

არსებების, ნივთების, სამყაროში ჩაღრმავების დამოკიდებულების მეთოდის გასაანალიზებლად „შემეცნების კვირად“ წოდებული პერიოდი შეიძლება გამოგვადგეს. ამ მეთოდის წყალობით ოჯახში შესაძლებელია ყოველი კვირა შემეცნების კვირად გამოვაცხადოთ. ამაში ოჯახის ყველა წევრი მიიღებს მონაწილეობას. უცილებელია, ამ პროცესში დედ-მამამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს. ახლა კი შეიძლება, ცალკეულად განვიხილოთ შემეცნების კვირეები, თუ რომელ კვირაში რისი გაკეთებაა მიზანშეწონილი.

პირველი კვირა: მხედველობის კვირა


მხედველობის კვირას, შესაძლებელია, ბავშვებს ავუხსნათ თვალის მოვალეობა. ვესაუბროთ სამყაროში არსებულ სილამაზეზე. ოჯახთან ერთად დავათვალიეროთ ყვავილები, მზის ჩასვლასა და ამოსვლას ვადევნოთ თვალყური, სახლში მოტანილი ხეხილი ისე დავათვალიეროთ, თითქოს გამოფენაზე ელაგოს. ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ დიადმა გამჩენმა ისინი რაოდენ საოცრად გააჩინა. ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ გამჩენმა გემრიელი ხეხილი, ლამაზი ყვავილები და ასევე თვალები მოგვცა, რომ ეს საოცრებები გვეხილა. საღამოს კი ყველამ ერთად სხვადასხვა კითხვები დავუსვათ ბავშვს, თუ რა ნახა დღის განმავლობაში. ამის შემდეგ კი ოჯახის წევრებმა თითოეულად გადმოსცენ დღის დაკვირვებები.

მეორე კვირა: სმენის კვირა

სმენის კვირაში შესაძლებელია სამყაროში არსებულ ხმებზე გავამახვილოთ ყურადღება. ბავშვმა და ოჯახის წევრებმა მთელი კვირის განმავლობაში სამყაროში არსებული ხმები მოისმინონ; ზღვის ტალღების ხმა, ქარის შრიალი, კარების ბრახუნი, ავტომანქანის ძრავის ხმის ჰარმონია, წყლის დუღილის ხმა, ფუტკრის ბზუილი. ყოველდღე კი ჰკითხონ. “აბა, დღეს რა მოვისმინეთ?” “აბა, ახლა პატარამ მოგვიყვეს, დღეს რა მოისმინა.” ან კიდევ როდესაც ქარის ქროლის ხმას გაიგებთ, ოჯახთან ერთად ქარის ხმას მოუსმინეთ. შეიძლება გაიმეოროთ: „დიადი გამჩენი ხეების შრიალს გვასმენინებს, აბა, ახლა ყველამ ერთად ქარის ხმას ყური დავუგდოთ“.

მესამე კვირა: ყნოსვის კვირა

ყნოსვის შეგრძნება ყველაზე უფრო საინტერესო გრძნობაა. სამყაროში მილიონობით სხვადასხვა სურნელის საგანი არსებობს. ამასთან ერთად ხეხილს, ზღვას, მიწას,



საჭმელს, ნამცხვრებს, ხორცს, რძეს, და.ა.შ თავისთვის დამახასიათებელი სურნელება გააჩნია. შესაძლებელია, ბავშვს დავაყნოსინოთ ხეხილი, რომელიც შევიძინეთ და იქვე გავაკეთოთ კომენტარი, რომ უზენაეს გამჩენს რამდენად სასიამოვნო სურნელი გაუჩენია და რომ გამჩენს რამდენად ვუყვარვართ და გვაფასებს ადამიანებს.

მეოთხე კვირა: შეხების კვირა

დიადმა გამჩენმა მის მიერ გაჩენილ ყველა არსებას უნიკალური გარეგნობა მიანიჭა. ხეხილის, ნივთების, ქვების, ხეების გარეგნული აღწერილობა ერთმანეთისგან განსხვავდება. როცა ბავშვი ოჯახთან ერთად არის და დაინახავს ხეს, შეიძლება ხეს შეეხოს, ხელები შემოახვიოს. ვიცით, რომ ბავშვებს ხეზე ხელების შემოხვევა ძალიან მოსწონთ, ასეთი ქმედებები უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს. შესაძლებელია, შემდეგნაირად ვითამაშოთ: თვალები დავხუჭოთ, მიწას შევეხოთ და შევიგრძნოთ, შემდეგ კი ხეს შემოვახვიოთ ხელები, მერე კი ერთმანეთს ხელები ჩავკიდოთ და ერთმანეთის ხელების სითბო შევიგრძნოთ. აქვე შევახსენოთ ბავშვებს, რომ დიადმა გამჩენმა ყველა არსებას თავისთვის დამახასიათებელი სითბო და სათანადო ფორმა მისცა. საუბრისას ასეთი კომენტარების ჩართვით ბავშვს გრძნობები განუმტკიცდება და დიადი გამჩენის უკეთ შეცნობაში დაეხმარება.

მეხუთე კვირა: გემოვნების შეგრძნების კვირა

სამყარო ერთერთი უნიკალური რამ არის, რაც დიად გამჩენს გაუჩენია. ყველა გაჩენილ არსებას სხვადასხვაგვარი გემოვნება აქვს. ოჯახის პირობებში თითოეული წევრი უნდა ცდილობდეს დიადი გამჩენის მიერ გაჩენილი განსხვავებული გემოვნებები, მაგალითად; ნამცხვრების, ტკბილეულობის, ხილ-ბოსტნეულის გემო დააფიქსიროს. ხშირად შეიძლება ვთქვათ: „ნახე, ალლაჰმა თქვენთვის როგორი გემრიელი კერძის მომზადება მარგუნა წილად. აბა, ყველამ ერთად გემრიელად მივირთვათ. მამიკოს რა გემრიელი ხილი შეუძენია?!.” ასეთი შეფასებებით კიდევ ერთი კვირა გაატარეთ.

ხუთი კვირის შემდეგ შესაძლებელია, იგივე პროცესი ხელახლა გაიმეოროთ. იგივე მეთოდი შესაძლებელია, თვეებად გადაანაწილოთ. ზოგჯერ მიზანშეწონილია ხუთივე გრძნობათა ორგანოს ერთდროულად მიმართოთ. მაგალითად; როდესაც საღამოს რომელიმე ხილს მიირთმევთ, შესაძლებელია ჯერ შეხედოთ, დააკვირდეთ, შემ-

დეგ სურნელება შეიგრძნოთ, შეეხოთ, ჩაკბიჩოთ და დაღეჭვის დროს ხმა მოისმინოთ, ბოლოს კი გემოვნება შეიგრძნოთ. ასე ხუთივე გრძნობათა ორგანოს ერთდროულად მიმართავთ. ამასთანავე შეიძლება, გამოხატოთ აღფრთოვანება; "ნახე, უზნეაესმა ალლაჰმა ხეხილში რაოდენ მნიშვენლოვანი და სასარგებლო თვისებები ჩადო."

ჩვენ მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს ორი მთავარი მნიშნველობა გააჩნია. პირველი ის არის, რომ ასეთი მეთოდით ბავშვის გრძნობის ხუთივე ორგანოს ერთდროულად გამოყენებას უზრუნველყოფთ, სამყაროსთან გრძნობათა ხუთივე ორგანოთი შევლენ კავშირში, მათ ნივთებთან ირიბი დამოკიდებულებებისგან იხსნით და საფუძვლიან ურთიერთობას დაამყარებენ. ვინაიდან ასეთი მეთოდით ბავშვების ურთიერთობა ელემენტებთან გახანგრძლივდება და მათ დეტალურად დაფიქრების საშუალებას მისცემს და გრძნობები განუმტკიცდებათ.

ხოლო, რაც შეეხება მეორე ვარიანტს, სამყაროში არსებული კონკრეტული ნივთიერებების საშუალებით ბავშვებს დიადი გამჩენის არსებობას და მის თავისებურებებს შევასწავლით. თუკი ამას გამოცდილების საფუძველზე გავაკეთებთ, ბავშვებს ვაგრძნობინებთ, რომ ისინი ჩვენთვის ძვირფასები არიან. ამ დროს მნიშვენლოვანი მომენტი ის არის, რომ სისტემატურად ვიმეორებდეთ, დიად გამჩენს რამდენად ვუყვარვართ, გვფარველობს და ყოველთვის უამრავი მოწყალებით გვამკობს. ბავშვისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იქნება, რომ შინაგან სამყაროში თან დაატარებს გრძნობას, რომელიც დიადი გამჩენის სიყვარულს შეახსენებს.

აგრეთვე შესაძლებელია სხვაგვარი მეთოდებიც დაამატოთ. მაგ: კვირა დღეს მოაწყოთ პიკნიკი, ან წახვიდეთ ზღვაზე. ოღონდ ამას დაარქვათ სახელი: „დიადი გამჩენის მიერ ჩვენთვის ბოძებული წყალობების ხილვის ექსკურია". იმის ნაცვლად, რომ "აბა, წამოდი მინდორში, ან ტყეში გავისეირნოთ" ვთქვათ ასე: "აბა, წავიდეთ და დიადი ალლაჰის მიერ გაჩენილი ულამაზესი ხეები, ჩიტები, ყვავილები ვიხილოთ. უკეთესი იქნება"როცა დედა ოჯახში კერძს მოამზადებს, ან ნამცხვარს გამოაცხობს, ბავშვებს აუხსნას: "ნახეთ, შვილებო, ალლაჰმა თქვენთვის როგორი გემრიელი კერძის მომზადება მარგუნა წილად. მოდით და გამჩენის მიერ ჩვენთვის ბოძებული ეს გემრიელი წყალობა ერთად მივირთვათ."



ყველა ეს მეთოდი არაა ის მეთოდი, რომელიც მხოლოდ ერთხელ გაკეთებით შედეგს გამოიღებს. ეს იმ

მშობლებმა უკეთ იციან, ვინც ბავშვებს ზღაპრებს უკითხავენ, მათ ხომ, სულ მცირე, ათჯერ მაინც აქვთ ზღაპრის წიგნი ბავშვისთვის წაკითხული. აღნიშნულ მეთოდს უამრავი განმეორება სჭირდება. უფრო მეტიც, ეს მეთოდი ჩვენთვის ცხოვრების წესად უნდა დარჩეს. ეს მეთოდი ბავშვობაში, ახალგაზრდობაში, მოხუცობის ასაკშიც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი წესი უნდა იყოს, სულ უნდა ვფიქრობდეთ სამყაროსა და მასში არსებულ ყველა გაჩენილში ჩადებული ღვთიური სიბრძნის სრულყოფილებაზე.

III. სამყაროში ცუდი არსება არ არის

კიდევ ერთი რამ, რაც მშობლებმა უნდა ეცადონ, რომ არ გააკეთონ, არის ცხოველთა სამყაროს ორ კატეგორიად გაყოფა. ცხოველების შესახებ საუბრისას ისინი ბოროტ და კეთილ, კარგ და ცუდ, ლამაზ და უშნო, სუფთა და ბინძურ არსებებად არ დააჯგუფონ. განსაკუთრებით ბუზები, ტარაკნები, თაგვები, გველები, ჭიები, კატები, ძაღლები, ღორები და სხვა მსგავსი არსებები ბინძურ, ცუდ ან ბოროტ არსებებად არ მოიხსენიონ. ეს არსებებიც უზენაესი ალლაჰის მიერ გარკვეული მიზნითა და სიბრძნით არიან გაჩენილნი. ყველა არსება დიადი გამჩენის მიერ არის გაჩენილი და ყველას რაღაც ვალდებულება აკისრიათ. ასე შევძლებთ, რომ ბავშვებმა სამყაროში არსებული უამრავი არსება „კარგ და ცუდ“ არსებებად არ დაანაწევრონ.

დედამიწაზე არსებული ცხოველთა სამყარო არ შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად, მაგ: ალლაჰის მფლობელობაში მყოფები და ალლაჰის მფლობელობის გარეთ მყოფები“. ყველა არსება და ცხოველი დიადი გამჩენის მფლობელობაშია. ბავშვს ორად გაყოფილი სამყარო შიშს ჩაუნერგავს. ბავშვს სჭირდება ერთი ჭეშმარიტი მთლიანობა, ყველაფერი სუფთა, კარგი და ლამაზი.



როგორც შესაძლებელია, რომ ძაღლი გახდეს ადამიანის მეგობარი, ასევე ლომები, გველები, თაგვები და სხვებიც შეიძლება ადამიანის მეგობრები გახდნენ. განსხვავება მხოლოდ ორ მეგობარს შორის არსებული სახესხვაობა იქნება. სიცოცხლეში ყველა ჩვენგანი განსხვავებულ მეგობრებს ვიძენთ. არაა სავალდებულო მეგობრული კავშირი ერთნაირი იყოს, შეიძლება კავშირი განსხვავდებოდეს, როგორიც ძაღლსა და ცხვარს შორის მეგობრობაა. არ არის საჭირო ტარაკნები ავიღოთ და მოვეფეროთ, ოღონდ არასწორი იქნება იმის ჩანერგვა ბავშვებისთვის, რომ ისინი „ბინძური არსებები“ არიან.

IV. უზენაესი ალლაჰი როგორი არსებაა?



აღნიშნული კითხვის პირისპირ უამრავი მშობელი და მასწავლებელი აღმოჩენილა. და მაინც „ალლაჰი როგორი არსებაა“?


კითხვა „როგორი“ ორ განსხვავებულ მნიშვნელობას გამოხატავს; პირველი - ფიზიკურ ნიშან-თვისებას, მაგ: დიდი, პატარა, გრძელი, მოკლე, ხოლო მეორე – სულიერ ნიშან-თვისებას, მაგ: კეთილი, სულგრძელი, ქველმოქმედი, თავმდაბალი. რადგანაც უზენაესი არ არის კონკრეტული არსება, რა თქმა უნდა, კონკრეტული არსების თვისებებს არ ატარებს.

„ალლაჰი როგორი არსებაა?“ ამ კითხვის მეორე მნიშვნელობის პასუხი უფრო აინტერესებს ბავშვს. ბავშვის გრძნობებს არ აკმაყოფილებს შემდეგი პასუხი: „ერთადერთი ალლაჰი არსებობს და ყველაფერი მან გააჩინა“. დიადი გამჩენი ბავშვის წარმოდგენაში ისეთი არსებაა, რომელიც მოწყალეა, გულისხმიერია, სიცოცხლისა და სიკვდილის მბოძებელია, ბუნების მბრძანებელია, მკვდარი ჩიტის სამოთხეში დამამკვიდრებელია, ის ყველაფრის უნიკალურად და საოცრად გამჩენია, სამართლიანი და მპატიებელია. უზენაეს ალლაჰს ადამიანები ძალიან უყვარს და აფასებს, ამიტომ არა მარტო ადამიანები, არამედ ის, განურჩევლად სიდიდისა ყველა გაჩენილის მფარველია. სწორედ მან გააჩინა ტარაკნები, გველები, თაგვები, ღორები, ცხვრები განსხვავებული ფორმით. დიახ, ის დიადი გამჩენია, რომელმაც დედას გულში ტკბილეულის გაკეთებისა და ნამცხვრების გამოცხობის სურვილი გაუჩინა. უზენაესი ალლაჰია ის, ვინც ადამიანს სიკეთის გაკეთების სურვილი მიანიჭა. დიახ, უზენაესმა ალლაჰმა გააჩინა ეს საოცარი ბუნება.

როცა ბავშვები დაჟინებით მოითხოვენ, რომ დიადი ალლაჰი ფიზიკურ არსებად წარმოადგინონ, ან კიდევ ჩვენ მიერ ახსნილი არ აკმაყოფილებთ, საქმე გვაქვს თავის დროზე ახსნაში დაშვებულ ხარვეზთან. თუკი აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრება, ბავშვები დაჟინებით აღარ დასვამენ კითხვებს: „რატომ ვერ ვხედავთ ალლაჰს?” ან “ის ფიზიკურად როგორი არსებაა?”

V. ალლაჰი სად არის?

კიდევ ერთი შეკითხვა, რომელსაც პატარები დაჟინებით იმეორებენ, ეს ალლაჰის ადგილმდებარეობას ეხება. ამ შეკითხვას შესაბამისი ზუსტი პასუხი არ გააჩნია, რადგანაც უზენაესი ალლაჰი ჩვენსავით ხორციელი არსება არ არის, ამიტომაც მას ვერ დავინახავთ, თუმცა მის მიერ გაჩენილი



არსებები ყველგან არიან და მათი ინდივიდუალური სილამაზითა და მშვენიერებით უზენაესი ალლაჰის არსებობას გვახსენებენ.

ერთ-ერთი ოჯახის მიერ გამოყენებული მეთოდი, რომელიც ბავშვებს თვალთახედვით ალლაჰის ადგილმდებარეობას შეეხება, ჩვენთვისაც შესაძლებელია, სანიმუშო აღმოჩნდეს. ბავშვები მშობლებს ალლაჰის ადგილმდებარეობის შესახებ ეკითხებიან, მამა მას ამ ამბის მოყოლით პასუხობს: "ერთ მშვენიერ დღეს სხვა ქალაქში მცხოვრები ბებია, შვილიშვილებს თავისი ხელით გამომცხვარ ნამცხვარს გამოუგზავნის. როდესაც ოჯახი ერთად ბებიას გამოგზავნილ ნამცხვას შეექცევა, მამას უცებ ასეთი კითხვა დაებადება: "აბა, ბავშვებო, ბებია სად არის ახლა?" ბავშვები იმ ქალაქს დაასახელებენ, სადაც ბებია ცხოვრობს. მამა ისევ ეკითხება: "მაშინ მიპასუხეთ, ეს გემრიელი ნამცხვარი ვინ გააკეთა და გამოგვიგზავნა?" ბავშვებმა მიუგეს: "ბებიამ". მამა ისევ აგრძელებს: "მაშ, საიდან იცით, რომ ეს ნამცხვარი ბებიამ მოამზადა?" ბავშვები ერთხმად პასუხობენ: "ვიცით, რომ ასეთ გემრიელ ნამცხვარს მხოლოდ ჩვენი ბებია ამზადებს." ამ დროს მამა შემდეგ განმარტებას გააკეთებს: "ჩვენ ჩვენი თვალებით ბებიას ვერ ვხედავთ, თუმცა მის მიერ მომზადებული გემრიელი ნამცხვრის წყალობით ვიცნობთ, ხომ ასეა? ის თუნდაც ჩვენ გვერდით არ იყოს, მის მიერ მომზადებული ნამცხვარი ჩვენთან არის. ანალოგიურია დიადი გამჩენის არსებობაც, იგი თვალით უხილავია ჩვენთვის, თუმცა მის მიერ გაჩენილი ყვავილები, ხეები, უამრავი ხეხილი გვაგრძნობინებს, რომ ის ჩვენთან არის."

ბ. ბავშვების კითხვები უზენაესი ალლაჰის შესახებ და სათანადო პასუხები.

- ალლაჰი მამიკოზე უფრო ძლიერია?
- ალლაჰი სიმაღლეში რამხელაა?
- ალლაჰს რომელი ფერები მოსწონს?
- რას შეიძლება შევადაროთ ალლაჰი?
- თუკი ალლაჰი ერთადერთია, ყველაფერს როგორღა სწვდება?
- ალლაჰს შვილი ჰყავს?
- ალლაჰს მარტოდმარტოდ არ მოეწყინება?
- ალლაჰი თეთრწვერაა?
- ალლაჰს დიდი თვალები აქვს?
- ალლაჰი სად არის?

როგორ ვუპასუხოთ მოცემულ კითხვებს?

ამ კითხვებს ბავშვის ასაკის, გონებრივი და ფსიქოლოგიური გავნითარების შესაბამისად უნდა ვუპასუხოთ.

- რადგანაც სკოლამდელი და სასკოლო ასაკის პერიოდში ბავშვი კონკრეტულად აზროვნებს, ამიტომაც დამაჯერებელი და სწორი პასუხი უნდა გავსცეთ.
- დასმულ შეკითხვებს უზენაესი ალლაჰის თავისებურებებზე ყურადღების გამახვილებით უნდა ვუპასუხოთ,
- 7 წლის ასაკის ბავშვს, შესაძლებელია, პასუხი ალლაჰის თავისებურებების ახსნით გავსცეთ.
- 7-11 წლის ასაკის ბავშვებს კი, ძირითადად, უზენაესი ალლაჰის სიყვარულზე უნდა ვესაუბროთ.
- მაგალითად: თუკი ბავშვი დასვამს კითხვას; „ალლაჰი მამიკოზე უფრო ძლიერია?“ უნდა ვუპასუხოთ: “შენი ძლიერი მამიკო ალლაჰმა გააჩინა,” ან კიდევ “შენს მამიკოს ასეთი ძალა დიადმა ალლაჰმა არგუნა.” ასეთი პასუხის გაცემა ბავშვისთვის დამაკმაყოფილებელი იქნება.
- თუკი ბავშვი იკითხავს: “ალლაჰი სიმაღლეში რამხელაა?” შეიძლება ვუპასუხოთ; “ჟირაფი, რომელსაც ყველაზე მაღალი კისერი აქვს, ეს სიმაღლე ალლაჰმა არგუნა.” იმგვარი პასუხები, რომ უზენაესი ალლაჰის სიმაღლეს ჩვენ ვერ გავიგებთ, ბავშვის გონებას უფრო დააბნევს.
- ხოლო კითხვას: „თუკი ალლაჰი ერთადერთია, ყველაფერს როგორღა სწვდება?” შეიძლება ვუპასუხოთ: “აბა, მზეს შეხედე, ისიც ერთია, თუმცა ყველას ათბობს.” ბავშვს ირგვლივ არსებულ მაგალითებს თუ ვაჩვენებთ, ასე მას სამყაროს შესახებ ფიქრისკენ ვუბიძგებთ.
- “ალლაჰი სად არის?” კითხვას კი მარტივად გავსცეთ პასუხი: “ალლაჰს შენ ძალიან უყვარხარ, ამიტომ ის ყველგან არის, სადაც შენ ხარ.”

გ. ბავშვები ალლაჰის სახელით არ უნდა შევაშინოთ

ორი უსიამოვნო ფაქტი

ერთ მშვენიერ დღეს მამა გადაწყვეტს 3-4 წლის ქალიშვილს ისლამის რელიგიურ საკითხებზე ესაუბროს. პირველ რიგში ყოვლისგამჩენი უზენაესი ალლაჰის, შემდეგ კი საუკეთესო ზნეობის მასწავლებლის, უკეთილშობილესი მუჰამმედის სიყვარულს აუხსნის. ამ დროს ბავშვი წამოიყვირებს: “მე შუამავალი ალლაჰზე უფრო მეტად მიყვარს“. მამა განცვიფრებული დარჩა და ქალიშვილს

ამისი მიზეზი ჰკითხა, გულუბრყვილო ბავშვმა ასე უპასუხა: “დედამ მითხრა, ალლაჰი ჯოჯოხეთის ცეცხლში დაწვავს მას, ვინც ტყუილს იტყვის. ჯოჯოხეთი ალლაჰს აქვს გაჩენილი. ვინაიდან შუამავალს ჯოჯოხეთი არ აქვს, ამიტომ ის მიყვარს ყველაზე მეტად.”

ექვსი წლის ბავშვი მოუსვენრად ცელქობს. მშობელი ცდილობს ბავშვი გააკონტროლოს, რისთვისაც ხშირად უმეორებს: ასე თუ გააგრძელებ, ალლაჰს აღარ ეყვარები, ჯოჯოხეთის ცეცხლში დაგწვავს.” ერთხელაც დილის საუზმეზე შვილი უცებ უცნაურ კითხვას დასვამს: “მამიკო, ჩვენს სოფელში ალლაჰი არის?” მამა გაოგნებული დარჩება და ასე უპასუხებს: „რა თქმა უნდა, შვილო, ალლაჰი ყველგან არის, რატომ მკითხე?” დაღონებული ბავშვი მამას ასე პასუხობს: “ვიფიქრე, სოფელში წავიდოდი, თუკი ალლაჰი იქ არ იქნებოდა.”

დ. რა არის ვედრება? როგორ ვასწავლოთ ბავშვებს ვედრების სიყვარული და კულტურა?

3-6 წლის ასაკის ბავშვები სიმბოლურად ფიქრობენ და ამიტომაც 7 წლის ასაკამდე ყველაფერს იოლად იჯერებენ. მათ სამყაროში არ არსებობს შეუძლებელი. მაგ: იმისათვის, რომ მათ გულებში ალლაჰის სიყვარული გავამტკიცოთ, შეიძლება ასეთ მეთოდს მივმართოთ; ვინაიდან ალლაჰს ჩვენ ძალიან ვუყვარვართ და გვინდა, ის ჩვენთან ახლოს ვიგრძნოთ, ამიტომაც ჩვენ თვითონ შევეცადოთ, მასზე ვედრებები შევასრულოთ, რათა უფრო ახლოს მივიდეთ მასთან და უფრო მეტად ვიგრძნოთ მისი სიყვარული. 3-6 წლის ასაკი ვედრების შესწავლისთვის იდეალური ასაკია.

ბავშვებს მხოლოდ ალლაჰისგან თხოვნა კი არა, არამედ მისგან მადლიერებაც უნდა ვასწავლოთ. მათ უნდა ავუხსნათ, რომ უზენაესი ალლაჰის ნებაა, მის მიერ ბოძებული წყალობა დავაფასოთ და შესაბამისად მადლიერება გამოხატოთ. ბავშვებს ვედრება ხმამაღლა უნდა ვასწავლოთ, მაგალითად; როდესაც სუფრას მივუსხდებით ***“ბისმილლაჰირ რაჰმანირ რაჰიმ-ის”,*** ხოლო ჭამის დასრულების შემდეგ კი ყველას მიერ ვერდების ხმამაღალი აღვლენა და ასევე „აამინის“ წარმოთქმა არ დაგვავიწყდეს.



დიად გამჩენს მფარველობა, სიკეთე, სილამაზე და ჯანმრთელობა შევსთხოვოთ. ასე მაგალითად: „ო, ალლაჰ! დაგვიფარე მე, ჩემი ახლობლები, ნათესავები, ოჯახის წევრები, მეზობლები და სულიერი ძმები“.

ვედრება ღვთისმსახურებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. ვედრების შესწავლით, უზენაესი ალლაჰის

არსებობის შესახებ გათვითცნობიერებით ბავშვი თავს მარტოდ, ან დაუცველად აღარ იგრძნობს. ის გაითავისებს, რომ დიადი გამჩენი სულ მუდამ მის გვერდით არის...

ვედრების შესახებ ბავშვებს შემდეგნაირად უნდა ვესაუბროთ:

- ვერდება სილამაზეა.
- ჩვენ უზენაესი ალლაჰისგან ვითხოვთ, ის კი უსასყიდლოდ გვიწყალობებს.
- ალლაჰს საუკეთესოდ ესმის ჩვენი მდგომარეობის.
- როცა ბედნიერები ვართ, მადლიერებას შევსწირავთ.
- მარტოობისას მხოლოდ ალლაჰს შევეკედლებით, მას ვევედრებით.
- თამაშის დროსაც კი ხელების, თვალების, ფეხების და ა.შ. სიჯანსაღისთვის უნდა ვევედროთ.
- ჭამის წინ "ბისმილლაჰ" წარმოვთქვამთ, დასრულებისას კი „ელჰამდულილლაჰ."
- უამრავი ფერების გამოც კი ალლაჰს მადლიერება უნდა შევსწიროთ.
- ტკბილეულობის, ნამცხვრებისა და უამრავი წყალობის გამო მადლიერება აუცილებელია.
- ძილის წინ ვედრებას ჩავიკითხავთ და ტკბილად ჩაგვეძინება.
- სარკეში ჩავიხედავთ და მადლიერებას გამოვხატავთ. ალლაჰმა რამდენად ლამაზ არსებად გაგვაჩინა.
- უამრავ სალავათს წავიკითხავთ და უკეთილშობილეს შუამავალს ვაჩუქებთ.
- ვედრებას აღვავლენთ და სულიერ სიმშვიდეს ვიგრძნობთ, ვინაიდან ვედრება ბედნიერებაა.

ვედრების სწავლებისას:

„უზენაესი ალლაჰის ხაზინა იმდენად დიდია, რომ შეგიძლია, ყველა ნაცნობისთვის და, უფრო მეტიც, უცნობებისთვისაც ყველაფერი შეევედრო. რამდენიც უნდა გიბოძოს, მის ხაზინას არაფერი მოაკლდება". ასეთი მეთოდით შეგიძლიათ, ბავშვებს ასწავლოთ ის, რომ უზენაესი ალლაჰის ხაზინა განუსაზღვრელია. ეს კი მათ ხელგაშლილობასა და გაზიარებას ასწავლის.

არ არის მიზანშეწონილი რაიმე მოვლენის, ან ამბის ჩვენების გარეშე ვედრების, ან ჰადისის სწავლება. წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლა მხოლოდ ზედაპირული იქნება. ზოგჯერ ღიღინის ტონითაც შეიძლება ვასწავლოთ ვედრება.

რეკომენდირებულია, რომ ბავშვებს მხიარულების, ან სასიამოვნო გართობის დროს მადლიერების შემცველი ვედრებები ვასწავლოთ. მაგ: "მადლობა, დიადო გამჩენო, იმისათვის, რომ მოგვეცი ბედნიერი გართობის საშუალება. მადლობა ყველაფრისთვის, ჩემო ალლაჰო!"

ე. ესმაულ ხუსნა: ალლაჰის ულამაზესი სახელების სწავლება

სწავლების პერიოდის დასაწყისში მოსწავლეებს პირველად ალლაჰის სახელები უნდა ვასწავლოთ. „თუკი ვინმეს გაცნობა გსურთ, პირველ რიგში სახელი უნდა ჰკითხოთ, ვინაიდან ყველას და ყველაფერს თავისი სახელი გააჩნია. ადამიანებს, ძირითადად, ერთი, ხოლო ზოგ შემთხვევაში ორი სახელიც კი აქვთ. მაგრამ ყველა სხვა გაჩენილისგან განსხვავებით უზენაეს ალლაჰს ჩვენთვის ცნობილი 99 ულამაზესი სახელი გააჩნია.

- როდესაც ბავშვებისთვის „ესმაულ ჰუსნას" (ალლაჰის ულამაზესი სახელები) სწავლებას ვიწყებთ, მათ შემეცნების დონის გათვალისწინებით უნდა ავუხსნათ.
- სხეულის ენაც „ესმაულ ხუსნას" შესაბამისად უნდა გამოვიყენოთ.
- უზენასი ალლაჰის რომელიმე სახელის შესწავლისას ბავშვებს სათანადო ლექსი, ან მოთხრობა წავუკითხოთ. ეს კი მათ მეხსიერებაში მტკიცედ მოიკიდებს ფეხს.
- შესაძლებელია სხვაგვარადაც ახსნა: „ელ ყუდდუს" გასუფთავებულს, გამსუფთავებელს, ულაქოს ნიშნავს. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა უკეთ გაიგონ, შესაძლებელია, კლასის ერთ კუთხეში ნაგვის ვედროს ნახატი, ხოლო მეორე კუთხეში ყვავილებისა და ხელსაბანი საშუალებების ნახატები გავაკრათ. ასევე განვუმარტოთ, რომ სისუფთავე ადამიანს ბედნიერებას, სიმშვიდეს, სიჯანსაღესა და ძალას ანიჭებს.
- თავდაპირველად უზენაესი ალლაჰის ულამაზესი სახელები უნდა ვასწავლოთ, როგორიცაა; ("რაჰმან", "ქერიმ", "რეზზაყ") და.ა.შ.
- ბავშვს ისეთი სახელები უნდა ვასწვალოთ, რომელსაც იგი უკეთ შეიცნობს და რომელზეც სათანადო მაგალითების მოყვანა შეგვეძლება. მაგალითად; „რეზზაყ" ნიშნავს, რომ უზენაესი ალლაჰი სარჩოს მომცემია. მან ქათმებს კვერცხის დადების უნარი მისცა და ადამიანებს კი - სარჩო.
- პატარებს ალლაჰის ულამაზესი სახელები თანმიმდევრულად და ახსნა-განმარტებით უნდა ვასწავლოთ. ჩვენი მიზანი მხოლოდ 99 სახელის დაზეპირება არ უნდა იყოს.

2. შუამავლის რწმენა

ა. ბავშვებში შუამავლის სიყვარული და შუამავლის მცნება

შუამავლები უზენაესი ალლაჰის საყვარელი, მისი ბრძანებებისა და აკრძალვების ადამიანებამდე მიმტანი, სამართლიანი, საუკეთესო ზნისა და სწორი გზის მაჩვენებელი პიროვნებები არიან.

ყველაზე დიდი და საუკეთესო მასწავლებლები შუამავლები არიან. მათ ადამიანებს ხელგაშლილობა, მიმტევებლობა, გულისხმიერება და სხვა ბევრი საუკეთესო საქმე ასწავლეს.

შუამავალთა ბოლო რგოლი, ანუ უკანასკნელი შუამავალი უკეთილშობილესი მუჰამმედია (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ).


უზენაესი ალლაჰი მის მიერ მოვლენილ შუამავლებს განსაკუთრებულ ნიჭს, მოხერხებულობასა და სასწაულმოქმედ ძალას უბოძებდა ხოლმე.

სიყვარული: ეს არის ვინმეს, რამის, ან რომელიმე არსების მიმართ განცდილი ლამაზი გრძნობა. თითოეული ჩვენგანი მშობლების, ახლობლების, ნათესავების, მეგობრების, ყვავილების, ცხოველებისა თუ სათამაშოების მიმართ გარკვეულ სიყვარულს ვგრძნობთ. არ გვინდა, რომ მათ რამე ზიანი, ტკივილი და უბედურება შეეხოოთ და ვზრუნავთ იმისათვის, რომ ისინი ბედნიერები იყვნენ. მათ მოვემსახურებით, თხოვნას შევუსრულებთ, დავაფასებთ და დავეხმარებით. აბა, ბავშვებს ვკითხოთ, თუ რას გააკეთებენ ისინი თავიანთი საყვარელი არსებებისთვის? ეს შეკითხვა დაგვეხმარება გავიგოთ, თუ რამდენად გარკვეული არიან ბავშვები სიყვარულის ცნებაში?

უკეთილშობილესი შუმავლის (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) მიმართ თანამიმდევრებს შეუდარებელი სიყვარული აკავშირებდათ. მას ყველაფერზე მაღლა აყენებდნენ. ისინი აკეთებდნენ მხოლოდ იმას, რის ნებასაც შუამავალი დართავდა, ხოლო რაიმეზე თუ უარს იტყოდა, უარს ამბობდა ყველა თანამიმდევარი. რა თქმა უნდა, უკეთილშობილეს შუამავალსაც თანამიმდევრები ძალიან უყვარდა.

წმინდა მუჰამმედ შუამავალი (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) პატარებს ძალიან უყვარდათ, რადგანაც იგი ბავშვების მიმართ გულისხმიერი და ძალზე მოსიყვარულე იყო. საყვარელი შუამავალი ბავშვებთან თამაშობდა, ხუმრობდა, მათ გულში იხუტებდა, ეფერებოდა და ეჯიბრებოდა. როგორც ყველაფერ-





ში, ასევე ბავშვების სიყვარულშიც მშობლებისთვის საუკეთესო მაგალითი იყო.

წმინდა შუამავლის სიყვარული ბავშვების მიმართ

„ბავშვის სურნელება სამოთხის სურნელების ტოლია.” *(თაბერანი, მუჯმეულ ევსათ 6/82-5860).* უკეთილშობილესმა შუამავალმა ამ სიტყვებით ბავშვების სიყვარულის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

საყვარელი მუჰამმედ შუამავალი (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) ბავშვებს, რომლებიც ქუჩაში, ან სადმე სხვაგან შეხვდებოდნენ, ესლამებოდა, თმებზე ეფერებოდა და შეძლების მიხედვით საჩუქარს აძლევდა. ბავშვების გვერდით ბავშვურად იქცეოდა, მას ყველაზე უკეთ შეეძლო ბავშვთა სამყაროს ამოცნობა. ერთ-ერთ ჰადისში ვკითხულობთ: **„მას, ვისაც ბავშვი ჰყავს, მისი გულისთვის ბავშვურად მოიქცეს“.** *(ბუჰარი, ედები, 27)*

შვილიშვილებს ასე მიმართავდა: **„ჩემო სასიამოვნო სურნელებო“.** *(ბუჰარი, ედები, 18)* წმინდა შუამავალი მათ, ვისაც შვილები ჰყავთ, მოუწოდებს: **„ბავშვებს კარგად მოექეცით, ისინი საუკეთესოდ აღზარდეთ“.** *(იბნი მაჯე, ედებ, 3)*

სენე ბინთი ჰალიდის პატარა ქალიშვილი იყო. ეთიოპიის ჰიჯრეთიდან ახლად დაბრუნებული იყვნენ, როცა მამამ მას ხელი მოჰკიდა და წმინდა შუამავალთან მიიყვანა. შუამავალმა ხელი დაადო, მოეფერა და თქვა: „სენე, სენე“, რაც ეთიოპურ ენაზე „ლამაზს“ ნიშნავს. (ბუჰარი. ჯიჰადი, 188) მას ასე იმიტომ მიმართა, რომ ბავშვს უკეთ გაეგო მშობლიურ ენაზე. პატარამ ხომ მხოლოდ ეთიოპური ენა იცოდა კარგად.

უკეთილშობილესი შუამავალი განსაკუთრებით დიდი ყურადღებას აქცევდა ბავშვის მოვლას, განსაკუთრებით ბავშვის საკვებს. როდესაც ძვირფასი ენესი დაიბადა, დედა სანამ ძუძუს მოაწოვებდა, წმინდა შუამავალს ბავშვის დაბადების შესახებ აცნობეს. მაშინვე ენესი წმინდა შუამავალთან მიიყვანეს. წმინდა მუჰამმედმა კი ბავშვს თავისი მადლმოსილი ხელებით ფინიკის ხურმა შეაჭამა.

ერთ მშვენიერ დღეს წმინდა მუჰამმედ შუამავალმა (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) კეთილშობილი ალის ვაჟიშვილს, ძვირფას ჰასანს აკოცა. ამ დროს მის გვერდით მყოფ შუამავლის თანა-

ტოლ აქრას გაუკვირდა და უთხრა: „მე ათი შვილი მყავს, მაგრამ არცერთ მათგანზე ერთხელაც არ მიკოცნია.“ ალლაჰის საყვარელმა შუამავალმა (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) აქრას სახეზე შეხედა და უთხრა: ***„ვინც სხვების მიმართ მოწყალებას არ იჩენს, ის შეწყალებული არ იქნება“.*** (საჰიჰი მუსლიმი, 4/1808)

იყო შემთხვევა, როდესაც წმინდა შუამავალი (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) ერთ ბავშვს გაუბრაზდა. მაშინ თქვა, რომ არ მეშინოდეს იმისა, რომ სამაგიეროს გადამიხდიდა, აი ამ მისვაქს ვუთავაზებდიო. წმინდა მუჰამმედი ბავშვისთვის მისვაქის ღეროს დარტყმასაც კი არ მიიჩნევდა სწორ ქმედებად. (ელ მეთალიბულ ალიე, 2, 387) მან ბავშვების გალახვა კატეგორიულად აკრძალა.

ერთხელაც შვილიშვილებმა, ძვირფასმა ჰასანმა და ჰუსიენმა, წმინდა შუამავალს აქლემის ყიდვა სთხოვეს. იმ დროს შუამავალს შვილიშვილების თხოვნის შესრულების საშუალება არ გააჩნდა. ამიტომ გამონახა გამოსავალი, რომლითაც შვილიშვილებს აქლემის სურვილი დაავიწყებინა. პატარა შვილიშვილების წინ ჩაიჩოქა და უთხრა: “აბა, საყვარლებო, შემაჯექით, აქლემზე უკეთესად მე გაგასეირნებთ.”

სწორედ ასეთი იყო ყველასათვის საყვარელი შუამავალი წმინდა მუჰამმედი, ის ხანდაზმულების, პატარების, ყვავილების, ჩიტებისა და მცენარეებისთვის სიყვარულით განმსჭვალული სანიმუშო პიროვნება გახლდათ. ამიტომაც, მას რამდენადაც შევიყვარებთ, ისიც იმდენად შეგვიყვარებს.

ბ. როგორ უნდა მოვიქცეთ შუამავლის სიყვარულის მოსაპოვებლად?

1. წმიდნა შუამავლის სიყვარულის ნიმუში, უპირველეს ყოვლისა, მშობლებმა უნდა მისცენ პატარებს.

2. მშობლებმა შვილებს უნდა აუხსნან, რომ შუამავლები ყველა საუკეთესო მასწავლებლები იყვნენ. (ბავშვებს მასწავლებლები უყვართ და სათანადოდ მათ საუბარსა და სიტყვებს იჯრებენ) როდესაც სახლში რაიმე ახალ ნივთს შევიძენთ, მას აუცილებლად მოჰყვება პატარა წიგნი, რომელშიც ახსნილია მისი გამოყენების წესი. სწორედ ამგვარ წესებს გვასწავლიან შუამავლები, თუ დედამიწაზე როგორ შეიძლება ადამიანმა იცხოვროს ბედნიერად.



3. გარდა ამისა, ბავშვებს უნდა ვესაუბროთ, რომ სამოთხეში შუამავლების ერთად ვიქნებით.

4. როდესაც ბავშვებს შუამავლის შესახებ ვუყვებით, ყურადღება უნდა გავამახვილოთ წმინდა შუამავლის სიყვარულზე ბავშვების, ბუნების, ცხოველებისა და, საერთოდ, ცოცხალი არსებების მიმართ.

5. ბავშვებს სელავათის კითხვა უნდა ვასწავლოთ და ავუხსნათ, რომ თითოეული სელავათის ჩაკითხვა, წმინდა შუამავლისთვის მიძღვნილი საჩუქრის ტოლფასი იქნება.

6. ამასთან ერთად, ბავშვებს წმინდა შუამავლის ბავშვობაზე უნდა ვესაუბროთ. მისი ბავშვობის მაგალითები უნდა მოვუყვეთ. ასე შუამავალს მათთან უფრო ახლოს წარმოიდგენენ.

7. ბავშვებს საყვარელი შუამავლის მიერ განხორციელებული სასწაულები უნდა მოვუყვეთ. ეს შუამავლის მიმართ ბავშვების სიყვარულს გააძლიერებს, მასზე უფრო მეტად დამოკიდებულად იგრძნობენ თავს და ასევე მას ძლიერ, ავტორიტეტულ პიროვნებად გაითავისებენ.

8. სკოლამდელი ასაკის ბავშვებს წმინდა შუამავლის პირველ ხანებში გამოვლილი წვალების, წუხილის შესახებ არ უნდა მოვუყვეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვების უიმედობის, შიშისა და ოცნებების დამსხვრევის მიზეზი გავხდებით.

9. თანამიმდევრების სიყვარული წმინდა შუამავლის მიმართ ბავშვებს თავიანთი შემეცნების დონის მიხედვით უნდა მოვუყვეთ.

10. ბავშვს უნდა ვკითხოთ, უზენაესი ალლაჰისა და წმინდა შუამავლის შემდეგ ვინ გიყვარს? ასეთი კითხვა მათ გააზრებინებს იმას, რომ ყველაზე მეტად უზენაესი ალლაჰი და წმინდა შუამავალი უნდა უყვარდეთ.

11. ხშირად უნდა ვიკითხოთ სელავათი და ამისათვის ბავშვებიც უნდა წავახალისოთ.

გ. რას უნდა მიექცეს ყურადღება ჰადისების სწავლებისას?

ჰადისის სწავლებისას ისეთი თემა უნდა ავირჩიოთ, რომელსაც ბავშვები ადვილად შეიცნობენ და იქნება კონკრეტული შინაარსის. გადატანითი მნიშვნელობის, ირიბი დამოკიდებულების შემცველი ჰადისები ბავშვებს არ უნდა ვასწავლოთ.

- ჰადისები ბავშვების სამყაროს უნდა შეხებოდეს.
- ტექსტი სადა, მარტივი, გასაგები და, რაც მთავარია, ბავშვების ასაკს უნდა შეესაბამებოდეს.
- უნდა ავუხსნათ წმინდა შუამავლის პირადი ქმედებები და ასევე განვუმარტოთ ისეთი ქმედებებიც, რომლისგანაც თავს იკავებდა.
- უნდა მოვუყვეთ წმინდა შუამავლის მიერ დანატოვარი რჩევა-დარიგებები და მითითებები.
- შესაძლებლობის ფარგლებში ავირჩიოთ ისეთი ჰადისები, რომლებსაც პატარები, შეძლებისდაგვარად, ცხოვრებაში გაატარებენ.
- აგრეთვე ისეთი საკითხები უნდა ავირჩიოთ, რომელსაც ბავშვები როგორც გრძნობებითა და აზროვნებით, ასევე ქცევებით გამოავლენენ.

დ. ჰადისები, რომლებიც შესაძლებელია, ბავშვებმა დაიზეპირონ:

- *„თქვენს შორის საუკეთესოა ის, ვინც ყურანს ისწავლის და შემდეგ სხვებს შეასწავლის“.* (ბუჰარი, ფეზაილულ ყურან, 21)
- *„წარმოთქვი „ბისმილლაჰ“ და ჭამა მარჯვენა ხელით შენს წინიდან დაიწყე“.* (ბუჰარი, ქითაბულ ეთღიმე 1)
- *„ადამიანთა შორის ამაღლებული და ალლაჰთან დაახლოებულია ის, ვინც შეეცდება პირველმა მიესალმოს“.* (ებუ დავუდ, ედებ, 133)
- *„ადამიანს სამართლიანობა - სიკეთისკენ, ხოლო სიკეთე სამოთხისკენ გ ზას გაუნათებს“.* (ბუჰარი, ედები, 6)
- *„მუსლიმს, რომელიც ხეს დარგავს და ამ ხისგან ადამიანები, ჩიტები და ცხოველები ისარგებლებენ, განკითხვის დღემდე ის ხე მისგან გაცემულ წყალობად ჩაეთვლება.* (მუსლიმ, მუსაყათ, 10)
- *„სისუფთავე რწმენის ნახევარია“.* (მუსლიმ, თაჰარეთ, 1)
- ძვირფასი ენესი მოგვითხრობს: *“არასოდეს არ შევხებივარ ისეთ რბილ და სათუთ ხელს, როგორიც წმინდა შუამავლის ხელი იყო*





და არც მისი მსგავი სურნელება შემიგრძნია ცხოვრებაში“. (მუსლიმი, ფაზილეთ, 82)

„ერთმა პიროვნებამ სეირნობისას გზაზე ეკლიანი ჯოხი დაინახა და ის გზას მოაშორა. უზენაესმა ალლაჰმა მოიწონა მისი ეს კეთილშობილური ქმედება და ცოდვები მიუტევა“. (ბუჰარი, მეზალიმ, 28)

„უკეთილშობილესი შუამავალი როდესაც წყალს მიირთმევდა, სამჯერ შეისვენებდა“. (ბუჰარი, ეშრიბე 25)

„მორწმუნე, რომელიც სულიერ ძმას დაეხმარება და მას ერთ რომელიმე დარდს შეუმსუბუქებს, უზენაესი ალლაჰი განკითხვის დღეს იმ მორწმუნეს ერთი ცოდვისგან გაათავისუფლებს“. (მუსლიმ, ზიქირ, 38)

„კეთილი სიტყვა მოწყალებაა“. (ბუჰარი, ჯიჰად, 72)

„არცერთი სიკეთე მცირედ არ ჩათვალო, თუნდაც ის სულიერი ძმისთვის სახემომღიმარი დახვედრა იყოს“. (მუსლიმ, ბირრი, 144)

„რომელიმე თქვენგანი როცა სხვასთან სტუმრად წავა, აუცილებლად კარებზე დააკაკუნოს. თუკი ნებას დართავენ, შევიდეს, თუკი არა და უკან გამობრუნდეს“. (ბუჰარი, ითიზან, 13)

დ. ჰადისების სწავლების სანიმუშო მაგალითები

ნიმუში 1

წავიკითხოთ შემდეგი ჰადისი: **„ერთმა პიროვნებამ სეირნობისას გზაზე ეკლიანი ჯოხი დაინახა და ის გზას მოაშორა. უზენაესმა ალლაჰმა მოიწონა მისი ეს სასიკეთო ქმედება და ცოდვები მიუტევა“** *(ბუჰარი, მეზალიმ, 28)*

ამ ჰადისის სწავლებისას საკლასო ოთახში ნაგვის ყუთი და ფერადი ყვავილები განვალაგოთ, ხოლო ჰადისიდან გამომდინარე ბავშვებს შემდეგი კითხვებით ვესაუბროთ:

აბა, ბავშვებო, მიპასუხეთ, გზაზე სეირნობისას რა იქნება ისეთი, რაც თქვენ შეგაწუხებთ?

ქვაზე ფეხი წამოგიკრია და წაქცეულხარ ოდესმე?

ირგვლივ არსებული ნაგავი და სიბინძურე როგორ გამოიყურება?

ირგვლივ მიმოფანტული ნაგავი როგორ სუნს აფრქვევს?

საუბრის ბოლოს დასკვნის სახით დავამატოთ, რომ ჩვენ, როგორც სანიმუშო მუსლიმებმა, გარემოს სისუფთავესა და სილამაზეს დიდი ყურადღება უნდა მოვაქციოთ და ის, რაც ადამიანებს აწუხებთ და დისკომფორტს უქმნით, გარემოს უნდა მოვაშოროთ.

თამაში

ორი სახის გზა ავარჩიოთ. ერთზე ნაგავი და სხვადასხვა ნარჩენები დავყაროთ, ხოლო მეორე სასიამოვნო ყვავილებით მოვრთოთ. ბავშვები ორ ჯგუფად დავყოთ და ერთი მეორის უკან ჩავაყენოთ. შემდეგ ვუთხრათ ბავშვებს, რომ გაიარონ სწრაფად ისე, რომ გზად დაყრილ ქვებსა და ნაგავს ფეხი არ დააბიჯონ. რა თქმა უნდა, ბავშვებს ნაგვიან გზაზე გავლა გაუჭირდებათ, ამიტომაც ბავშვებს ასე უნდა მივმართოთ:

„ნახეთ ბავშვებო, აქ ორი გზა არსებობს. ერთი გზიდან ქვები და ნაგავი კეთილ ადამიანებს გაუსუფთავებიათ. მეორე გზაზე კი ისევ ისე ყრია და ჩვენ სიარულში ხელს გვიშლის. აბა, ბავშვებო, მოდით, ეს გზა ქვებისა და სიბინძურისგან გავასუფთავოთ. ალლაჰს ჩვენი ეს ქმედება ძალიან მოეწონება. თან დაითვალეთ, ვინ რამდენ ცალ ქვას გადაააგდებს. აღებული ერთი ქვა, ან სხვა ნაგავი ერთ ქულას მოგიტანთ. აბა, ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს! ბოლოს კი რიგის ნომერი აიღეთ, რიგი დაიცავით და თქვენი კუთვნილი საჩუქარი მიიღეთ“.

ნიმუში 2

პირველ რიგში წავიკითხოთ ჰადისი: **„მორწმუნეები ერთმანეთის მხოლოდ ძმები არიან“.** *(ბუჰარი, მეზალიმ 3)*

“ბავშვებო, გსმენიათ თუ არა წმინდა შუამავლის ეს დიდებული სიტყვები? ძვირფასი ჰადისები გვასწავლის, რომ მორწმუნეებს უზენაესი ალლაჰი და ერთმანეთი ძალიან უყვართ. ეს იმას ნიშნავს, რომ წმინდა შუამავალს ჩვენი ერთად და ძმურად ყოფნა სურს. ამიტომაც დედ-მამა, მასწავლებელი, მეგობრები და საერთოდ ადამიანები უნდა გვიყვარდეს. უფრო მეტიც, ისინი ისე უნდა გვიყვარდეს, როგორც ღვიძლი ძმები.



ვ. შუამავლის ისტორიების თხრობა

1. წმინდა ადამ შუამავალი

უზენაესმა ალლაჰმა ინება გაეჩინა გონიერი და ლამაზი არსება, რომელიც მას აღიარებდა და მისთვის ღვთისმსახურებას აღავლენდა. სწორედ ამიტომაც გააჩინა პირველი ადამიანი და მას ადამი დაარქვა. მაგრამ წმინდა ადამი მარტოობამ შეაწუხა. დღეს, როგორც ჩვენ მეგობრები, მეზობლები და ნათესავები გვყავს, წმინდა ადამსაც ასე სურდა, რომ გვერდით ვინმე ჰყოლოდა. უზენაესმა ალლაჰმა წმინდა ადამის სურვილი გაითვალისწინა და მას მეუღლე მოუვლინა, რომელსაც სახელად ჰავა ეწოდა. წმინდა ადამი და ჰავა ძალიან კარგად უგებდნენ ერთმანეთს. ერთ მშვენიერ დღეს ერთ ბაღში შევიდნენ, რომელშიც უამრავი გემრიელი ხილი იყო. თუმცა ერთი ხის ნაყოფის მირთმევა მათ კატეგორიულად აკრძალული ჰქოდათ. წმინდა ადამსა და ჰავას იმ აკრძალული ხის ნაყოფი ძალიან მოეწონათ. მაგრამ უზენასმა ალლაჰმა ისინი მკაცრად გააფრთხილა: „უფრთხილდით, ეს ნაყოფი არ მიიირთვათ!“ სამწუხაროდ ისინი ხორციელმა მოთხოვნილებამ ძალიან შეაწუხა და, აკრძალვის მიუხედავად, მიირთვეს ნაყოფი. რადგანაც მათ ურჩობა გამოიჩინეს ღვთის სიტყვის წინაშე, მას შემდეგ, იმ ულამაზეს ბაღში ვეღარ შევიდნენ.

უზენაესმა ალლაჰმა ისინი დედამიწაზე გადმოიყვანა. მათ მთელი გულით მოინანიეს უზენაესის ბრძანების ურჩობა, ძალიან დაღონდნენ, უზენაეს ალლაჰის წინაშე სინანული გამოხატეს და ვედრება აღავლინეს. ვინაიდან დიად გამჩენს ვედრების აღმსრულებელი და პატიების მთხოვნელი ადამიანები უყვარს, მათაც მიუტევა და აპატია ჩადენილი ცოდვა.

წმიდნა ადამი დედამიწაზე მოვლენილი უპირველესი ადამიანია. იგი ამავე დროს პირველი შუამავალია. წმინდა ადამსა და ჰავას შვილები შეეძინათ, შემდეგ შვილების შვილები და ასე გამრავლდნენ დედამიწაზე ადამიანები. გამოდის, რომ ჩვენც წმინდა ადამისა და ჰავას შთამომავლები ვართ, ესე იგი ჩვენ მათი შვილები და ერთმანეთის ძმები ვართ. წმინდა ადამი იმისათვის, რომ ოჯახი ერჩინა, მიწას ამუშავებდა და ნათესებს უვლიდა. ჩვენ ძალიან ბევრი რამ წმინდა ადამისგან ვისწავლეთ, მაგალითად ის, თუ როგორ დავამუშავოთ მიწა და როგორ ავიშენოთ სახლი.

მეცნიერული და ბუნებრივი საქმიანობა

ბავშვები ოჯახებიდან ბოსტანში დასათესად სხვადასხვა სახის ბოსტნეულის თესლს წამოიღებენ. როცა მათ დასათესად გავიყვანთ ბუნებაში, ასე მივმართოთ:

„აბა, ახლა ყველამ ერთად პომიდვრის თესლი ჩავთესოთ. ბავშვებო, წმინდა ადამმა ყველაფერთან ერთად ლოდინი და მოთმინებაც გვასწავლა. მაშ ასე, ჩვენც დიდი მოთმინებით სრულად გაზრდამდე მოვუაროთ პომიდორს, მოვრწყოთ და ყურადღება არ მოვაკლოთ.

ხელოვნება

გამოსაყენებელი მასალა: მუყაო, ნარჩენი მასალები, მაკრატელი, წებო და სხვა.

მასწავლებელი ბავშვებს მართკუთხა ფორმის მუყაოსა და სხვადასხვა ქსოვილს დაურიგებს. ბავშვებს დაარიგებს, რომ ყველა მათგანმა „სეჯჯადეს,“ ანუ ნამაზის სალოცავის მომზადება უნდა შეძლოს. როდესაც ბავშვები მორჩებიან დავალების შესრულებას, „სეჯჯადეებს“, ანუ სალოცავებს ყიბლის მიმართულებით გაშლიან და ვედრებას აღავლენენ.

2. შუამავალი იდრისი

როგორც ვიცით, შუამავალი იდრისი პროფესიით თერძი გახლდათ და შესაბამისად მისი შემოსავლის წყაროც თავისი პროფესია იყო. თერძებს, რომლებიც ჩვენთვის ტანსაცმელს კერავენ, ეს პროფესია შუამავალი იდრისისგან მემკვიდრეობით გადმოეცათ, შუამავალი იდრისი პირველი თერძი იყო და ამავე დროს იგი სწავლული პიროვნებაც გახლდათ. იგი ცდილობდა, ყველასთვის აეხსნა უზენაესი ალლაჰის არსებობისა და რელიგიის ჭეშმარიტება. იგი ადამიანებს ყველა საკითხის მოგვარებაში ეხმარებოდა. წმინდა იდრისი სიცოცხლის ბოლომდე ადამიანებს ახალ ცოდნას აძლევდა და სხვადასხვა წესებს ასწავლიდა. წმინდა ადამ შუამავლის დროს დაწყე-

ბული წერა-კითხვა შუამავალი იდრისის დროს უფრო მეტად განვითარდა.

ხელოვნება


გამოყენებული მასალა: ჟილეტი, შარვალი, ქვედა კაბა, და.ა.შ. სურათები, მაკრატელი, წებო, პლასტელინი, ნარჩენი მასალები.

ფურცელზე დახატული ჟილეტის, შარვლის ან სხვა რაიმე ტანსაცმლის ნახატები მივსცეთ ბავშვებს. ჯერ გააფერადონ, შემდეგ კი ნარჩენი მასალების მეშვეობით მათი მოქარგვა დავავალოთ.

3. შუამავალი ნუჰი

შუამავალი ნუჰი თავის ხალხს უზენაესმა ალლაჰმა იმისთვის მოუვლინა, რომ ჭეშმარიტება ექადაგა. იგი მათ გამუდმებით სიკეთისა და სიქველისკენ მოუწოდებდა და არიგებდა, რომ არც ცოცხალი და არც არაცოცხალი არსებისთვის ზიანი არ მიეყენებინათ. ის ცდილობდა, გამოესწორებინა ხალხის შეცდომები. ერთხელაც უზენაესმა ალლაჰმა შუამავალ ნუჰს ამცნო, რომ რამდენიმე დღე გადაუღებლად იწვიმებდა. ამისათვის მას გემის გაკეთება დაავალა. გემში კი ადამიანებთან ერთად ყველა ცოცხალი არსებებისგან მხოლოდ თითო წყვილის აყვანა უბრძანა. გემში მყოფებს ქარიშხალი და წვიმა ზიანს არ მიაყენებდა. ამის შემდეგ შუამავალმა ნუჰმა და მისმა თანამიმდევრებმა დიდი გემი გააკეთეს. როდესაც შუამავალ ნუჰთან ერთად თავისმა თანამიმდევრებმა გემში ჩასხდნენ, დიადი გამჩენი ადიდეს და თქვეს: „რამდენად დიადი და უზენაესია ალლაჰი, რომელმაც ეს გემი ჩვენ გვიბოძა. ჩვენ ხომ ამისი ძალა არანაირად არ შეგვწევდა.“

როდესაც ქარიშხალი ჩადგა, გემი ერთი მთის წვერთან გაჩერდა. გემიდან გადმოსულებმა გადარჩენისთვის ყოვლისშემძლე გამჩენს მადლობა გადაუხადეს. შემდეგ დარჩენილი სურსათი ერთად მოაგროვეს და კერძი მოამზადეს, რომელსაც „აშურა“ უწოდეს. აშურის კერძი, რომელსაც ჩვენი მშობლები ამზადებენ, შუამავალმა ნუჰმა დაგვიტოვა.



წმინდა შუამავალი ნუჰი ძალიან მომთმენი პიროვნება იყო. დიდი ხნის განმავლობაში უამრავ ბოროტებასა და დამ-



ცირებას ითმენდა. მას ბოროტების ჩამდენისთვის სიავე არასოდეს უქმნია. ის სწორედ ისეთი მომთმენი იყო, როგორიც უზენაეს ალლაჰს ენება.

როგორ გავითამაშოთ აშურა?

თამაშისთვის წინასწარი მომზადებაა საჭირო

(პირველ რიგში ფიზიკური მოქმედებები სრულდება)

„აბა, ბავშვებო, ახლა თქვენთან ერთად შუამავალი ნუჰის მსგავსად გემი უნდა გავაკეთოთ. წამორვთქვათ „ბისმილლაჰ“ და დავიწყოთ. გემის გასაკეთებლად ფიცარი გვჭირდება. ამისათვის წავიდეთ ტყეში და ხმელი ხეები მოვჭრათ. ყველამ აიღოს ხელში ცული და მთელი ძალით ხმელი ხის მოჭრა დაიწყოს. კარგია! ახლა კი ხერხი ავიღოთ, ტოტები მოვაცალოთ და ერთ ადგილას მოვაგროვოთ. ახლა ყველამ ხელში ჩაქუჩი მოვიმარჯვოთ და ეს ფიცრები ლურსმნებით შევჭედოთ. სადაცაა გემის კეთებას მოვრჩით, აბა, ყველამ ერთად გემის კედლები გავაპრიალოთ და შევღებოთ. დიახ! გემი დასრულებულია. ჯერი ვედრებაზე მიდგა. ვედრება აღვავლინოთ, უზენაეს ალლაჰს მადლობა გადავუხადოთ და გემში ჩავსხდეთ.”

პრაქტიკული თამაში

“ბავშვებო, ყველას დიდ მადლობას გიხდით, ძალიან ერთგულად იშრომეთ. ახლა კი ტყეში ჩვენთვის აშურის კერძის სურსათია მომზადებული. ყველა ჩვენგანი ტყეში წასვლისას ამ ორღობის ქვეშ გაძვრებით, შემდეგ გორას გადაივლით, ბოლოს კი თქვენს წინ დიდ ხეს დაინახავთ. იმ ხეს გარს შემოუვლით და მდინარეზე ხტუნვა-ხტუნვით გადახვალთ. ამის შემდეგ კი აშურისთვის საჭირო სურსათს აიღებთ და უკან გამობრუნდებით. გზაში გემში ასაყვანი ცხოველები იქნებიან. მათგან თითო წყვილი წამოიყვანეთ და გემთან მოდით.

ფრინველები: არწივი, ყვავი, მტრედი, ჩიტი, გედი, წერო და სხვა...

ზღვის ცხოველები: რვაფეხა, თევზი, პინგვინი, ზვიგენი, ვეშაპი, კიბორჩხალა, დელფინი და სხვა.

ხმელეთის ცხოველები: ძროხა, ძაღლი, ჟირაფი, ლომი, კატა, კურდღელი, ბატკანი და სხვა.

აშურის მოსამზადებელი მასალა: გაროხი, ლობიო, ნიგოზი, ქიშმიში, ლეღვის ჩირი, ატმის ჩირი, პურის მარცვალი.

განსატვირთი თამაში

ფურცლებზე უნდა დავახატვინოთ ფრინველები, ხმელეთის ცხოველები და ზღვის ცხოველები. ბავშვები წრეს გააკეთებენ და რიგის მიხედვით აირჩევენ რომელიმე ნახატს. ამის შემდეგ კი ვკითხავთ, რომ მათ მიერ აღებულ ნახატზე გამოსახული არსება სად ბინადრობს, როგორი თვისებებით გამოირჩევა. დანარჩენმა ბავშვებმა უნდა გამოიცნონ ცხოველის სახეობა, რომლის შესახებაც ერთ-ერთი მათი მეგობარი საუბრობს.

4. შუამავალი ჰუდი

უზენაესმა ალლაჰმა შუამავალი ჰუდი ძლიერი, წარმოსადეგი და გავლენიანი გააჩინა. იგი მდიდარ და ხალხმრავალ ქვეყანას მოუვლინა, რომელშიც უხვად იყო მორაკრაკე ნაკადულები, მრავალფეროვანი ყვავილები, სხვადასხვა სახის ხეხილი და ბოსტნეული.
შუამავალი ჰუდი მათ ყოველთვის სიკეთისკენ მოუწოდებდა, მაგრამ რადგან ისინი მდიდრები და ძლიერები იყვნენ და ენდობოდნენ რა საკუთარ შესაძლებლობებს, ფიქრობდნენ, რომ ისინი შეძლებდნენ ყველაფერ იმას, რასაც მოისურვებდნენ. იმდენად გათამამდნენ, რომ შუამავალ ჰუდს უთხრეს: “თუ შენ ნამდვილად შუამავალი ხარ, აბა, მიდი და შეუცვალე ქარს მიმართულება.” როგორც სხვა ბევრ შემთხვევაში, შუამავალი ჰუდის ხალხიც უმეცრები იყვნენ. არ ენდობოდნენ ჭეშმარიტებას. შუამავალმა ჰუდმა უზენაეს ალლაჰს შეევედრა და ალლაჰის ნებით ქარს მიმართულება შეეცვალა, ვინაიდან უზენაესი ალლაჰის ძალა განუსაზღვრელი იყო.

ხელოვნური აქტივობა

გამოყენებული ნივთები: მუყაო, მაკრატელი, წებო.

მაწავლებლის მიერ დახატულ ნახატებს ბავშვები გამოჭრიან და მიაწებებენ. ამის შემდეგ კი გამოჭრილ ნახატებს ჯოხს გაუკეთებენ და ქარიან დღეს გარეთ ეზოში გამოვლენ. ნახატები ქარის მიმართულებით დაიწყებს ტრიალს. ამ დროს კი ბავშვებს ავუხსნით:

“მაშინ, როცა ქარი ჩრდილოეთის მიმართულებით ქრის, ჩვენ არ შეგვწევს ძალა, რომ ის სამხრეთის მიმართულებით მივაბრუნოთ. მაგრამ შუამავალმა ჰუდმა უზენაესი ალლაჰის ნებით შეძლო ქარის მიმართულება შეეცვალა. აღნიშნული სასწაული ადამიანებს უადვილებდა წმინდა ჰუდის შუამავლობის ნდობასა და ჭეშმარიტ რწმენას.

5. შუამავალი სალიჰი



ხალხს შუამავალი სალიჰი უყვარდა. ის ვაჭრობით იყო დაკავებული. ხელგაშლილი, სიმართლისმთქმელი და ყველასთვის სანდო პიროვნება იყო. როდესაც ძვირფასი სალიჰი ორმოცი წლის შეიქმნა, უზენაესმა ალლაჰმა მას შუამავლობა უბოძა.

როგორც შუამავალი ჰუდის, ასევე შუამავალი სალიჰის პერიოდში ხალხი ძალიან მდიდრულად ცხოვრობდა. უზენაეს ალლაჰს მათთვის ულამაზესი ხეხილის ბაღები, სახნავ-სათესი მიწები, ხვავი-ბარაქა და, რაც მთავარია, უხვი მდინარეები ჰქონდა ბოძებული. წმინდა სალიჰის ხალხს შეეძლო ქვების დამუშავება და უმშვენიერესი სახლების გაკეთება.

შუამავალი სალიჰი ხალხს ხშირად ახსენებდა, რომ მათთვის ბოძებული უხვი წყალობების სანაცვლოდ უზენაესი ალლაჰისგან მადლიერები უნდა ყოფილიყვნენ და მისადმი დიდი სიყვარულით განმსჭვალულიყვნენ. მათ შორის ზოგმა დაიჯერა შუამავლის სიტყვები, ხოლო ზოგმა უარყო.

მათ, ვინც წმინდა სალიჰის შუამავლობა არ იწამეს, ასეთი წინადადება წამოაყენეს, რომ იმ პირობით ვიქნებით უზენაესი ალლაჰის მადლიერი და გვეყვარება იგი, თუკი ამ კლდიდან წითელბეწვიან ფეხმძიმე აქლემს გამოიყვანსო.

შუამავალმა სალიჰმა ლოცვა აღასრულა და უზენაეს ალლაჰს შეევედრა სასწაული. დიახ, დიადმა გამჩენა ისმინა შუამავალი სალიჰის ვედრება და კლდიდან წითელბეწვიანი ფეხმძიმე აქლემი გამოიყვანა. აქლემს კი დიადმა გამჩენმა უამრავი სასწაული უბოძა. ეს არ იყო ჩვეულებრივი აქლემი. მან მაშინვე კოზაკი მოიგო. ზაფხულის სიცხეში ცივ, ხოლო ზამთრის სუსხის დროს კი თბილ რძეს იწველიდა. სნეულები და ავადმყოფები მისი რძით იკურნებოდნენ, ხოლო ღარიბები მდიდრდებოდნენ. აქლემი ძალიან ჭკვიანი იყო. ეტყოდი "დაჯექი", დაჯდებოდა, ხოლო ეტყოდი "ადექი", ადგებოდა. დიახ, ჩვენი დიადი გამჩენი ყოვლისშემძლეა. აქლემმა შემდეგ ეს სიტყვებიც კი წარმოთქვა: "მე თქვენთან უზენაესმა ალლაჰმა მომავლინა, ის ერთადერთია. მის გარდა სხვა ღვთაება არ არსებობს, ხოლო სალიჰი მის მიერ თქვენთვის მოვლენილი შუამავალია." დიადმა გამჩენმა სალიჰის ხალხი გააფრთხილა, რომ აქლემისთვის ზიანი არ მიეყენებინათ. მათ, ვინც წმინდა სალიჰის ირწმუნეს, აქლემი მტრე-

ბისგან დაიცვეს, ხოლო ბოროტმა ადამიანებმა არ დაუჯერეს სალიჰს და აქლემისა და კოზაკისთვის ზიანის მიყენება სცადეს. დიადმა გამჩენმა შეიწყალა და დაიცვა ისინი, რომლებმაც შუამავალი სალიჰის სიტყვები ირწმუნეს.

სათამაშო აქტივობა

საკლასო ოთახში დიდი აქლემი და პატარა კოზაკი დავხატოთ და ბავშვების დახმარებით გავალამაზოთ. ბავშვები ერთი მეორის უკან დადგებიან და რიგს გააკეთებენ. მასწავლებელი ერთ-ერთ მოსწავლეს აქლემისთვის დამახასიათებელ თვისების შესახებ კითხვას დაუსვამს. იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვი სწორად უპასუხებს, ერთ ვარსკვლავს მიიღებს. აღნიშნული თამაში მანამ გაგრძელდება, სანამ ყველა ბავშვი თითო ვარსკვლავს არ მიიღებს.

6. შუამავალი იბრაჰიმი და ისმაილი

წმინდა იბრაჰიმი, ერთერთი შუამავალი იყო და მას უზენაესი ალლაჰი ძალიან უყვარდა. შესაბამისად, დიად ალლაჰსაც იგი ძალიან უყვარდა. შუამავალ იბრაჰიმს ვაჟი შეეძინა და მას სახელად ისმაილი დაარქვა. როდესაც ისმაილი პატარა ბავშვი იყო, ქააბას ახლოს, ხის ჩრდილში დედასთან ჰაჯერთან ერთად იმყოფებოდა. მათ არც საკვები და არც სასმელი წყალი არ ჰქონდათ. უდაბნოს მწველი მზე აცხუნებდა, წყალი კი არსად ჩანდა. იძულებული იყვნენ, სადმე წყარო მოეძებნათ. ისმაილის დედა გორაკიდან გორაკზე მიდი-მოდიოდა, რათა რაიმე შეჭამადი, ან სასმელი წყალი ეშოვა. ამავე დროს იქ მიტოვებულ შვილს თვალყურს ადევნებდა. როდესაც უკვე მთებს შორის შვიდჯერ მიმოვიდა, უცებ რას ხედავს; იქ სადაც შვილი ისმაილი ჰყავდა დატოვებული, წყალი მოჩხრიალებდა. ჰაჯერის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. მაშინვე ისმაილთან მიირბინა, ეგონა წყალი მალე შეწყდებოდა და წამოიძახა: „ზემ-ზემ“, ანუ „შეჩერდი, შეჩერდი“. ეს რომ თქვა, წყალმა ნელა-ნელა იწყო დენა. ასე რომ არ ეთქვა, წყალი იმდენად უხვი რაოდენობით მოედინებოდა, რომ იქ დიდი ტბა წარმოიქმნებოდა. ეს არის ამბავი ზემზემის წყლისა, რომელსაც ჩვენ სიამოვნებით მივირთმევთ.



გავიდა დღეები, ისმაილი გაიზარდა. დიადი გამჩენის წყალობით შუამავლობის მისია დაეკისრა. მამა-შვილი ერთმანეთს ისე კარგად უგებდნენ, თითქოს ორი ერთგული მეგობარი ყოფილიყვნენ. შუამავალ ისმაილს მისი მამა ძალიან უყვარდა.

ერთ მშვენიერ დღეს უზენაესმა ალლაჰმა შუამავალ იბრაჰიმს ქააბას აგება უბრძანა. მამა-შვილი დიდი მონდომებითა და სიხარულით ქააბას აგებას შეუდგნენ. ქააბას მშენებლობა დღითიდღე წინ მიიწევდა, რაც მამა-შვილს ძალიან ახარებდა და დიად გამჩენს ასე ევედრებოდნენ: „ო, დიადო გამჩენო! ისმინე ჩვენი ვედრება, ვინაიდან შენ ყოვლისმხედველი და ყოვლისმსმენელი ხარ. ჩვენ კი გვაქციე შენს ერთგულ მორწმუნე მუსლიმებად, მაგრამ ასევე ჩვენი შვილებიც მორწმუნე მუსლიმთა რიგებში ამყოფე.”

შუამავალმა იბრაჰიმმა ქონებისა და სიმდიდრის დიდი ნაწილი უპოვართა და მიუსაფართა სასიკეთოდ დაანაწილა, ისე რომ არცერთი გროში საკუთარი თავისთვის არ გამოუყენებია. ამ ქონებასა და ფულს „ფონდის ქონება“ ეწოდა.

დრამატული აქტივობა

ბავშვებთან ერთად, ერთ-ერთი აღმზრდელის ყურადღების ქვეშ, შესაძლებელია, გავაკეთოთ ქააბას მაკეტი. ამის შემდეგ კი შევასრულებთ იმ მოქმედებას, რომელიც შუამავალი იბრაჰიმისა და ისმაილის ოჯახმა გვასწავლა *(ჰაჯობის რიტუალი).*

7. შუამავალი იაყუბი და იუსუფი

შუამავალი იაყუბი დიადი გამჩენის მიერ მოვლენილი თავმდაბალი, თბილი და სიმართლის მთქმელი შუამავალი იყო. ის ძალიან გონიერი და წარმატებული მასწავლებელი გახლდათ. უზენაეს ალლაჰს შუამავალი იაყუბი ძალიან უყვარდა. მას 12 ვაჟი ჰყავდა.

შუამავალ იაყუბს ვაჟიშვილები ძალიან უყვარდა, მაგრამ მათ შორის იუსუფის მიმართ გასაკუთრებული სიყვარული ამოძრავებდა. ერთ დღეს ძვირფასი იუსუფი გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა. ამის გამო შუამავალი იაყუბი დამწუხრდა და ბევრი იტირა. იუსუფი სრულიად უცხო ქვეყანაში აღმოჩდა, სადაც ძალიან დიდ მწუხარებას განიცდიდა. მამისგან, ოჯახისგან, ძმებისგან შორს ყოფნის პერიოდში თავს ძალიან ბევრი უბედურება დაატყდა, მაგრამ

მას დიადი გამჩენის იმედი არასოდეს დაუკარგავს და ალლაჰს მამასთან შეხვედრას გამუდმებით ევედრებოდა. მამამ ის ყველგან ეძება, მაგრამ ვერ იპოვა.

წმინდა იაყუბი მთელ მის მწუხარებას ვედრებით უყვებოდა დიად გამჩენს. ვინაიდან უზენაესი ალლაჰი ყველა მონა-მსახურის ვედრებას ისმენს, ასევე შეისმინა წმინდა იაყუბის ვედრებაც და მამა-შვილი ერთმანეთს შეახვედრა. უზომოდ გახარებულმა მამა-შვილმა დიად გამჩენს უამრავი მადლობა გადაუხადეს და ლოცვა შეასრულეს. შვილთან შეხვედრით ბედნიერმა შუამავალმა იაყუბმა თქვა: „ჩემს ყველა დარდებს დიად ალლაჰს მოვუყვები და ის მე დამეხმარება.“

სამეცნიერო და ბუნებრივი აქტივობა

იმისათვის, რომ ბავშვების გონებაში „მოთმინების“ ცნებამ დაიმკვიდროს, საკლასო ოთახში დავდგათ ყვავილი და ბავშვებთან ერთად მის ზრდას თვალყური ვადევნოთ. ასევე ვისაუბროთ მოთმინების შესახებ.

8. შუამავალი შუღაიბი

უხსოვარ დროში ყოფილა ორი ქალაქი, რომლებსაც მედიანი და ეიქე ერქვა. აღნიშნული ქალაქები ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. ხალხი, ვაჭრობის დროს, საქონელს ძალიან ძვირად ჰყიდდნენ. ადამიანების მოტყუებით, უკანონოდ უთვალავ სიმდიდრეს აგროვებდნენ. ერთმანეთს ზიანს აყენებდნენ და ძალიან ცუდად ექცეოდნენ. უზენაესმა ალლაჰმა მათ შუამავალი შუღაიბი მოუვლინა. შუამავალი შუღაიბი კეთილი, თავაზიანი, სახემღიმარი, უსამართლობის მოწინააღმდეგე პიროვნება გახლდათ. რასაც ცუდს ხედავდა, ძალიან სწყინდა და ცდილობდა, ყველასთვის აეხსნა, რომ, რასაც ისინი სჩადიოდნენ, ცუდი და მიუღებელი ქმედება იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგი ისმენდა, ხოლო ზოგი მის რჩევებს აინუნშიც კი არ აგდებდა. დიადმა გამჩენმა მათ უთვალავი სიუხვე და ბარაქა უწყალობა. ზედმიწევნით მდიდრები იყვნენ, მაგრამ ერთმანეთს არ უყოფდნენ. შუამავალი შუღაიბი მათთვის სულ ალლაჰს ევედრებოდა. ბოროტი ხალხი ბევრი იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, არსებობდნენ

კეთილი ადამიანებიც, რომლებიც შუამავალი შუღაიბის სიტყვებს ისმენდნენ და სჯეროდათ მისი.

შუამავალმა შუღაიბმა ისინი უკანასკნელად გააფრთხილა და ამის შემდეგ თავის მეგობრებთან ერთად დატოვა სამშობლო და სხვა ქალაქში გადაიხვეწა. მედიანისა და ეიქეში დარჩენილმა ბოროტმა ადამიანებმა ინანეს თავიანთი ცუდი საქციელი. ყველგან მოძებნეს შუამავალი შუღაიბი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. შუამავალ შუღაიბთან ერთად წასულმა ხალხმა სხვა ქვეყანაში ბედნიერად იცხოვრა.

მეცნიერული და ბუნებრივი აქტივობა

გამოყენებული მასალები: ტანსაცმლის საკიდი, ძაფი, ერთჯერადი ჭიქა, ხილ-ბოსტნეული. ტანსაცმლის საკიდის ორივე მხარეზე ძაფით სასწორის ჯამის ნაცვლად ერთჯერადი ჭიქები ჩამოვკიდოთ. საკლასო ოთახში რამდენიმე სახის ხილი შემოვიტანოთ და ბავშვებს ვთხოვოთ, ერთი და იმავე წონის ხილი ზემოთხსენებულ ჯამებში ჩააწყონ. ამ დროს კი შესაძლებელია, ბავშვებს წონის, სიზუსტისა და სამართლიანობის მნიშვნელობაზე ვესაუბროთ.

9. შუამავალი მუსა

ძველ დროში ერთი ლამაზი ბავშვი დაიბადა, რომელსაც სახელად მუსა დაარქვეს. იმ პერიოდში ქვეყნის ხელმწიფეს ცუდი სიზმარი უნახავს. გამომდინარე იქედან, რომ მან ნანახი ცუდი სიზმრის დაიჯერა, გადაწყვიტა, მის ქვეყანაში დაბადებული ყველა ვაჟი უცხო ქვეყანაში გაესახლებინა. დედას ახალშობილი მუსა თავდავიწყებით უყვარდა და იგი შვილის სხვა ქვეყანაში გაძევებას ვერ შეეგუებოდა. იძულებული იყო, რომ ბევრი ეფიქრა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს გამოიყენა ხერხი, რომლის წყალობითაც ახალშობილი მუსა ხელმწიფის ბაღში აღმოჩნდა.



მიუხედავად იმისა, რომ ხელმწიფე ძალიან ბოროტი იყო, მისი მეუღლე კეთილი და გულისხმიერი ქალბატონი გახლდათ. როცა ახალშობილი მუსა დაინახა, ძალიან მოეწონა.

ხელმწიფეს უნდოდა ეს ახლაშობილი ვაჟიც უცხო ქვეყანაში გაესტუმრებინა, მაგრამ გულისხმიერმა მეუღლემ იმდენი იღონა, რომ ხელმწიფეს პატარა მუსას სხვა ქვეყანაში გადასახლება გადააფიქრებინა. ახალშობილმა მუსამ არავის რძე არ მიირთვა. ამიტომაც ხელმწიფემ ხალხს გამოუცხადა, რომ ესაჭიროებოდა ძიძა. როცა ეს ამბავი პატარა მუსას დედამ გაიგო, მაშინვე სასახლეში გაიქცა და მუსას ძუძუ მოაწოვა.

უზენაესმა ალლაჰმა მჩაგვრელი ხელმწიფის მიერ მართულ ქალაქში წმინდა მუსა შუამავლად მოავლინა. შუამავალ მუსას დაეკისრა ვალდებულებად, რომ ხალხისთვის სიმართლე ექადაგა. მას დიადმა გამჩენმა ერთი ჯოხი მისცა. შუამავალი მუსა ხალხს ეუბნებოდა, თვითონ ისეთ ხალხს მოევლინა დასახმარებლად, რომელსაც ხელმწიფე ბოროტად ექცეოდა. ხალხი ამ ამბავმა ძალიან გაახარა და მადლობა გადაუხადეს უზენაეს გამჩენს. როდესაც მჩაგვრელმა ხელმწიფემ წმინდა მუსას ქალაქში შემოსვლის შესახებ გაიგო, მაშინვე ჯარი შეკრიბა და მის შესაპყრობად გაეშურა. შუამავალმა მუსამ, რომელმაც გაიგო, რომ ხელმწიფეს მისი შეპყრობა გადაეწყვიტა, თავის თანამიმდევრებთან ერთად ქალაქი დატოვა. როდესაც ქალაქის უკიდეგანო ზღვას მიადგნენ, ნახეს, რომ ხელმწიფე ჯარით უკან მოსდევდა. შუამავალმა მუსამ და თანამიმდევრებმა გადარჩენისთვის დიად გამჩენს შეევედრნენ. ისმინა უზენაესმა ალლაჰმა მათი ვედრება და დახმარება უმალ მიუვლინა. შუამავალმა მუსამ თავისი ჯოხი ძირს დასცა და ყველამ დაინახა, რომ ზღვა ორად გაიყო და გზა გამოჩნდა. ამ გზით კი შუამავალი მუსა და თანამიმდევრები ზღვის მეორე მხარეს მშვიდობიანად გადავიდნენ, რის შემდეგაც ყველამ ერთად დიად გამჩენს კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა.

ხელოვნების აქტივობა

ხელჯოხს შემოვახვიოთ ნარჩენი ქსოვილები და დავიწყოთ მოყოლა იმისა, თუ როგორ შეძლო შუამავალმა მუსამ ზღვაში გზის გახსნა და როგორ გადაარჩინა მორწმუნეები.

10. შუამავალი დავუდი

წმინდა დავუდი იერუსალიმში მოევლინა ქვეყანას. თავად იყო შუამავალი და ამავე დროს ქვეყნის მმართველი. ის პატარაობიდან მოყოლებული შრომობდა. ცხვრებს უვლიდა. საკმაოდ გონიერი ვაჟი

ჰყავდა, რომელსაც სახელად სულეიმანი ერქვა. შუამავალი დაუდის შემდეგ მმართველის ტახტი თავად სულეიმანმა ჩაიბარა.

შუამავალ დავუდს შრომა ძალიან უყვარდა. იმისათვის, რომ არავისზე ყოფილიყო დამოკიდებული, საკუთარ შემოსავალს თავისი შრომით უზრუნველყოფდა. უზენაესმა ალლაჰმა შუამავალ დაუდს რკინის დამუშავება ასწავლა. მან ამ ხელობის გამოყენებით გარე საფრთხეებისგან თავის დასაცავად ჯაჭვის პერანგი შეიკერა.

შუამავალ დავუდს ომახიანი და ტკბილი ხმა ჰქონდა. ხალხს ძალიან მოსწონდა მის მიერ წარმოთქმული ღვთის სადიდებელი ხოტბების მოსმენა. მის ტკბილმოუბარ ხმას შინაური ცხოველები და, უფრო მეტიც, მტაცებელი ცხოველებიც კი დინჯად უსმენდნენ.

ხელოვნების აქტივობა

გამოსაყენებელი მასალა: მუყაო, მაკრატელი, წებო.

ბავშვებთან ერთად ჯაჭვის პერანგის გასაკეთებლად, თავდაპირველად, მუყაოზე დავხატოთ. შემდეგ ბავშვები გამოჭრიან და მას მეტალის შეფერილობის მქონე ქაღალდს გადავაკრავთ. ამ დროს კი საკუთარი შრომით ფულის მოგებისა და ჰალალი ლუკმის მნიშვნელობაზე უნდა ველაპარაკოთ.

11. შუამავალი სულეიმანი

წმინდა სულეიმანი შუამავალი დავუდის შვილია. ის ძალიან მდიდარი იყო და მდიდარი ხაზინა გააჩნდა. მას თვალისმომჭრელი სილამაზის სასახლე ჰქონდა, რომლის ქვეშ მდინარეები მიედინებოდა. ის დიდი და ძლიერი სარდალი იყო, რომელსაც მრავალრიცხოვანი და დაუმარცხებელი ჯარი ჰყავდა. ის ხალხს ძალიან კარგად ექცეოდა, იგი ჩიტებს, ჭიანჭველებს, ცხენებსა და მცენარეებსაც კი ესაუბრებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს შუამავალი სულეიმანი თავის ჯართან ერთად მექას გზას დაადგა. მოგზაურობის დროს დაინახა, რომ ჭიანჭველები გზაზე მთელი სისწრაფით მიიწევდნენ და მათთვის გასაგებ ენაზე ერთმანეთს გასძახოდნენ: „დროზე გაიქეცით! შუამავალი სულეიმანის ჯარი მოდის, ფეხქვეშ გაგთელავენ, თავს უშველეთ“.





ეს ხმა შუამავალმა სულეიმანმა რომ გაიგო, მაშინვე ჯარი შეაჩერა. როცა ყველა ჭიანჭველა თავის სახლში დაბრუნდა, შემდეგ განაგრძო გზა.

შუამავალი სულეიმანი ზედმიწევნით მოაზროვნე პიროვნება იყო. იმისათვის, რომ ჭიანჭველებისთვის ზიანი არ მიეყენებია, მრავალრიცხოვანი ჯარი შეაჩერა. მის ხალხმრავალ ჯარში ჩიტებიც იღებდნენ მონაწილეობას. მათ გარკვეული მოვალეობები ეკისრათ. მაგალითად; გუგულის მოვალეობა იყო ზეცაში ეფრინა და ზემოდან დაჰკვირვებოდა, თუ სად იყო წყალი და ჯარისთვის გზა გაეკვლია იმ მიმართულებით.

ერთხელაც გუგული დაიკარგა. ის ვერავინ დაინახა. გარკვეული დროის შემდეგ როცა დაბრუნდა, აღფრთოვანებული შუამავალ სულეიმანს ესაუბრა.

„მაშინ, როცა თქვენთვის წყლის საპოვნელად წავედი, დავინახე ქალაქი, რომელიც მწვანე ბაღებს შორის ყვავილებით მორთული იყო და უმშვენიერესად გამოიყურებოდა. ის ქალაქი სებე იყო. მე იმ ქალაქის ხალხიც გავიცანი. მაგრამ გავიგე, რომ იმ ხალხმა ჩვენი რელიგიის შესახებ არაფერი იციან.”

შუამავალი სულეიმანი ჯართან ერთად გუგულის მითითებულ სებეს ქალაქში მივიდა. მათ სებელ ხალხს მხოლოდ აუხსნეს, თუ როგორ შეიძლება ადამიანი იყოს კეთილი და უკან გამობრუნდნენ. ამის შემდეგ სებეს დედოფალმა, ბელქისმა და ხალხმა გადაწყვიტეს, გამხდარიყვნენ კეთილი ადამიანები, აირჩიეს რამდენიმე პიროვნება და უამრავი საჩუქრებით შუამავალი სულეიმანის სასასხლეში მივიდნენ. სტუმრებმა შუამავალ სულეიმანს უთხრეს: „ჩვენ მოგვეწონა თქვენი სარწმუნოება, ჩვენ გვინდა, რომ გავხდეთ თქვენნაირი კეთილი და მორჩილი მორწმუნეები. ყველას ძალიან გაუხარდა. რამდენიმე ხნის შემდეგ შუამავალმა სულეიმანმა სებეს დედოფალზე-ბელქისზე იქორწინა.

შუამავალ სულეიმანს ცხოველები ძალიან უყვარდა. მას უამრავი, ერთი მეორეზე ლამაზი ცხენები ჰყავდა, რომლებსაც სულ ეფერებოდა, უვლიდა და ყურადღებას აქცევდა. როგორც აღვნიშნეთ, ის ძალიან მდიდარი იყო, სიძუნწე არ უყვარდა, თავის ხაზინას ყოველთვის სიკეთისთვის ხარჯავდა. იმისათვის, რომ ხალხს ღვთისმსახურება და ვედრება აღევლინა, იერუსალიმში უზარმაზარი სამლოცველო ააგო, რომელსაც დღეს მესჯიდი აყსა ეწოდება.

ხელოვნების აქტივობა

გამოსაყენებელი მასალა: ცხოველების ნახატები, მაკრატელი, წებო და პატარა ჯოხი.

ბავშვებს სხვადასხვა ცხოველების ნახატები მივსცეთ. ისინი მათ სასურველ ფერებში გააფერადონ და გამოჭრან. გაფერადებული და გამოჭრილი ცხოველების ნახატები პატარა ჯოხზე მიამაგრონ და როგორც ზოოპარკში, ისე დაალაგონ. შეიძლება დავდგათ სცენა, რომელიც ასახავს შუამავალ სულეიმანის ცხოველებთან საუბარს.

12. შუამავალი ეიუბი

შუამავალი ეიუბი ყველას ძალიან უყვარდა. ის ადამიანებს უზენაესი ალლაჰის შესახებ უყვებოდა და ასწავლიდა, თუ როგორ იქნებოდა შესაძლებელი, რომ ისინი გამხდარიყვნენ დიადი გამჩენის საყვარელი პიროვნებები.

შუამავალი ეიუბიც მდიდარი იყო. უამრავი სახნავ-სათესი მიწა და ცხვრის ფარა ჰყავდა. მეუღლე რაჰიმესა და შვილებთან ერთად დიდ სახლში ცხოვრობდა. რაჰიმე საუკეთესო ზნეობის კეთილი და გულისხმიერი ქალბატონი გახლდათ. შუამავალი ეიუბი ღვთის მიერ ბოძებული სიმდიდრისა და ლამაზი ოჯახის გამო უზომოდ მადლიერი იყო. ფულის დიდ ნაწილს ღარიბებს გასცემდა. შუამავალი ეიუბი მისთვის დამახასიათებელი გულისხმიერებითა და მპატიებლობით ადამიანებს სიმშვიდეს ანიჭებდა. ის კართან მოსულ მოთხოვნელს არასოდეს ხელცარიელს არ გაუშვებდა. იგი მუდამ გაჭირვებულებისა და დარდიანების მხარდამჭერი და დამხმარე იყო.

ერთ დღესაც შუამავალ ეიუბს შინაური ცხოველები უცებ დაუწყდა. ნათესები წყალმა დატბორა, სახლი დაენგრა. როცა ეს ყველაფერი გაიგო, სრულებითაც არ სწყენია. წყნარი ხმით შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „ყველაფერი: სახლი, ცხოველები და ნათესები ალლაჰმა მიბოძა. უფრო უკეთესს მომცემს კიდევ.” ცოტა ხნის შემდეგ მას შვილებიც დაეღუპა. შუამავალ ეიუბს გული ეტკინა. შვილების სიკვდილმა ის ძალიან დაამწუხრა, მაგრამ ისევ დიად გამჩენს მიენდო და თქვა: “ჩემო ალლაჰო! ყველაფრის გამჩენი შენ ხარ! მე შვილები შენ მაჩუქე, ახლა კი ისევ შენ-



თან წაიყვანე. მომეცი ძალა, რომ დიდი მოთმინებით მოვითმინო!” როდესაც ხალხმა შუამავალი ეიუბის ესოდენ დიდი მოთმინება დაინახა, დიადი გამჩენი უფრო მეტად შეუყვარდათ.

მას შემდეგ ბევრმა წელმა განვლო. შუამავალი ეიუბი სენმა შეიპყრო. ტკივილებმა შეაწუხა. თანდათან უფრო დაღარიბდა. მაგრმა ის ლოცვას არ წყევტდა, მარხვას იცავდა. ადამიანებს სიკეთისკენ მოუწოდებდა. “მე რატომ გავღარიბდი, შვილები რატომ მომიკვდნენ?” ასე ერთხელაც კი არ უჩივლია. მხოლოდ დიადი ალლაჰისგან დახმარება ითხოვა და მოითმინა.

შუამავალი ეიუბი როცა იმდენად დაავადდა, რომ შუამავლური მისიის შესრულება ვეღარ შეძლო, უზენაეს ალლაჰს შეევედრა:

„დიადო გამჩენო! ვშიშობ, ჩემმა ავადმყოფობამ ღვთიმსახურებაში ხელი შემიშალოს. ადამიანებს შენს რწმენას ვერ ვუხსნი. შენ უსაზღვროდ მოწყალე ხარ, შენ ყოვლისმცოდნე ხარ“. უზენაესმა ალლაჰმა ისმინა შუამავალი ეიუბის ვედრება. მას სამკურნალო წყალი მოუტანეს. წყალი დალია და შემდეგ მთელი ტანი განიბანა. წყალმა ჭრილობები მოუშუშა. შუამავალმა ეიუბმა ამისთვის უზენაეს გამჩენს უამრავი მადლობა გადაუხდა.

აქტივობა

ბავშვებთან ერთად ავადმყოფის სანახავად შეიძლება წასვლა. სანამ სანახავად წახვიდოდეთ, უმჯობესია, ცოტა გასაუბრება და მსგავსი კითხვების დასმა: „როცა ავად ხართ, რას გრძნობთ? როცა ავად ხართ, ყველაზე მეტად რა გახარებთ? გამოჯანმრთელების შემდეგ რას გრძნობთ?” და ასე შემდეგ. ამასთან შესაძლებელია, შუამავალი ეიუბი გავიხსენოთ.

13. შუამავალი იუნუსი



ნინოვა დიდი და საოცრად ლამაზი ქალაქია. ნინოვაში მცხოვრებ ხალხს დიდი სახლები და ბაღ-ვენახები ჰქონდათ. თუმცა უზენაესი ალლაჰისგან ბოძებული წყალობის გამო მადლიერება ავიწყდებოდათ და კეთილი და სასარგებლო საქმეების კეთება არ უყვარდათ. ერთმანეთს ბოროტად ექცეოდნენ. ამ ხალხისგან განსხვავებული იყო ადამიანი, რომელსაც სახე-

ლად იუნუსი ერქვა. დიადმა გამჩენმა იუნუსი ნინოვას ხალხის შუამავლად აირჩია, რომელსაც მათთვის ჭეშმარიტება უნდა ექადაგა. ხალხს, რომელიც მხოლოდ ბოროტებას სჩადიოდა და უხვი წყალობების მიუხედავად ალლაჰს მადლობას არ უხდიდა, შუამავალმა იუნუსმა ჭეშმარიტი რწმენა და ღვთისმადლიერება უქადაგა. ხალხი შუამავალ იუნუსს განურისხდნენ და უთხრეს: *„შენ ჩვენს საქმეში ნუ ჩაერევი, ჩვენ ცუდს არაფერს ვაკეთებთ“. მათ შუამავალმა ასე უპასუხა:* ***“მე თქვენთვის მხოლოდ სიკეთე მინდა, ვინაიდან დიადმა ალლაჰმა მიბრძანა თქვენ სიკეთისკენ მოგიწოდოთ.”*** ამ სიტყვებზე ნინოვას ხალხი უფრო გაბრაზდა, შუამავალ იუნუსს უშვერი სიტყვები უთხრეს და წავიდნენ. მათ შორის ორმა პიროვნებამ მისი ქადაქება ყურად მიიღო და უთხრა: „შუამავალო იუნუს! ჩვენ შენი სიტყვების გვჯერა. გულით ვინანიებთ შენთვის მიყენებულ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ჩვენ დღეის შემდეგ უზენაესი ალლაჰის მადლიერები ვიქნებით“. ამ სიტყვებმა შუამავალი იუნუსი ძალიან გაახარა და დიად გამჩენს მადლობა გადაუხადა. მის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ მას იმ ორი პიროვნების გარდა ისევ არავინ უსმენდა. ბოლოს ვეღარ გაუძლო და ქალაქი ნინოვა იმ ორი თანამიმდევრის ერთად დატოვა.

შუამავალი იუნუსი ერთხელაც გემზე ავიდა. გემმა ღუზა ასწია და გეზი აიღო. ამ დროს ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა, რის გამოც ზღვის ტალღები უფრო და უფრო გაძლიერდა. ბოლოს გემმა ვეღარ გაუძლო და დაიშალა. ყველამ რაღაცა ჩასაჭიდი ნახა და ცდილობდა დახრჩობას გადარჩენოდა. შუამავალი იუნუსის დასაცავად დიდი თევზი მოვიდა, პირი დააღო და ნაზად აიყვანა. შუამავალი იუნუსი თან უზენაეს ალლაჰზე ფიქრობდა და თან ევედრებოდა. თევზმა ის ზღვაზე უვნებლად ატარა და ბოლოს ნაპირზე გამოვიდა, პირი დააღო და შუამავალი იუნუსი ფრთხილად ნაპირზე დატოვა. შუამავალი იუნუსი მაშინვე ნინოვაში უკან დაბრუნდა. ხალხს თან ძალიან გაუკვირდათ და თან გაუხარდათ. იმისათვის, რომ შუამავალი მათთან ისევ დაბრუნდა, უზენაეს ალლაჰს მადლობა შესწირეს.

ხელოვნების აქტივობა

გამოყენებული მასალა: დელფინის ნახატი, ფერადი ფანქრები.

ფერადი ფანქრების გამოყენებით დელფინის ნახატი შესაბამის ფერებში გავაფერადოთ. ბავშვებს ველაპარაკოთ დელფინების შესახებ. ასევე ავუხსნათ, რომ ალლაჰის ძლევამოსილება იმდენად უკიდეგანოა, რომ შეუძლია დელფინის მეშვეობით ადამიანს დაეხმაროს.

14. შუამავალი ისა

ძვირფასი მერიემი ძალიან კეთილი იყო. ყველასთან საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდა და გაჭირვებულებს ეხმარებოდა, მაგრამ მის გარშემო მყოფი ადამიანები ძვირფას მერიემს ძალიან ცუდად ექცეოდნენ. ბოლოს მერიემმა რამდენიმე ხნით სოფლისგან შორს იცხოვრა და იქ მას შვილი შეეძინა. ეს ბავშვი ვაჟი იყო და ამავე დროს ალლაჰის შუამავალი.

ძვირფასმა მერიემმა ბავშვი აიყვანა და იმ სოფელში დაბრუნდა, რომელშიც ადრე ცხოვრობდა, თუმცა სოფლის მკვიდრებმა ცილი დასწამეს და უთხრეს: „ეს ბავშვი შენი არ არის“. მერიემმა ძალიან მოიწყინა. ამ დროს ახალშობილისგან ხმა მოისმა. „დედაჩემი მართალს ამბობს, მე მისი შვილი ვარ. როცა გავიზრდები, დიადი ალლაჰი მე შუამავლად ამირჩევს“.

ახალშობილმა ისინი გააფრთხილა, რომ გაეკეთებინეს ის, რასაც უზენაესი ალლაჰი მათ უბრძანებდა. ახალშობილის საუბარმა ყველა ძალიან გააოცა. მათ შორის ზოგიერთმა წმინდა მერიემის სიტყვები დაიჯერა, თუმცა ზოგი მის წინააღმდეგ ისევ ბოროტებას სჩადიოდა. ამიტომაც, წმინდა მერიემმა ახალშობილი აიყვანა და ეგვიპტეში წავიდა. როცა წმინდა ისა გაიზარდა, დედასთან ერთად ისევ ქალაქ ყუდუსში დაბრუნდა. შუამავალი ისა ადამიანებს ბოროტების აღკვეთისა და სიკეთის კეთებისკენ მოუწოდებდა. მათ აუხსნა, რომ სასურველი რამ არათუ ქურდობით, არამედ შრომითა და ალლაჰისგან თხოვნით მიეღოთ.

უზენაესმა ალლაჰმა შუამავალი ისა მრავალი ნიჭით დააჯილდოვა. მან ექიმის პროფესია იტვირთა: სნეულებს კურნავდა, უფრო მეტიც, ის ისეთ სნეულებსაც კი კურნავდა, რომლებსაც ვერცერთი ექიმი ვერ მოარჩენდა. ის შეევედრებოდა რა უზენაეს ალლაჰს, ბრმას მხედველობა უბრუნდებოდა. ვინმეს მიერ დაკარგულ ნივთს ის თავისუფლად პოულობდა. ამ სასწაულების მხილველები ამბობდნენ: “კარგი, შენი ვიწამეთ, დღეიდან ბოროტებას აღარ ჩავიდენთ.” თუმცა მალევე ივიწყებდნენ თავიანთ სიტყვებს და ისევ ჩვეულად აგრძელებდნენ ბოროტებას.

წმინდა ისამ რამდენიმე სამართლიანი ადამიანი შეკრიბა და ჰკითხა: „მზად ხართ, დამეხმაროთ, რათა ყველამ დაინახოს და გაითავისოს ჭეშმარიტება?" რა თქმა უნდა, მათ ამ კითხვას დადებითად უპასუხეს. წმინდა ისას თანამიმდევრებს „მოწაფეები" ეწოდა. ერთ დღეს, როცა მოწაფეებს ძალიან მოშივდათ, წმინდა ისას ჰკითხეს: "დიად გამჩენს შესწევს იმის ძალა, რომ კერძებით სავსე სუფრა გამოგვიგზავნოს?" წმინდა ისამ ხელები ზეცას აღაპყრო და შეევედრა. უცებ რას ხედავს, დიადმა გამჩენმა მათ სხვადასხვა საჭმელებით სავსე სუფრა გამოუგზავნა. მოწაფეებმა და ყველა ღარიბმა ადამიანმა იმ სუფრიდან მიირთვეს და დანაყრდნენ. ურწმუნოები ისევ აგრძელებდნენ ბოროტებას. მაგრამ უზენაესმა ალლაჰმა მათ არ მისცა იმის ნება, რომ შუამავალი ისასთვის ბოროტება ექმნეს და იგი მათი ხელისგან იხსნა.

ხელოვნების აქტივობა

გამოსაყნებელი მასალა: წრე, ოთხკუთხედის ფორმაში გამოჭრილი მუყაო. წებო და მაკრატელი.

მასწავლებელი ორ წრესა და ერთ მართკუთხედის ფორმის მუყაოს ბავშვებს მისცემს. ისინი ამას სათანადოდ გამოჭრიან, შემდეგ გააერთიანებენ და აკვანს გააკეთებენ.

3. წიგნების რწმენა


ა. როგორ გავაცნოთ ბავშვებს წმინდა ყურანი?

წმინდა ყურანის გაცნობისას რომელი მაგალითი უნდა წარმოვადგინოთ?



დედამიწა - სკოლა, შუამავლები - მასწავლებლები, ადამიანები კი მოსწავლეები არიან. აღნიშნული სკოლის ერთ-ერთი წიგნი წმინდა ყურანია. ვინც მასწავლებლის დახმარებით წმინდა ყურანის კითხვას ისწავლის, სკოლას წარმატებით დაამთავრებს და ბედნიერიც იქნება.

წმინდა ყურანის ფურცლებს შორის ყვავილები მოვათავსოთ. მთავარანგელოზმა ჯებრაილმა უზენაესი ალლაჰის სიტყვები უკეთილშობილეს შუამავალ მუჰამმედს აუწყა, ხოლო მან ადამიანებს შე-



გვასწავლა. ყურანის მეშვეობით ვსწავლობთ, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს უზენაესი ალლაჰი, როგორ უნდა ვიქცეთ უკეთილშობილესი შუამავლის მსგავსი საუკეთესო ზნეობის მქონე პიროვნებად? როგორ უნდა მოვექცეთ ადამიანებს და ცხოველებს? მოკლედ, ყურანი გვასწავლის, თუ როგორ უნდა აღვიზარდოთ ღირსეულ და ზნეობრივ პიროვნებად.

ბ. როგორ უნდა ავუხსნათ ყურანის სიყვარული და კულტურა

- ბავშვებს უნდა ვასწავლოთ, რომ წმინდა ყურანი წელს ზემოთ უნდა დავიჭიროთ და ისე უნდა ვატაროთ.
- თუნდაც პატარა ბავშვი იყოს, უნდა შევაჩვიოთ და წავახალისოთ, რომ ყურანი აბდესის (რიტუალური განბანვის) გარეშე არ წაიკითხოს, ადამიანი საუკეთესო ზრდილობას ბავშვობის ასაკში იძენს.
- ასევე, უნდა ვესაუბროთ და წავახალისოთ ყურანის ხშირად კითხვის აუცილებლობაზე.

გ. წმინდა ყურანის სწავლების დროს საყურადღებო საკითხები


- არ შეიძლება სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან ყურანის სწავლებისას ყველასთან ერთი მეთოდი გამოვიყენოთ. მასწავლებელმა მოსწავლის ათვისების უნარში კარგად უნდა გაერკვეს.
- სკოლამდელი ასაკის ბავშვების ნიჭიერად, ან უნიჭოდ შეფასება არასწორი იქნება, ვინაიდან მოზარდი ბავშვის გონება და ნიჭი სისტემატურად ვითარდება. მეცადინეობის პერიოდში მასწავლებელი მოსწავლეებს თანდათან უკეთ იცნობს და ასე უფრო წინ მიიწევს სწავლების პერიოდის წარმატება.
- იმისათვის, რომ მოსწავლემ ყურანის სწავლა შეიყვაროს, პირველ რიგში, მთავარია, მასწავლებელმა შეაყვაროს საკუთარი თავი.
- როდესაც ბავშვები ასეთი ღირებული ცოდნის შესაძენად საკლასო ოთახში შედიან, მასწავლებელი ფეხზე მდგარი და სახემღიმარი უნდა დახვდეს. თითოეული ბავშვი ანგელოზია. მასწავლე-

ბელი მოსწავლეებს უზენაესი ალლაჰის მიერ ბოძებულ წყალობად უნდა თვლიდეს.

აღმზრდელმა პედაგოგმა თავისი პროფესია საუკეთესოდ უნდა იცოდეს. საქმეს კარგად უნდა აკეთებდეს და შრომისმოყვარე უნდა იყოს.

მოსწავლის მიერ ყურანის სწავლის პროცესს დღიური რეჟიმით უნდა ადევნებდეს თავლყურს. ასევე უნდა აკონტროლებდეს მოსწავლის აღმასვლას, ან ვარდნას და შესაბამისად, მშობელს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას მდგომარეობის შესახებ.

ყურანის შესწავლის დღიურის ნიმუში



1. ბავშვებისთვის ყურანის ანბანის სწავლებისას იოლი, სახალისო და საინტერესო მეთოდები უნდა ავირჩიოთ.



ბავშვებზე ყურანის ანბანის სწავლებისას „ანბანის ზღაპრებით“ უნდა ვიხელმძღვანელოთ. ამის შემდეგ მოსწავლეები გასაფერადებელი ფურცლებისა და ენის გასატეხის დახმარებით თითოეული ასობგერის წარმოთქმას გაააუმჯობესებენ. გარდა ამისა, ბავშვებს უნდა ვთხოვოთ, ირგვლივ არსებული ყველა ის საგანი ჩამოთვალონ, რომელიც „ელიფს“ ჰგავს. ბავშვები კონკრეტულ საგნებზე მიმსგავსებით უფრო ადვილად აითვისებენ.

ასევე შეიძლება მაგიდაზე პატარა ყუთი დავდოთ და შიგ რამდენიმე ასობგერა მოვათავსოთ. ბავშვებს ვთხოვოთ, თითო ასობგერა ამოიღონ. შემდეგ მათ მიერ ამორჩეული ასობგერა „ქვემახვილის, ზემახვილისა და ფეთჰას“ ვარიანტში წავაკითხოთ. ასეთი მეთოდით ისინი დიდი ხალისით ისწავლიან.

ხის მასალისგან მართკუთხედის ფორმის დაფა მოვამზადოთ. ზემოდან სილა დავყაროთ და ბავშვებს ვთხოვოთ სილაზე ყურანის ბგერები დახატონ. ასე თან დავალებას შეასრულებენ და თან გაერთობიან.

ბ. „ბისმილლაჰ“-ის ხალისით სწავლება

თამაში:

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად გაითამაშებს

კლასი - დედამიწა, ერთი მოსწავლე - მზე, ხოლო მეორე – მთვარე, დანარჩენები კი ვარსკვლავები იქნებიან. როცა მასწავლებელი დაიძახებს „ღამე“, მთვარე და ვარსკვლავები ფეხზე ადგებიან, ხოლო მზე დაჯდება. მაგრამ, როცა მასწავლებელი დაიძახებს „დღე“, მზე ფეხზე დადგება, ხოლო მთვარე და ვასკვლავები დასხდებიან. შემდეგ მასწავლებელი იტყვის: ბავშვებო, ამ თამაშს მე ვუხელმძღვანელე, მაგრამ სამყაროში არსებულ ყველაფერს ერთად-ერთი გამჩენი ჰყავს. არასოდეს იცვლება დედამიწის მოქმედება, მზის ამოსვლა და ჩასვლა, მთვარისა და ვარკვლავების გამოჩენა და გაუჩინარება. საღამოს - მთვარე და ვარსკვლავები, ხოლო დღისით მზე ამოდის. სამყაროში არსებულ ყველა არსებას დიადი გამჩენი უყვარს და ემორჩილება. ყველა არსება თავისი მოვალეობის შესრულების წინ ალლაჰის სახელს ახსენებს. ჩვენც, როგორც უზენაესი ალლაჰის მიერ გაჩენილი ადამიანები, ნებისმიერი საქმის დაწყების წინ „ბისმილლაჰ“ უნდა წარმოვთქვათ.

მოთხრობა „ბისმილლაჰ“-ზე

აჰმედი ბისმილლაჰ-ს სწავლობს

ის დღე აჰმედისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დილაადრიან გაიღვიძა, ვინაიდან სკოლაში პირველად უნდა წასულიყო და თან

ძალიან ღელავდა. მაგრამ იქ დედის გარეშე დარჩენის შიში აწუხებდა. დედამ როცა დაინახა, რომ აჰმედის უკვე ეღვიძა, ძალიან გაუხარდა. მას ხუჭუჭ თმაზე მოეფერა და აკოცა. ამის შემდეგ „ბისმილლაჰ“ წარმოთქვა და აჰმედისთვის რძის მომზადებას შეუდგა. აჰმედმა რძე დალია, ამ დროს კი დედა ტანსაცმლის მომზადებით დაკავდა და მაშინაც „ბისმილლაჰ“ წარმოთქვა. ეს სიტყვები აჰმედს, თითქოს, პირველად ესმოდა. აჰმედმა ტანსაცმელი ჩაიცვა, ჩანთა აიღო და გარეთ გამოვიდა. დედამ ამ დროსაც „ბისმილლაჰ“ წარმოთქვა. აჰმედს დააინტერესა და დედას ჰკითხა:

- დედა, ასე ხშირად რა სიტყვას იმეორებ?

- რომელ სიტყვაზე მეკითხები?

- როცა რძეს მიმზადებდი, ტანსაცმელს მიუთოვებდი, ფეხსაცმელს იცმევდი, რაღაც სიტყვებს იმეორებდი.

- გასაგებია, შენ „ბისმილლაჰს“ მეკითხები, ხომ ასეა?

- დიახ, დედა, „ბისმილლაჰირ რაჰმანირ რაჰიმ“ წარმოთქვი.

- ჩემო საყვარელო შვილო! ეს სიტყვები ამ ქვეყნად ყველა სიკეთისკენ მიმავალი კარების გასაღებია.

- ეს როგორ დედა?

- „ბისმილლაჰ“ ყველა საქმის წინ უნდა წარმოთქვა და საქმეები გაგიადვილდება.

- ფეხსაცმლის თასმებს ადვილად შევიკრავ?

- დიახ, ადვილად შეიკრავ.



ამის შემდეგ აჰმედი ფეხსაცმლის თასმებს თავად იკრავდა.

- დედა, შემიძლია შიშიც დავამარცხო?

- რა თქმა უნდა, შვილო, შეგიძლია დაამარცხო. როცა „ბისმილლაჰირ რაჰმანირ რაჰიმს“ წარმოთქვამ, ყველა შიში გაგიქარწყლდება.



აჰმედს სკოლაში წასვლის წინ ნასწავლმა ახალმა სიტყვამ სიძლიერე შეჰმატა. თავისთვის ჩუმად **„ბისმილლაჰირ რაჰმანირ რაჰიმ“** წარმოთქვა და შიშიც დაამარცხა. იმ დღიდან აჰმედმა გადაწყვიტა, ყველა საქმის დაწყების წინ „ბისმილლაჰირ რაჰმანირ რაჰიმ” წარმოეთქვა.

გ. როგორ წავახალისოთ ბავშვებს ყურანის სურების დაზეპირება?

იმისათვის, რომ ბავშვებს ყურანის მოკლე სურების დაზეპირება შეეხალისოთ და გაუადვილდეთ, უნდა მივმართოთ წამახალისებელ მეთოდებს, რომლებიც გონებაში დარჩებათ და არ დაავიწყდებათ. მაგალითად; სიურპრიზები და საჩუქრები მოვუმზადოთ.

სანამ რომელიმე სურას დაზეპირებას დაიწყებდნენ, მოვუყვეთ ისტორია აღნიშნული სურას შესახებ. მაგალითად: სურა „ფიილის“ დაზეპირების წინ „სპილოს წელის“, ხოლო სურა “ქევსერის” დროს კი ქევსერის აუზების შესახებ მოვუყვეთ.

რამდენიმე სურას დაზეპირების შემდეგ თითოეული სურა რამდენჯერმე განმეორებით უნდა მოვისმინოთ, ვინაიდან შესაძლებელია, შეცდომები ჰქონდეთ, ან კიდევ ბგერები გამოაკლონ კითხვის დროს.

ზოგიერთ ბავშვს შესაძლებელია, ზეპირი მეხსიერება სუსტი ჰქონდეს. ამიტომ ყველასგან ერთნაირ წარმატებას არ უნდა ველოდეთ.

ბავშვის ზეპირმეხსიერება და მისი გაუმჯობესება მხოლოდ აღმზრდელ პედაგოგზე არ არის დამოკიდებული. ამისათვის საჭიროა, ოჯახში მშობლებმაც ყურადღება გამოიჩინონ.

როდესაც ბავშვები სემესტრის ბოლოს დასახულ მიზანს მიაღწევენ და მიცემულ დავალებებს შეასრულებენ, მომავალში წახალისების მიზნით უმჯობესი იქნება, მათ გარკვეული ჯილდო დავუწესოთ.

დ. ამბავი, წმინდა ყურანის შესახებ

სანამ ამბავის მოყოლას დავიწყებდეთ,ასე მივმართოთ:

ბავშვებო! უზენაესმა ალლაჰმა ოთხ დიდ შუამავალს წმინდა წიგნები გადასცა. მათ შორის ერთ-ერთი უკეთილშობილეს მუჰამმედ შუამავალს მიეცა. მაშ, რა ჰქვია იმ წმინდა წიგნს, რომელიც ჩვენს შუამავალს გადაეცა? (ბავშვებისგან პასუხების მოსმენის შემდეგ) ყოჩაღ ბავშვებო, პასუხი სწორია, მას ყურანი ჰქვია! თქვენ საყვარელი პიროვნებისგან წერილი მიგიღიათ? სწორედაც, წმინდა ყურანი უზენაესი ალლაჰის მიერ ადამიანებისთვის ზემოვლენილი წერილია. ის დედამიწაზე მოვლენილთა შორის ყველაზე უფრო განსაკუთრებულია. ახლა კი მოგიყვებით ამბავს, რომელიც წმინდა ყურანს უკავშირდება.

მოთხრობა: წმინდა ყურანი, როგორც ფასეულობა

იყო და არა იყო რა, ძველ დროში ერთ ქვეყანაში ხელმწიფე ცხოვრობდა. სახელმწიფოს სამართლიანად მართავდა, უსამართლოდ არავის ექცეოდა. ერთხელაც ხელმწიფემ ცოტა ხნით სხვა ქვეყანაში წავიდა. იქიდან ვეზირებს წერილებს უგზავნიდა და მითითებებს აძლევდა. ასე რამდენიმე ხანს გაგრძელებულა. ბოლოს თავის ქვეყანაში სასახლის გაკეთება გადაწყვიტა. წერილში დაწვრილებით ასახა, თუ როგორი მორთულობის, რა სიდიდის სასახლე სურდა და დიდ ვეზირს გაუგზავნა. მაცნემ წერილი დიდი ვეზირის მოადგილეს მიუტანა. ვეზირის მოადგილეს ხელმწიფე ძალიან უყვარდა, ამიტომაც მის წერილს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. როცა წერილი მიიღო და





ნახა, რომ ის „ხელმწიფისგან“ იყო, აკოცა, შუბლზე მიიდო და ზანდუკის ყველაზე საუკეთესოდ დაფარულ ადგილას შეინახა. მაგრამ საოცარია, რომ მას წერილი არც კი წაუკითხავს.

ხელმწიფე კი სხვა ქვეყანაში იყო და ელოდებოდა, როდის დასრულდებოდა მისთვის განსაკუთრებული მითითებებით დავალებული სასახლე. გავიდა დრო და ხელმწიფემ გადაწყვიტა, მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნება. მაგრამ რას ხედავს, ქალაქში არც სასახლეა არსად და არც მშენებლობა მოსჩანს სადმე. განაწყენებულმა ხელმწიფემ თქვა: “მე თქვენ წერილი გამოგიგზავნეთ იმისათვის, რომ წაგეკითხათ და შესაბამისად მოქცეულიყავით, თქვენ კი ის არც კი წაიკითხეთ და საგულდაგულოდ ისე შეინახეთ. თქვენ რომ მე ნამდვილად გყვარებოდით, ჩემდამი პატივისცემა რომ გქონოდათ, წერილის მოსვლისთანავე სულმოუთქმელად წაიკითხავდით და მითითებებს დაუყოვნებლივ შეასრულებდით“.

მოთხრობის შემდეგ

მოთხრობის დასრულების შემდეგ ბავშვებს შემდეგი კითხვები უნდა დავუსვათ:

- რას იფიქრებდით, თქვენ რომ ყოფილიყავით ხელმწიფის ადგილას?
- კეთილი განზრახვის მქონე ვეზირმა სად დაუშვა შეცდომა?
- რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ უზენაესი ალლაჰისგან ჩვენზე წერილის სახით გამოგზავნილი წმინდა ყურანის მიმართ შეცდომა არ დავუშვათ?
- მოგვცემს რამე სარგებელს წაუკითხავი ტექსტი?

4. განკითხვის დღის რწმენა

განკითხვის დღის რწმენა ისლამის რწმენის ერთ-ერთი ბურჯია. აღსანიშნავია, რომ ამ მეტაფიზიკურ სამყაროსთან დაკავშირებული აბსტრაქტული კანონების ბავშვებისთვის ახსნა თან ძნელია და ამავე დროს დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

ბავშვებს გარდაცვალების შემდეგი ცხოვრება, ანუ საიქიო, ამა-სოფლიდან საიქიოში გადასახლება, ერთი სამყაროს მეორე სამყაროთი შეცვლა უნდა ავუხსნათ ისე, როგორც ერთი ოთახიდან მეორეში გადაბარგება.

საიქიო ცხოვრება ადამიანის არსებობის გაგრძელების ის მარადიული ნაწილია, რომლითაც უზენაესი ალლაჰი თავის საყვარელ მონა-მსახურებს საუკეთესოდ დააჯილდოებს. ასევე ყველაფერი ის, რაც ბავშვებს ყველაზე მეტად სურთ და უყვართ, უხვად მიეცემათ.

ა. როგორ ავუხსნათ ბავშვებს სიკვდილის ცნება?

სიკვდილი ამქვეყნიური სიცოცხლის დროის ამოწურვაა. გამოცდის დასრულების მანიშნებელი ზარი და ახალი მოგზაურობისთვის სამზადისის მაუწყებელია.

ასაკის მიხედვით სიკვდილის აღქმა:

3-4 წლამდე ასაკის ბავშვები სიკვდილს აღიქვამენ როგორც ხანგრძლივი ძილი, ხოლო 5-6 წლისანი კი - შორეულ მოგზაურობად.

ოჯახის წევრის გარდაცვალება



გარდაცვალებასთან დაკავშირებული შიშის საფუძველს პიროვნების მარტოდ დარჩენა იძლევა. როცა 0-3 წლის ასაკის ბავშვს გარდაეცვლება დედა, ან მამა, ბავშვის გვერდით სხვისი არსებობა, ბავშვის სამყაროში ობლობის შეგრძნების პრობლემას აღმოფხვრის. ის, რომ ისლამი ობლებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მიზნად ისახავს ბავშვის გულის სიცარიელის ამოვსებას.

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ბავშვს სიკვდილის არ შეეშინდეს.



- უზენაეს ალლაჰსა და სიკვდილს შორის შიშის გამომწვევი კავშირების დაბრკოლება. (არ უნდა ვუთხრათ ბავშვებს, რომ გარდაცვლილის სული ალლაჰმა ჩაიბარა)
- ოჯახის წევრებმა ბავშვი სიკვდილით არასოდეს არ უნდა დააშინოს. მაგალითად: მოვკვდე და გადავრჩე შენგან, რომ მოვკვდები მერე ნახავ, რაც მოგივა და ა.შ.
- როცა ბავშვის ახლობელი გარდაიცვლება, ეს ამბავი ბავშვს ისევ ვინმე ახლობელმა უნდა უთხრას და სანამ ეტყოდეს, ჯერ აუხსნას, რომ გარდაცვალება არ არის არსებობის დასასრული.
- მაშინ, როცა პიროვნება ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვლება, ბავშვს ასე უნდა ავუხსნათ: „ისე, როგორც ყვავილები ფერს იცვლიან და ჭკნებიან, ასევე ეს ადამიანიც ავადმყოფობამ ძალიან დაღალა. მინდა კიდევ იცოდე, რომ მას ღვთის დახმარებით ტკივილები აღარ შეაწუხებს“.
- მოულოდნელად გარდაცვლილის შესახებ კი ბავშვებს ასე უნდა ავუხსნათ: ყველაფერს თავისთვის განსაზღვრული დრო გააჩნია. ამიტომ ამჯერად მისი დროც ამოიწურა და წავიდა. ისე, როგორც შენ სანამ 6 წლის არ გახდები, სკოლაში ვერ მიდიხარ, დაწყებითი კლასების დასრულებამდე მაღალ კლასებში ვერ გადადიხარ. სწორედ აქედან გამომდინარე, მისი ამქვეყნიდან განშორებისა და სამოთხის სილამაზით აღსავსე საიქიო სამყოფელში წასვლის დრო მოვიდა.
- გარდაცვლილი მის მიერ გაკეთებული კეთილი საქმეებით უნდა გავიხსენოთ.
- როცა 7 წლის ასაკის ბავშვის ახლობელი გარდაიცვლება, ის უნდა წავიყვანოთ განსასვენებლის ოჯახში, რადგან ბავშვმა საყვარელ ადამიანს უნდა გამოემშვიდობოს.
- როცა ბავშვი 7 წლის ასაკს არ არის მიღწეული, უმჯობესია, ასეთ დროს ოჯახისგან შორს წავიყვანოთ.

ბ. სამოთხე და ჯოჯოხეთი



სამოთხე ბავშვებისთვის ყოველთვის სასურველი და წახალისების ელემენტი უნდა იყოს. უნდა ვუთხრათ, რომ სამოთხე ის ადგილია, სადაც სიკეთის მკეთებლები უხვად დაჯილდოვდებიან. განსაკუთრებით 4-5 წლის ასაკის ბავშვებს საოცარი და წარმოუდგენელი რამეების შესახებ დიდი ინტერესი ამოძრა-



ვებთ. მათთვის სამოთხის წარმოუდგენელი და საოცარი სილამაზის ახსნა სამოთხეში შესვლის სურვილს გაზრდის და შეეცდებიან ბევრი სიკეთე და მადლი დაიმსახურონ, რათა სამოთხეში შესვლის ღირსები გახდნენ.

იმისათვის, რომ ბავშვებმა სამოთხეში შესვლის იმედი არ დაგარკონ, მათ არასოდეს არ უნდა ვუთხრათ, რომ თუ კიდევ ასე მოიქცევა, სამოთხეში ვერ შევა, დიადი გამჩენის საყვარელი მონა-მსახური ვერ იქნება.

წმინდა ყურანის სწავლებიდან გამომდინარე, სამოთხის შესახებ საუბრისას შემდეგი მაგალითის მოყვანა შეიძლება: რეალურ ცხოვრებაში, ან ტელეეკრანებზე აუცილებლად გექნებათ ნანახი საოცარი სილამაზის ხედები. თქვენს ცხოვრებაში, ბუნებრივია, იქნებით ნამყოფი ისეთ ადგილებში, რომლებთან განშორება არასოდეს მოგინდებოდათ, ან კიდევ ისეთი კერძები გექნებათ დაგემოვნებული, რომელსაც მთელი ცხოვრება სიამოვნებით შეექცეოდით. სწორედაც, სამოთხე ის ადგილია, რომლისგანაც არასოდეს მოგინდებათ განშორება, უფრო მეტიც, სამოთხე ყველა ამქვეყნიურისგან განსხვავებული და საუკეთესოა, სამოთხის კერძების ამქვეყნიურ კერძებზე შედარება შეუძლებელია, საიქიოს კერძები წარმოუდგენელი გემოთი გამოირჩევა.

ხოლო, რაც შეეხება სამოთხის სიმშვიდესა და თავისუფლებას, შეიძლება შემდეგი შედარებები მოვიყვანოთ: წუთისოფელში უამრავი პრობლემისა და გასაჭირის წინ აღმოჩნდებით; სენი შეგვეპარება, ტემპერატურა აგვიწევს, სხეულის რომელიმე კიდურს დავიზიანებთ და ტკივილები არ მოგვასვენებს. ზოგჯერ სუსხი შეგვაწუხებს, ზოგჯერაც -ზედმეტი სიცხე. ამქვეყანად გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, სხვა სახის პრობლემების წინაშეც აღმოვჩნდებით. ადამიანი მოხუცდება, სახეზე ნაოჭები გაუჩნდება და ა.შ. დაათვალიერეთ მშობლების ახალგაზრდობის ფოტოები, ასე ადვილად შეაჩნევთ მათ სახეზე ასაკის მოტანილ ცვლილებებს. მაგრამ საიმედოა, რომ უზენაესმა ალლაჰმა მსგავსი მდგომარეობა მხოლოდ ამაქვეყნისთვის დააწესა. და რაც მთავარია, სამოთხეში მოხუცებულობა, ტკივილი, დარდი, ავამყოფობა, წუხილი და სირთულეები არ იქნება.

გასათვალისწინებელია, რომ ჯოჯოხეთის შესახებ 7-8 წლის ასაკის ბავშვებს არ უნდა ვესაუბროთ. 3-4 წლის ბავშვებმა შესაძლებელია უფროსებისგან, ან კიდევ ვინმე სხვებისგან ჯოჯოხეთის შესახებ მოისმინონ და გამომდინარე აქედან მშობლებს დაუსვან კითხვები. ასეთ შემთხვევაში მათ მოკლედ უნდა ვუპასუხოთ. ჯოჯოხეთი იმ ადამიანების საბოლოოდ შესასვლელი საპყრობილეა, რომლებიც გამუდმებით ბოროტებას სჩადიან.

5. ანგელოზების რწმენა

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის ანგელოზების რწმენის საკითხის სწავლებას ისეთივე სათუთი მიდგომა სჭირდება, როგორსაც უზენაესი ალლაჰის რწმენის სწავლება მოითხოვს, ვინაიდან ანგელოზებიც აბსტრაქტული და თვალით უხილავი არსებები არიან. ანგელოზების შესახებ ის ცნობები, რომლებიც წმინდა ყურანში და უკეთილშობილესი მუჰამმედ შუამავლის ჰადისებშია მოცემული, მხოლოდ ზრდასრულ პიროვნებების შემეცნების დონეს შეესაბამება. გამომდინარე აქედან, როდესაც ბავშვებს ანგელოზების შესახებ ვესაუბრებით, უნდა გავითვალისწინოთ მათი აღქმისა და შეგნების დონე.

შესაბამისად, უნდა შევქმნათ იმის საფუძველი, რომ ბავშვებს გაუჩნდეთ ინტერესი და თავად დაგვისვან ანგელოზების შესახებ კითხვები. ყოველდღიურ ცხოვრებაში შესაძლებელია ისეთი წინადადებების გამოყენება, რომლებიც ბავშვებს ანგელოზების კეთილ არსებებად აღქმის საშუალებას მისცემს. მაგ: „ანგელოზივით ადამიანია, ანგელოზივით ბავშვია, ანგელოზებს დაუფარავს შენი თავი“. ასევე უკეთესი იქნება ბავშვებს ავუხსნათ, რომ ანგელოზები განსაკუთრებით ბავშვებს საფრთხისა და ბოროტებისგან იცავენ.



თუკი ვფიქრობთ, რომ ბავშვებს ეგოიზმი ახასიათებთ, ანგელოზების რწმენის ჩამოყალიბებით გაითავისებენ, რომ ისინი მათი დამხმარე არსებები არიან. ეს კი ბავშვების აზროვნებაში შეიტანს იმის ფიქრს, რომ უზენაესმა ალლაჰმა ანგელოზები იმისთვის გააჩინა, რომ ბავშვები ყოველი ბოროტებისგან დაიცვან. ბავშვებში ასეთი სახის



აზროვნების ჩამოყალიბება, განსაკუთრებით სკოლამდელი აღსაზრდელებისთვის, ძალიან მარტივია. ანგელოზების რწმენა ბავშვებს ყოვლისშემძლე გამჩენის რწმენას უფრო გაუღრმავებს.


უზენაესი ალლაჰისა და ანგელოზების რწმენის ერთდროულად სწავლება მიზანშეწონილია. მაგრამ ბავშვი უნდა იყოს არანკლებ 4-5 წლისა და იგი სიამოვნებას უნდა იღებდეს ზღაპრის და მოთხრობის მოსმენის დროს. ასევე ინტერესი უნდა გააჩნდეს ზებუნებრივი არსებების მიმართ. ბავშვებს, ასაკის ზრდის პარალელურად, შესაძლებელია ვესაუბროთ ანგელოზების ზოგიერთ იმ თვისებაზე, რომლებიც წმინდა ყურანში და შუამავლის ჰადისებშია ხსენებული, მაგალითად ის, რომ ანგელოზები არ ჭამენ, არ სვამენ, არ იძინებენ, არ იღლებიან, არ ბერდებიან და ასე შემდეგ. მაგრამ არ არის მიზანშეწონილი, რომ სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებს ვესაუბროთ იმაზე, თუ როგორ გააჩინა უზენაესმა ალლაჰმა ანგელოზები, ვინაიდან ბავშვებს ამ ასაკში არ შეუძლიათ, იაზროვნონ ანგელოზების გაჩენის ბუნებაზე. გამომდინარე აქედან, მათ უნდა ავუხსნათ, რომ ანგელოზები მუდმივად ღვთიმსახურებას აღავლენენ და არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგებიან დიადი გამჩენის ბრძანებებს. ამიტომაც, თუკი ადამიანებიც საუკეთესო ზნეობისა და კეთილები იქნებიან, შესაძლებელია ისინიც ანგელოზების მსგავსად ამაღლდნენ.

როგორც წმინდა ყურანში, ასევე შუამავლის ჰადისებში საუბარია ანგელოზების ზოგიერთ იმ თვისებაზე, რომელთა თანახმად, მათ უზენაესი ალლაჰის ნებით შეუძლიათ სასურველ ფორმაში შევიდნენ და შემდეგ ძველ ფორმაში დაბრუნდნენ. გააჩნიათ ორ-ორი, ან მეტი ფრთები და თავისუფლად შეუძლიათ, შორი გზა ძალიან მოკლე დროში დაფარონ. ისინი მარტივად ასრულებენ ისეთ საქმეებს, რომლებიც ადმიანისთვის ძალიან ძნელია. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ, როდესაც ბავშვებს ზემოთხსენებულ თემაზე ვესაუბრებით, არ უნდა შეექმნათ ისეთი ასოციაცია, რომ ანგელოზები ადამიანის, ან ჩიტის მსგავს არსებებად წარმოიდგინონ.

ამასთან ერთად მოკლედ შესაძლებელია, ვესაუბროთ მთავარანგელოზების ზოგიერთ მოვალეობაზე, მაგალითად: მთავარანგელოზი ჯებრაილის, მიქაილის, ისრაფილისა და აზრაილის, ასევე ქირამენ ქათიბინისა და დამცველი ანგელოზების ვალდებულებების შესახებ.



ღვთისმსახურების ფასეულებები



1. ლოცვის სწავლება

ა. ასაკის მიხედვით ლოცვის სწავლება და სიყვარული

დედა, რომელიც ბავშვს ასწავლის საჭმლის შემდეგ ხელების დაბანას, რა თქმა უნდა, ე ზანის შემდეგ ლოცვის სწავლებასაც შესძლებს!

0-7 წლის პერიოდის ბავშვს ახასიათებს იმიტაციის უნარი და მოსწონს წახალისება. ბავშვი ამ პერიოდში დედ-მამასა და მასწავლებელს ბაძავს ქცევებში და სიკეთეს, სწორედ, დედ-მამისა და მასწავლებლისგან წახალისებით სწავლობს. 5-7 წლის ასაკი ღვთისმსახურების სწავლებისთვის საკმაოდ ნაყოფიერია.

ამიტომაც;

- ბავშვისთვის იმის ახსნა, თუ ლოცვა როგორ სრულდება, არაა საკმარისი, ბავშვი ნამაზის ლოცვას პატარაობიდანვე უნდა ხედავდეს, რათა მას ცოცხალი ნიმუში ჰქონდეს.
- პატარებმა უფროსები ლოცვისას უნდა დაინახონ, რათა ეს სურათი ბავშვის გონებაში დამკვიდრდეს და მისთვის კარგ მოსაგონებლად დარჩეს. თუ შესაძლებელი იქნება, ლოცვა სახლში ჯამაათით (ჯგუფურად) შესრულდეს.
- უფროსების ლოცვისას ბავშვები თავისუფლად უნდა იყვნენ, მათ უფროსებთან თამაშის საშუალება უნდა მიეცეთ.
- ბავშვებს რომ ლოცვა შევაყვაროთ, საჭიროა, მათთვის სალოცავი ქუდი, თავსაფარი, სეჯჯადე და სხვა დანარჩენი ლოცვისთვის აუცილებელი ნივთები შევიძინოთ.



ბავშვებს წყლით თამაში ძალიან უყვართ, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. ამიტომაც შესაძლებელია, რომ ბავშვების წყლით თამაში აბდესით თამაშით შეიცვალოს.

ბავშვების საყვარელ ადგილას წასვლისას მეჩეთში გავიაროთ. ამ გზით ბავშვი ნელ-ნელა მეჩეთს შეეჩვევა. ზოგჯერ შეიძლება, ლოცვის შემდეგ ბავშვები დავასაჩუქროთ.

ბავშვისგან ლოცვის უნაკლოდ შესრულებას ნუ დაველოდებით.

ბავშვებს ლოცვა ასეთი სიტყვებით წავახალისოთ: "ბავშვებო! როცა ჩვენ ერთმანეთს ველაპარაკებით; ან რაიმეს ვეუბნებით, ან რაიმეს ვითხოვთ, ხოლო შემდეგ ვაკეთებ იმას, რაც ერთმანეთს ვთხოვეთ. ჩვენ გვინდა ალლაჰსაც ასე დავუკავშირდეთ. რისი სურვილიც გვაქვს, ის ალლაჰს ლოცვის შემდეგ შევსთხოვოთ. ლოცვისას ყოველგვარი ცუდი ენერგიისგან გავთავისუფლდებით და გულიც გაგვისუფთავდება. ლოცვა ჩვენთვის ბოძებული სარჩოსთვის მადლიერების გადახდის ფორმაა. ლოცვა ჩვენი შეცდომებისთვის პატიების საშუალებაა, მშვიდობისა და ბედნიერების შეგრძნებაა. ლოცვა შუამავლისა და ჩვენთვის ბოძებული ღვთიური საჩუქარია."

ბ. ბავშვების შეჩვევა მეჩეთზე

სკოლამდელი ბავშვები ხშირად მეჩეთში უნდა წავიყვანოთ, მაგრამ ბავშვმა მეჩეთში შეუფერებლად და არასწორად არ უნდა მოიქცეს.

3-4 წლის ასაკის ბავშვები მეჩეთში იშვიათად ვატაროთ, უფრო მეტად ლოცვის შემდეგ თამაშისთვის მივიყვანოთ.

7 წლისა და შემდგომი ასაკის ბავშვები უფრო ხშირად ვატაროთ და მათ ნელ-ნელა მეჩეთში ქცევის წესები ვასწავლოთ: მარჯვენა ფეხით შესვლა, მეჩეთში შესვლის ვედრება, ხმადაბლა ლაპარაკი და ა.შ.

მეჩეთის მსახურებთან და ჯამაათის სხვა წევრებთან წინასწარი შეთანხმებით ბავშვებს საჩუქრები გადავსცეთ.

- ჯუმის, ძილის წინა, თარავიჰისა და სხვა სადღესასწაულო ნამაზებზე ბავშვები, რომლებსაც ძალა არ შესწევთ, არ უნდა წავიყვანოთ.
- ზოგჯერ მეჩეთიდან დაბრუნების შემდეგ სასურველ ადგილას ბავშვების წაყვანა კარგი იქნება, მაგალითად: პარკში, ტკბილეულობის მაღაზიაში, ატრაქციონზე.
- მეჩეთიდან დაბრუნებისას მეჩეთისა და ჯამაათის შესახებ საუბარი კარგია. თუ ბავშვს რაიმე უარყოფითი შემთხვევა ჰქონია, აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.
- სასურველია, რომ ბავშვები დიდ მეჩეთშიც ვატაროთ და მივსცეთ იმის საშუალებაც, რომ მეჩეთში მეგობრებთან ერთად წამოვიდეს.
- თუ ბავშვი მეჩეთში წასვლაზე უარს ამბობს, ამის მიზეზი უნდა გამოვიკვლიოთ, რაიმე შეცდომის არსებობის შემთხვევაში უნდა გამოვასწოროთ.

გ. ნამაზთან დაკავშირებული თამაშები

ყველასათვის ცნობილ თამაშში "გიგანტური ჯუჯა" ბავშვები ნამაზის ისეთ ქმედებებს სწავლობენ როგორიცაა: ფეხზე დგომა, კითხვა, რუქუღი (წელში მოხრა), სეჯდე, თექბირი, სალამის მიცემა და სხვ. მასწავლებელი რასაც იტყვის, ბავშვებიც იმ მოქმედებას შეასრულებენ. რომელ ბავშვსაც შეეშლება, თამაშიდან გავა. ერთი ბავშვის დარჩენამდე თამაში გაგრძელდება.

ნამაზის თამაში:

მე მყავს ერთი ძალიან ტკბილი და კეთილი მეგობარი, რომელსაც აიშა ქვია.

აიშა ერთ დღეს ოჯახთან ერთად წავიდა პიკნიკზე, სადაც ძალიან კარგად ითამაშა და დედის მომზადებული კერძებიც დააგემოვნა. თამაშებისა და კერძების მირთმევის შემდეგ სახლში დაბრუნების დრო დადგა, მაგრამ აიშა რას ხედავს, თამაშითა და კერძებით ცხვირ-პირი და სახე მთლიანად მოთხუპნული, ხოლო ხელ-ფეხი და თავი სულ დამტვერილი აქვს. ამ მდგომარეობაში ჩავარდნილმა სახლში დაბრუნება არ ისურვა. მათ ახლოს ჩამომდინარე მდინარესთან მივიდა, მაგრამ ვერ გაერკვა, გასუფ-



თავება როგორი თანმიმდევრობით შეესრულებინა.

მიმართვა ბავშვებს: “ბავშვებო, აიშა ჩვენგან დახმარებას ითხოვს! წავიდეთ და დავეხმაროთ. ვასწავლოთ, თუ საიდან უნდა დაიწყოს:

რადგან საჭმელი ხელით მიირთვა, პირველ რიგში ხელებს იბანს (ყველა ერთად ხელებს დაიბანს).

ხილის მირთმევის შემდეგ სახის დაბანაც საჭიროა. ხელების დაბანის შემდეგ კარგად გასასუფთავებლად ცხვირ-პირს სამჯერ იბანს. თამაშისას სახეზე, თავსა და ფეხებზე ტალახი წაეცხო, ამიტომ იმათაც კარგად იბანს.

აი, აიშა უკვე გასუფთავდა, ახლა შეიძლება სახლში წავიდეს.

მაგრამ სახლში წასვლისას დაბრკოლებებს ხვდება. დაბრკოლებების გადალახვისთვის საჭიროა, ბიჭებისთვის ქუდები, ხოლო გოგონებისთვის — თავსაფარი. ამის შემდეგ ისინი ჯგუფებად გაიყოფიან.

დაბრკოლებები:

1. ფეხზე მდგომი ბავშვის სურათი: ბავშვმა ეს დაბრკოლება ისე უნდა გადალახოს, როგორც სურათზეა ნაჩვენები.
2. რუქუღზე (წელში მოხრილი) მყოფი ბავშვის სურათი: ბავშვმა ეს დაბრკოლება ისე უნდა გადალახოს, როგორც სურათზეა ნაჩვენები.
3. სეჯდეზე მყოფი ბავშვის სურათი: ბავშვმა ეს დაბრკოლებაც ისე უნდა გადალახოს, როგორც სურათზეა ნაჩვენები.

ბოლო დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ვედრების აღმვლენი ბავშვის სურათის ჩვენება შეიძლება და ისიც ვედრებას აღავლენს.

კარგი! აიშა სახლში მოვიდა. აიშას დახმარებისთვის დიდი მადლობა.

ლოცვის დროის მაჩვენებელი საათი

მიცემული ინსტრუქციის შესაბამისად ბავშვებს წინასწარ მომზადებული ასეთი თვალსაჩინოება გადაეცემათ: მუყაოსგან დამზადებული ხელითსამოძრავებელი საათი, რომლის შუაში ისეთი ისარი უნდა დავამაგროთ, რომ ხელით ვამოძრაოთ. საკლასო ოთახში ნამაზის დროის მაჩვენებელი საათი ისეთ ადგილას უნდა იყოს, რომ ყველამ დაინახოს.

მასალის გასამტკიცებლად მასწავლებელი შემდეგ კითხვებს სვამს: “დილით გაღვიძებისთანავე რომელ ნამაზს ვლოცულობთ?“ “მზე ზენიტს რომ აღწევს, რომელ ნამაზს ვლოცულობთ?“ და ა.შ. ბავშვები პასუხობენ და რიგრიგობით ნამაზის დროებს ისრის მოძრაობით აჩვენებენ.

ჩემი სახლი, ჩემი სახლი, სამლოცველო, ჩემი სახლი.

დღის ნამაზთა ერთობლიობა საცხოვრებელი სახლის მსგავსად შეიძლება წარმოვიდგინოთ და დავხატოთ კიდეც, და კიდევ შეიძლება, მას ასეთი ახსნა-განმარტებაც მივსცეთ ბავშვებისთვის:

- კარი — დილის ლოცვა
- ფანჯარა — შუადღის ლოცვა
- კედლები — სამხრობის ლოცვა
- სინათლე — საღამოს ლოცვა
- სახურავი — ძილის წინა ლოცვა

ჩამოთვლილთაგან რომელიმე რომ გამოვაკლოთ, სახლის ერთი მთლიანობა დაირღვევა. ამიტომაცაა ჩვენთვის ყოველი დროის ნამაზი საჭირო.

დ. როგორ შევაყვაროთ ბავშვს ნამაზი?

ბავშვს როცა აჩვევთ ნამაზს, ფურცელზე ერთი ხუთფოთლიანი ყვავილი დაუხატეთ. როცა ბავშვი თქვენთან ერთად ლოცვას შეასრულებს, ნება მიეცით, ერთი ფოთოლი გააფერადოს. როცა შესრულებული ნამაზების შემდეგ ყველა ფოთოლს გააფერადებს, ბავშვი წაახალისეთ საჩუქრით.

ლოცვის შერულების შემდეგ სალოცავიდან იმწამსვე არ ადგეთ. ბავშვიც გვერდით მოიხმეთ და მასთან ერთად ვედრება აღავლინეთ. მნიშვნელოვანი ვედრების ტექსტები ქართულ ენაზე შეადგინეთ და ბავშვთან ერთად გაიმეორეთ. თუ ხშირად ხმამაღლა გაიმეორებთ, ბავშვების გონებაში უფრო სწრაფად დამკვიდრდება.

ჩვენ, ყველანი, ველით კვირას, რათა დავისვენოთ ოჯახთან ერთად დროის გატარებითა და სეირნობით გული ვიჯეროთ. კარგი იქნება, ასეთ დროს ბავშვს ჩავკიდოთ ხელი და მეჩეთში წავიყვანოთ. მას ერთი კვირით ადრე ვუთხრათ, რომ კვირის ბოლოს მეჩეთში უნდა წავიყვანოთ.



“ჩემი ბიჭი (გოგო) უკვე დიდი გაიზარდა. ჩემს ბიჭთან (გოგოსთან) ერთად მეჩეთში უნდა წავიდე.“- ასეთნაირად მიუალერსეთ ბავშვს და სტიმული და გამბედაობა მიეცით.

თუ თქვენს სახლში ლოცვას დიდ ყურადღებას აქცევთ, ეს თქვენს პატარაზეც აისახება.

ლოცვასა და სხვა ღვთისმსახურებასთან დაასაახლოვებლად ბავშვი საჩუქრის საყიდლად წაიყვანეთ. თუ მამა ხართ დედისთვის, თუ დედა ხართ მამისთვის ქუდი, თავსაფარი, სუნამო, მისვაქი და სეჯჯადეს (სალოცავი) მსგავსი საჩუქრები ბავშვს შეარჩევინეთ, ნაყიდი საჩუქრები კი, ნება მიეცით, ბავშვმა გადასცეს. საჩუქრის მიმღებმაც აუცილებლად მიღებული საჩუქარი საჯაროდ გახსნას და ემოცია გამოხატოს. ასეთი მიდგომით ბავშვის გულს მოინადირებთ და მას ისლამის ფასეულობებთან დაააახლოებთ.

ერთად წარმოსათქმელი სიმღერებითა თუ საკითხავი ვედრებებით ისარგებლეთ. ბავშვი საზეიმო ღონისძიებების მთავარ მონაწილედ წარმოაჩინეთ.

ეზანის კითხვისას ტელევიზორის, რადიოსა და სხვა ხმოვანი ტექნიკის ხმას დაუწიეთ და განუმარტეთ, რომ “ეზანი იკითხება“. თუ იცით, ხმამაღლა წაიკითხეთ ეზანის ვედრება. ამ ქმედებებით მიახვედრეთ ბავშვს, თუ ასე რატომ იქცევით.

ბავშვს როცა ასწავლით ისლამის ფასეულობებს, ლოცვის შესრულებისთვის წინასწარ საყიდლებსა და საჩუქრებს ნუ დაჰპირდებით. ეს არ უნდა დაუშვათ, რადგან შემდგომში ლოცვის შესრულება სავაჭრო ობიექტად არ გამოიყენოს, მაგრამ ნამაზის შესრულების შემდეგ ზოგჯერ შეიძლება დაასაჩუქროთ ბავშვი. ბავშვებს ლოცვის შესრულება არ დააძალოთ. მხოლოდ წაახალისეთ.

ბავშვს ლოცვის წახალისებისას, ისლამისა და ეთიკის კანონების მიხედვით, საჩუქრები გადაეცით მომღიმარი სახით. თქვენი ღიმილი და განწყობა თქვენ და თქვენს საუბარს სიტკბოსა და სათნოებას შესძენს. ეს კი თქვენს გადასაცემ ინფორმაციას უფრო გასაგებს გახდის და ურთიერთობას გაგიადვილებთ.

ბავშვები ხშირად ასე შეაქეთ: “ჩემს გოგოს შეხედეთ, რა კარგად ლოცულობს”; “ჩემო ვაჟკაცო, ალლაჰმა ყაბული გიქმნას“. მსგავსი წამახალისებელი წინადადებები ხშირად გამოიყენეთ. ნუ დაგავიწყდებათ, ზოგჯერ დროული შექება ბევრ მატერიალურ საჩუ-



ქარზე უფრო მეტად ეფექტურია. თქვენ თუ მას სწორი ქმედებების გამო დროულად შეაქებთ, დადებითი ყველა ქცევა განმტკიცდება და უარყოფითი ქცევა სწრაფად გამოსწორდება. ბავშვი სწორ ქმედებებს მხოლოდ თქვენი შექებით მიხვდება. კარგი ქმედებებისთვის შექებას ნუ დაიშურებთ. ამ საკითხთან დაკავშირებით თუ წინდახედულად მოიქცევით, არავითარი ზიანი არ გექნებათ, უფრო მეტიც, თქვენთან ურთიერთობას უფრო ადვილად დაამყარებს.

ბავშვებთან ხშირად ვედრება ხმამაღლა წარმოსთქვით, მაგალითად ამის მსგავსი: "ო, ჩემო ალლაჰო, დიდი მადლობა, ჩვენ რომ ასე ლამაზად და კარგად მლოცველი ბავშვები გვიბოძეთ. ჩემო ალლაჰო, ისინი ძალიან კარგად ასრულებენ ღვთისმსახურებებს, შენ მიიღე მათი ღვთისმსახურებები, ისინი სამოთხეში შეიყვანე. საიქიოში შუამავლის მეზობლად ამყოფე."

არცერთი ამგვარი ვედრება უშედეგოდ არ ჩაივლის. უფრო მეტიც, ხმამაღალი ვედრება სწავლების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. უცილებელია, ბავშვმა იგრძნოს ის, თუ მშობლებისთვის რამდენად მნიშვნელოვანია. ამით იგი მათ კვალს გაჰყვება.

ბავშვი ოჯახის სარკეა. უპირველესად, დედამ და მამამ თავიანთი ისლამური ცხოვრება და ღვთისმსახურება უნდა გააფართოვონ და გააღრმაონ, რათა შემდგომ იგი ბავშვში ისე ნათლად აისახოს, როგორც სარკეში.

2. მარხვის სწავლება

ა. როგორ შევასწავლოთ ბავშვებს მარხვა?

ბავშვებს უნდა ავუხსნათ, რომ ჩვენთვის მარხვა ალლაჰის ერთ-ერთი აუცილებლად შესასრულებელი ბრძანებაა და შეიძლება, ასეთი მაგალითიც მოვიყვანოთ: “როცა ექიმი პაციენტის ავადმყოფობის მიზეზს გაეცნობა და მას მარილის მიღებას აუკრძალავს, მიზეზი ისაა, რომ პაციენტი უფრო ცუდად არ გახდეს და განიკურნოს. ჩვენ ჩვენი გამჩენი ალლაჰი ყველაზე უკეთ გვიცნობს და ამიტომაც ჩვენი შინაგანი ორგანოების განსაწმენდად, განსატვირთად და დასასვენებლად ჩვენგან მარხვას ითხოვს.“

კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ რატომ უნდა ვიმარხოთ: “ჩვენ უამრავი სახეობის კერძის, ხილისა და სხვადასხვა ტკბილეულის მირთმევისას ღარიბებისა და მშიერი ადამიანების, რომლებსაც არა აქვთ მსგავსი საკვების მიღების საშუალება, მდგომარეობას ვერ გავიგებთ. მაგრამ იმ ადამიანების მდგომარეობას მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როცა მარხვას დავიწყებთ.

ბავშვებისთვის დეტალურად ფიქიჰი არ აიხსნება, ან კიდევ გამოტოვებული ლოცვის ანაზღაურების საჭიროება, ან მარხვის მადლის შემამცირებელი მდგომარეობები და ა.შ. მაგრამ ის, თუ როგორ შეიძლება დაიწყოს ბავშვმა მარხვა, როდის უნდა გახსნას პირი მარხულმა და რა არის მარხვის მომშლელი ფაქტორები — მოზარდმა მარხვასთან ერთად უნდა შეისწავლოს.

ბ. ბავშვებისთვის მარხვის ღვთისმსახურების სწავლება



უფროსებზე მიბაძვით, ან თავიანთი ინტერესით 5-6 წლის ბავშვები მარხვას მოინდომებენ. 4-5 წლის ბავშვები მარხვის თვეში პირის ხსნამდე ერთი საათით ადრე ვამარხოთ, ან კიდე საუზმის შემდეგ სადილამდე მარხვის

საშუალება მივსცეთ. ამ ხნის განმავლობაში მათ წყალი არ უნდა დალიონ, საჭმელი არ უნდა ჭამონ, ცუდი სიტყვებისა და ქცევებისთვის გაფრთხილებები უნდა მიეცეთ და კარგად მოქცევისთვის კიდეც წახალისდნენ.

ბავშვები მშობლების ღვთისმსახურებების შესრულებით განსაკუთრებულ სულიერ სიამოვნებას იგრძნობენ. სეჯდეს შესრულებისას, ლოცვისას, ყურანის კითხვისას როცა ბავშვი ხედავს მშობლებს, ღვთისმსახურების მადლს განსაკუთრებულად შეიგრძნობს და ამიტომ ამას მნიშვნელოვნად აკვირდება. მარხვის თვეში რაც ოჯახში ხდება, მაგალითად; ღამის საათებში საჰურზე ადგომის მადლი, დღის განმავლობაში გაკეთებული სიკეთე, იფთრის დროს მიღებული სიხარული... ბავშვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომაც დედ-მამას ევალება, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ვალდებულების განხორციელებისას ბავშვს მარხვის მნიშვნელობა აუხსნას და თან მარხვის ღვთისმსახურებისთვის მოამზადოს, აგრეთვე აჩვენოს, მარხვასთან ერთად სხვა ღვთისმსახურებებიც რამდენად მნიშვნელოვანია.

ოჯახში საჰურზე ადგომა, ბავშვების გაღვიძება და მათთან ერთად ჭამა-სმა, ბავშვების დაკვირვება დედ-მამისა და სხვა უფროსების ლოცვაზე, ვედრებასა და ყურანის კითხვაზე მათ გრძნობასა და გონებაში დადებითად აისახება და ღრმა კვალს ტოვებს.



უშუალო ქველმოქმედება, როგორც საღვთო საქმე, ბავშვების სულზე დიდ გავლენას ახდენს. ამიტომაც მარხვის თვეში ღარიბების დასახმარებლად ბავშვებიც შეიზიარეთ, დაპატიჟებული სტუმრებისთვის საჭმლის მირთმევასა და მომსახურებაშიც დაიხმარეთ. ასე ბავშვები მარხვის ღვთისმსახურებებს პრაქტიკაში განამტკიცებენ და შეიძლება, უფროსებთან შედარებით კარგი შედეგები ჰქონდეთ მომდევნო წლებში. ლოცვების ჯამაათით შესრულებისას ბავშვებიც აუცილებლად წაიყვანეთ, რათა მარხვა მათი სურვილით შესასრულებელ ღვთისმსახურებად იქცეს.

გ. მარხულის ქცევა

დრამატული აქტივობა

მარხვის თვის ერთი კარგი დღე

ბავშვებს მითითებული წესების შესრულება მოეთხოვებათ.

- ხვალ მარხვის პირველი დღეა! ... ღამით ლოგინში ხართ და სადაცაა ძილბურანში უნდა გაეხვიოთ.

- ძილი მოგერიათ და თვალები გეხუჭებათ.

- ახლა კი ტკბილ სიზმრებს ნახულობთ. ვინ იცის, ვის ხედავთ სიზმრებში?

(ამ დროს კი, დაგეგმილის მიხედვით, ერთი მოსწავლე დოლს ახმაურებს და მარხვის შესახებ საუბარს იწყებს.)

- გესმით! ეს მარხვის მაღვიძარაა! ესე იგი საჰურის დრო დადგა! აბა გაიღვიძეთ!

- მმ. მგონი ეს საჭმლის სუნია! ახლავე ხელები დავიბანოთ, მაგიდას უნდა მივუსხდეთ! არის ისეთი, რომელსაც საჰურზე ადგომა არ უნდა? შეუძლებელია? საჰური წყალობაა! შუამავალიც ამას გვირჩევს და ამასთან ერთად საჰურზე თუ არ ავდგებით, დღის განმავლობაში მოგვშივდება, ეგრე არაა?

- საჭმელი გაგვითავდა. ჩვენს გამჩენს მადლობას ვუხდით და ვდგებით სუფრიდან. ხელები დავიბანოთ, კბილები გავიწმინდოთ და ხვალინდელი მარხვისთვისაც მიზანი დავისახოთ.

(ამ დროს ერთი ეზანს იკითხავს)



აი, იმსაქის დროც მოვიდა. იმსაქი მარხვის დაწყების დროა. ჭამა-სმა აღარ შეიძლება. დილის ლოცვაც შევასრულეთ, დროა, დავიძინოთ!

გათენდა, ვიღვიძებთ. დღეს შაბათია, სკოლაში არ მივდივართ. არ დაგავიწყდეთ და საჭმელი არ ჭამოთ... ჩვენ მარხულნი ვართ.

ცოტაოდენი ყურანის კითხვა კარგი იქნება, სურა ფათიჰას წავი-

კითხავ და მომისმინეთ. შუამავალი (ს.ა.ვ.) მარხვის თვეში ყურანს ხშირად კითხულობდა.

(სურა ფათიჰა იკითხება, ან კიდე ჩაწერილს მოისმენთ.)

დედა გვიხმობს: "შვილოო! ოთახი დაალაგე!" „ ოოო, მე ვერა?" - გვკარნახობს შინაგანი ხმა და არ გვინდა დალაგება, „გესმით ჩემი? ნუ დაგავიწყდებათ, დღეს მარხულები ვართ და გაკეთებული ყოველი კარგი ქმედებისათვის ბევრ მადლს მივიღებთ."

ოთახიც დავალაგეთ. მტვერიც გადავწმინდეთ. ძალიან კარგად გამოვიდა. დაძინება გადავწყვიტეთ, რომ ოთახში პატარა ძმა შემოვიდა, ის ჯერ ძალიან პატარაა, ხელში ჩვენი საყვარელი წიგნი უჭირავს. თან გაუხევია. ძალიან გავბრაზდით. „ო, ჩემო ალლაჰო! ეს ბავშვი ვცემო," - მეუბნება კიდევ შინაგანი ხმა. როგორ უნდა მოვიქცე? ჩვენ ხომ მარხულები ვართ?

ყველაზე კარგი იქნება, დედას დავეხმაროთ... თან კიდევ ნერვები დაგვიწყნარდება... მაგიდას დავალაგებ.

- ძალიან მოგშივდათ არა? ხელები მუცელზე გვაქვს... ო, ალლაჰო! ეხლა უკეთ ვხვდები ღარიბებისა და მშივრების მდგომარეობას. რაოდენ რთული ყოფილა შიმშილი, წყურვილი! დიდი მადლობა, ჩვენ ცოტახნის შემდეგ დავსხდებით და საჭმელს მივირთმევთ და ღარიბებმა, შეჭამანდის არ მქონე ღარიბებმა რა უნდა მიირთვან? ო, ჩემო ალლაჰო, შენ დაეხმარე მათ!



ცოტა დრო დარჩა ეზანის კითხვამდე. საათს ვუყურებთ. ბოლო ხუთი წუთია. არა და არ გადის წუთები!

(ეზანს მოვუსმენთ)

- აი, იფთრის დროც მოვიდა! გაიხაროს! რაოდენ გასახარი წუთი! მოდი, ვედრება წარმოვსთქვათ:

"ალლაჰუმე ლექე სუმთუ ვე ბიქე ამენთუ ვე ალეიქე თევექქელთუ ვე ალა რიზყიქე ეფთერთუ."

„ალლაჰო! შენი კმაყოფილებისთვის ვიმარხე, შენი მწამს, შენი მჯერა, შენი მოცემული წყალობით, საკვებით ვიწყებ ჭამას. შენ უსასრულო მადლობას გიხდი."

- აი, სულ ეს იყო! ალლაჰმა მიიღოს! დედას მადლობა გადავუხადოთ, რა გემრიელი კერძები მოუმზადებია. სხვა დროს შეიძლება არ გვეჭამა,



მაგრამ ყველა საჭმელი რამდენად მნიშვნელოვანია, დღეს ვხვდებით. დიდი მადლობა ალლაჰს! ვისაც არა აქვს, იმათაც მიეცი, ჩემო ალლაჰო!

ალლაჰის სახელით (ბისმილლაჰ)! ფინიკითა და წყლით გავიხსენით პირი, შუამავალიც ხომ ასე აკეთებდა.

- მინარეთებზე შუქია განათებული! მარხვა რა კარგია! ბავშვებო, ალლაჰმა მიიღოს.

დ. ბავშვის მიერ აღწერილი მარხვის დღეები.

რამაზანი 1

დღეს სახლში რაღაც უცანური ხდება.

ყველა სამსახურსა და სკოლაში წყნარად მიდის.

დედამ დაიძახა: “ზეინებ, ადექი, საუზმეს გიმზადებ!“ არავინ საჭმელს არ ჭამს, წყალსაც არ სვამს. არც უფროსი და!

რამაზანი 5

მეგონა, რომ დიეტას იცავდნენ.

ყველას ვაკვირდებოდი. საღამოსაკენ ყველა გაჩუმებულია. ერთად სუფრას ამზადებენ და ეზნის ხმას ელოდებიან. ასეთ მდგომარეობაში მათი ნახვა სასიამოვნოა. სხვა დროს გაჩერება არ შეეძლო ჩემს უფროს დაიკოს, მისი ეხლანდელი მდგომარეობა კი მაცინებს, მაგრამ გაცინებასაც ვერ ვბედავ.

რამაზანი 9

“ასე რატომ აკეთებენ?“- ვკითხე ჩემს უფროს დას, მან მიპასუხა: “დიდი რომ გაიზრდები, გაიგებ.“ ის სხვას რას მეტყოდა. დედას ვკითხე და ასე მიპასუხა: “რამაზანია“, მამას ვკითხე და მითხრა: “მარხვაა“.

რამაზანი 11

ესე იგი რამაზნისა და მარხვის მქონე ორ პირს ჩვენებისათვის ჭამა-სმა აუკრძალავს. ჩემს მეგობარ ფატმას ვკითხე.



მისი ოჯახიც დღის განმავლობაში საჭმელს არ ჭამდა, არც წყალს სვამდა.

რამაზანი 14

კოვზის, ჩანგლისა და ლაპარაკის ხმა გავიგე. გავიღვიძე, მამის გასაღვიძებლად გავიქეცი, საწოლში არაა! გამოუვალ სიტუაციაში აღმოვჩნდი, ჩვეულებისამებრ, უფროსი დის ოთახისკენ გავიქეცი, ისიც არაა! არ შემშინებია, მე ამ ქურდებს ვუჩვენებ სეირს! ავიღე იატაკის ჯოხი და უცებ შევაღე სამზარეულოს კარები. ჯოხი ავსწიე მაღლა და ადგილზე გავშეშდი. ჩვენები საჭმელს ჭამდენ. ვაი, თქვე ცბიერებო. დღისით მარხვისა და რამაზნისგან ეშინიათ და ღამით ჭამენ. უფრო მეტიც, იცინიან... მშიშრები.

რამაზანი 17

თავდაპირველად, ვიფიქრე ორუჯსა და რამაზანს ვნახავ და ვუჩივლებ-მეთქი. მაგრამ შევამჩნიე, რომ როცა არ ჭამდა ჩემი და, ძალიან თბილი და ლმობიერი იყო. არც მშობლები კამათობდნენ. ასე განაგრძონ. გასაგები გახდა, რომ ორუჯი და რამაზანი კარგი გულის პატრონები ყოფილან.

რამაზანი 19

ყოველდღე ჩვენთან თეთრთავსაფრიანი დეიდები მოდიოდნენ. ერთად დასხდებოდნენ და ყურანს კითხულობდნენ. როგორც ყოველთვის ნივთებზე, რძლებზე, დედამთილებზე არ ლაპარაკობდნენ. ყველა ხელებს აღაპყრობდა და ვედრებას აღავლენდა. დეიდა სევიმსაც თავზე დაუხურავს, თავსაფარიც კი ძალიან უხდება.

რამაზანი 22

ყველაფერი ჩვეულ რიტმში მიდის. როგორც კი იფთრის დრო დადგება, მთელი ქალაქი საჭმლის ჭამას იწყებს. რა სასიამოვნოა!

რამაზანი 24

მარხვა ძალიან მაინტერესებს. ამის წინ დეიდა აიშა დედაჩემს ელაპარაკებოდა: “აი, ასე რომ გავაკეთო, მარხვა მოიშლება? ასე რომ იყოს, მარხვა გაიქცევა?“ ე.ი. მარხვა ძალიან ემოციურია. ადამიანები ცუდს რომ აკეთებენ, მაშინ იშლებიან. სადაც ცუდს ხედავს, გარბის. მარხვასა და რამაზანზე უკვე ძალიან ვფიქრობ. მათი გაცნობა მსურს.

რამაზანი 25

ყველა ყადირის ღამის შესახებ ლაპარაკობს. დღემდე ღამის მქონე პიროვნება არ მინახავს. ეს ყადირიც ვინღაა? ათას თვეზე უფრო ხეირიანი ღამე ჰქონია. იმ ღამის ფხიზლად გატარება, ლოცვის შესრულება, ყურანის კითხვა ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილა.

რამაზანი 26

იფთარი ძალიან შემიყვარდა. იფთარს ვახშამს ეძახიან. ღამით ჭამას კი **საჰურს** ეძახიან. იფთრის შემდეგ მამას მეჩეთში დავყავართ. ქუჩასა და მეჩეთში ყველა სიხარულითაა აღსავსე.

რამაზანი 28

ფიქრებსა და ლოდინში ჩამძინებოდა. ყადირი კი ღამესთან ერთად მოსულა და წასულა. მე კი ვერ ვნახე, ვერ შევხვდი. ჩემი უფროსი ძამიკოც ძალიან მენატრება. ჩემს დას რომ ვკითხო, დამცინებს. შემდეგ კი თავის მეგობრებს მოუყვება და ყველა ერთად გაიცინებს. ნერვები მეშლება. უფროსი ძამიკო ჩვენგან შორს, რომელიღაც ქალაქის უნივერსიტეტში სწავლობს. “ძამიკო როდის ჩამოვა?“ - ვეკითხები დედას. მეუბნება: “ბაირამი მოვიდეს და ისიც ჩამოვა“. მარხვას, რამაზანს, ღამით მოსულ ყადირს ახლა უკვე ბაირამიც დაემატა!... ვერ ვეკითხები: “ვინაა ბაირამი?“ იმის მოსვლამდე ძამიკო რატომ არ ჩამოდის?



შეიძლება, ჩემი ძმის მეგობარია.
ძალიან მომენატრა ძამიკო. ბაირამიც წამოიყვანოს, გავიცნობთ.

რამაზანი 29

ბოლოს ქალის სახელიც გავიგე.
ალბათ არიფეს ვერ ამბობენ? არეფეს ამბობენ. რატომ არეფე?
"არიფე" არ უნდა იყოს, ჩვენი რძლის სახელის მსგავსად? "არეფე მოვიდა, ჩვენ კი ჯერ კიდევ დასუფთავება არ დაგვიმთავრებია,"- ამბობს დედა. ე.ი. დეიდა არეფე ძალიან მკაცრია. ძალიან შეშფოთდნენ. ბაირამსა და არეფეს ამბობენ და დაუღალავად შრომობენ. ასუფთავებენ ყველაფერს, კერძებს ამზადებენ.
„დედა, ბაირამი როდის უნდა მოვიდეს?"- ვკითხე მე, მან კი მიპასუხა: "არეფეს შემდეგ" . ე.ი. ბაირამი და არეფე დაქორწინებულები არ არიან, ნათესავებიც არ არიან. თავი არეული მაქვს. ერთი სული მაქვს, ჩემი ძმა, სალიჰი, როდის ჩამოვა და ყველაფერს გარკვევით როდის ამიხსნის.

აი, ბაირამიც მოვიდა!

დილით როგორც კი ავდექი, ყველა საუზმეზე ვნახე.
უცებ ვიფიქრე, ალბათ, მარხვა გარდაიცვალა.
ღამით ჩემი უფროსი ძმაც ჩამოსულა. სიხარულისგან ვიყვირე. ძალიან მოგვნატრებია ერთმანეთი. ყოველივე სრულად მოვუყევი ძამიკოს. დავინახე, თუ როგორ მიყურებდა სახეში და იღიმებოდა. მივხვდი, ძალიან კარგად მოვიქეცი, დაიკოს რომ არ ვკითხე. სადაც ჩემი ძმა იღიმის, იქ ჩემი და იხარხარებდა. ისე მოვიქეცი, თითქოს ძამიკოს გავებუტე, მან კი იმწამსვე ჩამიხუტა. მან ყველაფერი თავიდან ამიხსნა, ეხლა უკვე მე დავიწყე სიცილი. ძმისგან დაპირება მივიღე. არავის არ უნდა მოუყვეს, რაც ვილაპარაკეთ, მაგრამ ამის ჩაწერისათვის ნება მთხოვა, მეც დავთანხმდი.



აი, ასე შეიქმნა რამაზნის დღიური. ძამიკომ უცებ დღიურს სახელიც მოუძებნა: „ 5 წლის ბავშვისთვის დამახასიათებელი სინდრომი." სინდრომის მნიშვნელობა ვერ გავიგე. მაგრამ არა უშ-



ავს, ძამიკოს ვენდობი. მართალია, ჩემს დას რომ ვკითხო, 4 წლის ვარ, მაგრამ დედა ამბობს, რომ მე 5 წლის ვარ. მამა კი ამბობს, რომ ჯერ 4 წლის არ შევსრულებულვარ. ძამიკო კი ამბობს, რომ ამ საკითხში კომპეტენტური არ ვარ. ბაირამი ძალიან შემიყვარდა. მაგრამ რამაზნის წასვლაზე ძალიან ვწუხვარ, მგონია, რომ დაიკო ისევ გაბრაზებული იქნება. ჩვენთვის რომ სულ რამაზანი იყოს, რა კარგი იქნება!...

(“ბავშვის მიერ აღწერილი რამაზნის დღეები
ავტორი: საით ჩამლიჯა)

ე. როგორ შევაყვაროთ ბავშვებს მარხვა?

ღამით ახმედი ხმაურმა გააღვიძა, დედ-მამა საჭმელს მიირთმევდა, როცა მათთან ახმედი მივიდა:

ახმედი: “დედა, გათენდა?“

დედა: “არა, შვილო! საჰურის დროა. დღეს რამაზნის თვის პირველი ღამეა, მამაშენმა და მე უნდა ვიმარხოთ, ამიტომაც მივირთმევთ საჭმელს.

ახმედი: “ საჰური?“- გაიმეორა მძინარემ.

დედა: “კი, შვილო. მუსლიმები რამაზნის თვეში მარხულობენ. დილით საუზმესა და სადილს არ ჭამენ. ამიტომაც ღამით დგებიან და საჭურს მიირთმევენ.“

მამა: “შვილო, უზენაესი ალლაჰი ჩვენ დღეის ჩათვლით ერთი თვის განმავლობაში მარხვას გვიბრძანებს.“

ახმედი: “მარხვა? ეგ როგორია?“

მამა: “აი, ეხლა რომ ხედავ, ამ ჭამის შემდეგ საღამოს ეზნის კითხვამდე არაფერი არ უნდა ვჭამოთ, არ უნდა ვსვათ და სწორედ ამას, დღის განმავლობაში ჭამა-სმისგან თავის შეკავებას, ჰქვია მარხვა.“

ახმედი: “არაფერი არ უნდა ვჭამოთ? როცა მაგრად მოგშივდებათ, ცოტაც რომ ვჭამოთ, არ შეიძლება?“

მამა: “არ შეიძლება“- უპასუხა მამამ გადაწყვეტით.

ახმედი: “რატომ?“

მამა: “იმიტომ, რომ ალლაჰმა ჩვენ ასე გვიბრძანა, უფრო მეტიც, მარხვისას არც უწმაწური სიტყვების გამოყენება და ჩხუბი შეიძლება.

ახმედმა ინტერესით შეხედა მშობლებს თვალებში.

ახმედი: “რადგან ალლაჰს ჩვენგან ეს სურს, მეც მინდა მარხვა, შეიძლება მეც ვიმარხო?“

მამა: „ შვილო! ჯერ შენ პატარა ხარ, ჯერ ხუთი წლის ხარ. საღამომდე უჭმელობასა და უსმელობას ვერ გაუძლებ. თან რადგან პატარა ხარ წლოვანებით, ვალდებულიც არ ხარ, რომ იმარხო.



ახმედმა იყვირა:

“გავუძლებ! გთხოვთ, ნება მომეცით, ვიმარხო!.“

დედა: “თუ ეგრეა, მოდი, სუფრას მიუჯექი.“

ახმედმა ხელ-პირი დაიბანა, მიუჯდა საჭურის სუფრას და კარგად დანაყრდა.

ჭამის შემდეგ ახმედმა ისევ წამოწვა თავის საწოლზე და ღრმა ძილს მიეცა. სიზმარში სიღრმიდან ერთი ხმა მოესმა:

“ახმეეედ!“

ახმედმა მარჯვნივ და მარცხნივ მიმოიხედა, საიდან მოდიოდა ხმა, ვერ გაიგო. ხმამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ განმეორდა:

“ახმედ, არ შეგეშინდეს, მე შენი კუჭი ვარ, რასაც გეტყვი, კარგად მომისმინე!“

„კუჭი?“ - გაიმეორა ახმედმა. დაინტერსდა, თუ რას ეტყოდა კუჭი მას.

კუჭმა კი გააგრძელა:

“ახმედ, შენ დღეს დაიწყე მარხვა, ჩემთვის კი დიდი სიკეთე გააკეთე!“

ახმედი დაინტერესდა, ნეტა რა სიკეთე იყო ეს.

ახმედმა გაკვირვებული იკითხა: “რა არის ეს სიკეთე?“ კუჭმა უპასუხა: “მე მთელი წლის განმავლობაში შენგან სხვადასხვა კერძის ჭამით ძალიან ვიღლები და დასვენება მესაჭიროება. აი, დღეს შენი მარხვით ძალიან დიდი სიკეთე გამიკეთე. ასეთნაირად მე დავისვენებ და წლის განმავლობაში შენ საქმეებს ძალიან კარგად გავაკეთებ და თან ჯანმრთელი ვიქნები“.

ახმედი განცვიფრებულია იმით, რაც გაიგო. როცა გაიღვიძა, ჩაილაპარაკა: „რაოდენ კარგი ყოფილა მარხვა. თან ალლაჰის ნაბრძანებს ვასრულებთ, თან კუჭსაც ვასვენებთ და ჯამრთელები ვხვდებით. ამის შემდეგ მეც აუცილებლად უნდა ვიმარხო, მარხვა რა კარგი ღვთისმსახურება ყოფილა“. მართლაც მას, ამის შემდეგ, მარხვა არ ჩაუგდია. დედ-მამა კი გაკვირვებით ადევნებდა თვალყურს, თუ როგორი მოთმინებით მარხულობდა ახმედი და ამით ძალიან კმაყოფილები დარჩნენ.





ვ. სამარხვო თამაში

მარხვის დღეებში ბაღის ბავშვებს ერთი დღით ადრე განუცხადეთ: “ბაშვებო! ხვალ ძალიან კარგ თამაშს ვითამაშებთ. ამიტომაც ხვალ დილით არაფერი არ ჭამოთ და ისე მოდით ბაღში.“ მეორე დღეს კი, ჭამამდე, მარხვის, შიმშილის, მადლიერების, მოთმინების შესახებ ესაუბრეთ და ბავშვებს მარხვისა და მისგან მიღებული ემოციების დასახატავად ფურცლები დაურიგეთ. შემდგომ კი 11:00-12:00 საათზე პირი გაახსნევინეთ. ბოლოს ერთად ილოცეთ, რათა ალლაჰმა მიიღოს ეს ღვთისმსახურება.

3. ზექათის სწავლება

ა. განსახილველი საკითხები

უპირველეს ყოვლისა, ბავშვებს როცა ვაჩვევთ ზექათისა და სადაყის გადახდას, ეს მათთვის უსიამოვნო და მტკივნეული პროცესი არ უნდა იყოს.

2-4 წლის ასაკი: ბავშვებს ამ პერიოდში გაცემა, გაზიარება არ მოსწონთ, ამიტომ კი არ უნდა დავაძალოთ, არამედ ისინი უნდა წავახალისოთ, გაზიარება უნდა შევაყვაროთ, გაცემისთვისაც უნდა მოვამზადოთ და გვერდში ამოვუდგეთ. ბავშვებს მიბაძვა უყვართ, თუ ვინმე მათი თანდასწრებით სხვას რაიმეს მისცემს, ან გაუყოფს, ისინიც უფრო ადვილად მისცემენ სხვას. ამიტომაც საჭიროა, რომ ბავშვებისთვის მაგალითის მიმცემი ვიყოთ წყალობის გაცემაში.

თუ ბავშვს ბისკვიტის გაყოფა არ სურს, მაშინ ერთი შეკვრა კიდევ იყიდე და იქ მყოფებს დაუნაწილე. ან კიდევ დაძალების გარეშე თხოვნით მიდი, რომ ბისკვიტი დაუნაწილოს სხვებს და დაანახოს ყველას, თუ რამდენად ხელგაშლილი ბავშვია. ასეთნაირად, დაძალების გარეშე, გაცემაზე წახალისდება.

5-6 ასაკი: თანაგრძნობის უნარის ჩამოსაყალიბებლად ბავშვს სჭირდება დახმარება, რომ თავისი თავი სხვის ადგილას იოლად წარმოიდგინოს.

ბავშვს დაჟინებულად თუ არ უნდა გაყოფა, შეიძლება რაღაც-რაღაცები შევუზღუდოთ. მაგალითად: სახლში მოგვივიდა სტუმარი, მაგრამ ჩვენ ბავშვს მოსული სტუმრის ბავშვთან ერთად სათამაშოთი თამაში არ სურს. ამ შემთხვევაში როცა ჩვენთან მოსულ სტუმართან სტუმრად მივალთ, მასპინძლის ბავშვს ვთხოვოთ, თავისი სათამაშოებით ჩვენი ბავშვის თვალწინ მარტომ ითამაშოს, რის შემდეგაც გული დასწყდება და თავის ადრინდელ საქციელზე დაფიქრდება.



4. ჰაჯობის ღვთისმსახურების სწავლება.

ჰაჯობის ღვთისმსახურება შეიძლება თეატრალურად ვასწავლოთ ბავშვებს;

ბავშვებს თეთრი ტანსაცმელი ჩავაცვათ; ბიჭებს პერანგი და შარვალი ჩავაცვათ და თეთრი ქუდი დავახუროთ, ხოლო გოგონებს კი — კაბა და თეთრი თავსაფარი.

ბავშვებს მომზადებული თვითმფრინავის ბილეთები დადგმის დაწყებამდე „ბისმილის“ სანაცვლოდ მივსცეთ. სკამები თვითმფრინავის სავარძლების მსგავსად დავაწყოთ. ერთი ბავშვი ბილეთების კონტროლიორი იქნება და მგზავრებისგან ბილეთებს აკრეფს. ასე დაიწყება მოგზაურობა. მთელი გზის განმავლობაში პედაგოგი მგზავრებს ჰაჯობის ვალდებულებებს აუხსნის. მექას, ქააბას, თავაფსა და ჰაჯობის სხვა მცნებებს პედაგოგი ვიზუალური თვალსაჩინოებებით, ფოტოებითა და სურათებით აუხსნის და განუმარტავს.

ქააბა მუსლიმების ყიბლეა ის ქალაქ მექაში მდებარეობს. პირველი მესჯიდი დედამიწაზე ქააბაა. იგი კუბის მსგავსია და ზედ შავი საფარი აქვს. ქააბასთან ახლოს ზემზემის ჭა მდებარეობს. ქააბაში ჩასული ჰაჯები წყალს ამ ჭიდან ამოტუმბული წყლით სარგებლობენ, ხოლო სამშობლოში დაბრუნებისას საყვარელი ადამიანებისთვის თან მიაქვთ.

ყოველ წელიწადს მსოფლიოს ყველა კუთხიდან მილიონობით მუსლიმი ჩადის ქააბაში. იქ იკრიბებიან და ყველა ერთად ვედრებას აღავლენს.

ქააბაში ჩასული მუსლიმები ქააბის **„ტავაფს“** ასრულებენ. ქააბის ირგვლივ შვიდჯერ შემოვლას ტავაფი ჰქვია.

თემის ირგვლივ საუბრის დასრულების შემდეგ მგზავრობაც დასრულდება. ბავშვებისგან მოვითხოვთ, რომ თვითმფრინავიდან რიგის მიხედვით, ორ-ორად ჩამოვიდნენ.

თავდაპირველად, ქააბას მაკეტის ირგვლივ ტავაფი შესრულდება (მაკეტი თუ არაა, კუბურ მაგიდაზე შავი საფარი გადაიფარება და ყვითელი ლენტი შემოიკვრება). ტავაფის დროს **“ლებბეიქ ალლაჰუმმე ლებბეიქ“** ვამბობთ და ბავშვებსაც ვამეორებინებთ.



ტავაფის დასრულების შემდეგ, მანამდე მომზადებულ ზემზემის წყალს დალევენ. შემდეგ უკან დაბრუნებისთვის ისევ დასხდებიან თვითმფრინავის სავარძლებზე, ანუ სკამებზე. ბავშვებს ჰაჯობის პერიოდში რა გრძნობებიც დაეუფლათ, ერთმანეთს მოუყვებიან.

ზნეობრივი ფასეულებები

1. სკოლამდელი პერიოდის ბავშვთა ფიზიკური უნარ-ჩვევები და სოციალური განვითარების თავისებურებები

5 წლის ასაკის ბავშვების

მოხერხებულობა	სოციალური განვითარება
1. ტანსაცმლის, რომელსაც ღილები არ გააჩნია, დამოუკიდებლად ჩაცმას შეძლებენ. 2. სხვათა დახმარებით თმას დაივარცხნის. 3. ტანსაცმელზე დიდრონ ღილებს შეიხსნის და შეიღილავს. 4. ხელებს დაიბანს. 5. კბილებს გაიწმენდს. 6. თეფშებს, სალფეთქებს, კოვზებსა და ჩანგლებს მითითებით სწორად დაალაგებს და სუფრის გაშლაში დაგეხმარებათ. 7. თავისი სიმაღლის მიხედვით ჩამოსაკიდზე კოსტუმს, ან კიდევ ქურთუკს დაკიდებს. 8. მაგიდაზე თავის დაბინძურებულ ადგილს დაასუფთავებს. 9. ღამით, როდესაც დასჭირდება, გაიღვიძებს და ტუალეტში გავა. 10. ცხვირსახოცით ცხვირს მოიწმენდს. 11. საყოფაცხოვრებო საქმეებში დახმარებას შეძლებს. 12. თავის ნივთებს დაალაგებს. 13. დახმარებით დანას გამოიყენებს.	1. მოზარდების ლაპარაკში მონაწილეობას მიიღებს. 2. აღებულ ვალდებულებებს შეასრულებს. 3. თავაზიანობის წესებს დაიცავს. 4. უმცროსების მიმართ პატივისცემასა და ყურადღებას გამოიჩენს. 5. სხვას სათამაშოებს გაუყოფს. 6. მოზარდების გუნდურ თამაშებში ჩაერთვება. 7. უცხო ბავშვებთან ითამაშებს. 8. მარტივი თამაშის წესებს გამოიყენებს. თავის რიგს დაელოდება, უფლებებს დაიცავს. 9. შექება ესიამოვნება, უნდა, რომ გაკეთებული საქმე ყველასათვის მოსაწონი იყოს. 10. შეკითხვებს შესაბამის პასუხს გასცემს. სახელი, გვარი და ასაკი იცის. 11. თავის გრძნობებს გამოხატავს. 12. რაიმე პრობლემის არსებობის შემთხვევაში დახმარებას ითხოვს. 13. სუფრასთან ჯდომის წესებს დაიცავს. 14. საზოგადოებაში ისე მოიქცევა, როგორსაც მოვითხოვთ მისგან.

6 წლის ასაკის ბავშვთა

მოხერხებულობა	სოციალური განვითარება
1. ხელ-პირს დაიბანს და შეიმშრალებს.	1. საზოგადოებაში ისე მოიქცევა, როგორსაც მოვითხოვთ მისგან.
2. თავისით ჩაიცვამს და გაიხდის.	2. გაბრაზებას, ბედნიერებას, სიყვარულსა და სხვა მსგავს გრძნობებს გამოხატავს.
3. ტანსაცმლის ღილებს შეიკრავს და გაიხსნის.	3. სხვის გრძნობებს გაიგებს.
4. ჭამისას დანა-ჩანგალს გამოიყენებს.	4. თამაშს, რომელსაც წესები აქვს, წესების დაცვით ითამაშებს.
5. კბილებს გაიწმენდს.	5. სხვებსაც თამაშის წესებს აუხსნის.
6. თმას დაივარცხნის.	6. პასუხისმგებლობას აიღებს და ქცევების წესებს შესაბამისად გვიჩვენებს.
7. დანით რბილ მასალას დაჭრის.	7. თავდაჯერებულობა მოემატება.
8. დანით პურზე რბილ საკვებ ნივთიერებას წაუსვამს.	8. ახალსა და შეუჩვეველ მდგომარეობებს შეეგუება.
9. ფეხსაცმელებს შეიკრავს.	9. მეგობრებს თვითონ შეარჩევს.
10. თეფშზე საჭმელს გადაიღებს.	10. დროის, მდებარეობისა და დეტალების შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, რეალობასთან მიახლოებულ დრამატულ თამაშებს ითამაშებს.
11. არსებული სიტუაციისა და ამინდის შესაბამისად ტანსაცმელს შეარჩევს.	11. შეკითხვის შემთხვევაში ოჯახის შესახებ ინფორმაციას გასცემს.
12. ტუალეტში თვითონ ივლის.	12. შეკითხვის შემთხვევაში მისამართსა და ტელეფონის ნომერს იტყვის.
	13. თანამშრომლობაზე დაფუძნებულ თამაშებში მონაწილეობას მიიღებს.
	14. თავისი თავის წარმოსაჩენად თავისებურ გზებს გამოიყენებს.
	15. სურვილების დასაკმაყოფილებლად იბრძოლებს.

2. ზნეობრივი ფასეულობების შესწავლის მნიშვნელობა


ზნეობა ადამიანს მიზანმიმართულად, თავისი სურვილით, კარგ ქმედებებისკენ უბიძგებს, ცუდი საქციელისგან კი თავს შეაკავებინებს. ზნეობა ნებისმიერ საზოგადოებაში ადამიანთა მიერ აუცილებლად შესასრულებელი დადებითი ქცევების ერთობლიობაა.

ადამიანისთვის სწავლა დაბადებიდანვე იწყება და სიკვდილამდე გრძელდება. ზნეობის სწავლებაც ანალოგიურია. ყურანში უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: **“და ალლაჰმა გამოგიყვანათ თქვენი დედების მუცლებიდან, როცა არაფერს უწყოდით...“** *(სურა ნაჰლი, აიათი 78)*

ალლაჰი გვამცნობს, რომ ადამიანს სწავლა და ზრდილობა აუცილებლად ესაჭიროება.

ადამიანი სხვა დანარჩენი გაჩენილებისგან ზრდილობის საჭიროების აუცილებლობით განსხვავდება. მაგალითად: ცხოველები გაჩენიდან მალევე არსებულ პირობებს ეგუებიან და დამოუკიდებლად ცხოვრებას იწყებენ, ადამიანებს კი მხოლოდ სამი-ოთხწლიანი დახმარების შემდეგ შეუძლიათ თავიანთი საჭიროებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება. თავისი თავის სრულად, დამოუკიდებლად მართვას კი თხუტმეტი წლის შემდეგ იწყებს. ამიტომაც საჭიროებს ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში სწავლებას.

როგორი უნდა იყოს ზრდილობა? ამას წმინდა შუამავალი (ს.ა.ვ.) გვასწავლის. თუ გვინდა, რომ ჩვენი შვილები ამქვეყნადაც და საიქიოშიც ბედნიერები იყვნენ, სიკეთით უნდა აღვზარდოთ. “ბავშვის კეთილად აღზრდის გზა იმ პრინციპებზე გადის, რომელიც მას დაბადების მომენტიდან თან დაჰყვება. ეს კი ბავშვში არსებული სუფთა ბუნება, თანდაყოლილი სიწმინდე, საუკეთესო ზნეობა და სულის სიფაქიზეა. ეს პრინციპები ისლამში საფუძვლიანად არის შესწავლილი. ყურანი და სუნნეთი ერთად ადამიანის სრულყოფილებამდე ამაღლების სწავლებაა. ამიტომაც, მშობლების მოვალეობებისგან ერთ-ერთი ბავშვისთვის ყურანის სწავლებაა.



ისლამის სამყაროს დიდი სოციოლოგი, იბნი ჰალდუნი, ბავშვებში ყურანის სწავლების შესახებ შემდეგს ამბობს:



“ბავშვებისთვის ყურანის კითხვის სწავლება რწმენის განმტკიცების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მუსლიმებს ამ პრინციპით ყველგან ერთნაირი ფორმით უსწავლებიათ ყურანი, რადგანაც ყურანის აიათებსა და შუამავლის სუნნეთზეა დაფუძნებული ისლამის რწმენა. სწორედ, ამიტომ გახდა თავის დროზე ყურანი ისლამის სწავლების საფუძველი და შემდგომშიც მუსლიმთა სარწმუნეობრივი უნარებ-ჩვევები, ძირითადად, ამ პრინციპებით ჩამოყალიბებულა“*(იბნი ჰალდუნი, მუყადდიმე, 1295).*

ისლამი სხვისი მოიმედე არ არის ბავშვთა აღზრდის საკითხში, იგი ოჯახში რელიგიური და ზნეობრივი პრინციპების სწავლებას ისახავს მიზნად და რელიგიური ჭეშმარიტების დამკვიდრებას ცდილობს. ბავშვების არიდება ცუდი ქცევებისგან და კარგი, სასიკეთო საქმეებისკენ სწრაფვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პატარაობიდანვე მათ სულებში ჩვენი რწმენის ზნეობას ჩავნერგავთ, რისი შედეგიც იქნება ხასიათის ისეთი საუკეთესო უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება, როგორიცაა: სამართლიანობა, ხელგაშლილობა, პატიოსნება, მოკრძალება, მოთმინება, მადლიერება, ზომიერება და ქველმოქმედება. ხოლო რაც შეეხება სისასტიკეს, ტყუილს, დაცინვას, ქედმაღლობას, ცილისწამებას, შურს და სხვა მსგავს ცუდ ქმედებებს, ისინი მორწმუნე ბავშვის სულში ვერ შეაღწევს.

როგორც ვხედავთ, ბავშვის ზნეობის ჩამოყალიბებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის რწმენა, ზრდილობა და ძლიერი სულიერი გრძნობა. ასე აღზრდილი ბავშვი ამქვეყნიურ და საიქიო ბედნიერებას მიიღებს.

საზოგადოების ამგვარად აღზრდისათვის, პირველ რიგში, უნდა გავითავისოთ, რომ ბავშვები ჩვენზე მობარებული ღვთიური ამანათები და ჩვენი შთამომავლები არიან. ახლად დაბადებული ბავშვების გულებში პირველი, ბედნიერი ჰარმონია, ოჯახის სიმშვიდის მიმცემი ხმებით იწყება.

ეს აზრი ერთი დიდებული ჰადისითაცაა გადმოცემული, რომლის მიხედვით ბავშვი არის “სამოთხის ყვავილი“, “გულის ნაყოფი“, “ღვთიური წყალობა“.

აქედან გამომდინარე, ბავშვები უზენაესი ალლაჰის ყველაზე დიდი სიკეთე და წყალობა არიან. მათი ღიმილით მიღებული სიამოვნება სამოთხის ნაპერწკლებს ჰგავს. დედის ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე და უპირველესი ვალი საზოგადოების წინაშე მაღალი ზნეობის მა-

ტარებელი ღირსეული შვილის აღზრდაა. დედის გული ბავშვისთვის ცოდნისა და ზნეობის შეძენის პირველი წყაროა. კარგად აღზრდილი და მორწმუნე ბავშვები იმქვეყნად, ჯოჯოხეთის ცეცხლთან მშობლებს ფარად დაუდგებიან.

ოჯახების მოვალეობებში ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე ისლამის რწმენის სიყვარულით პატარების აღზრდაა. მშობლების ყველაზე საპასუხისმგებლო საქმე მორწმუნე, ერთგული და პატრიოტი შვილების აღზრდაა. პატარა ოჯახის ბედნიერების ნაყოფია, ის დედ-მამის ერთმანეთთან დამაკავშირებელი მტკიცე ჯაჭვია, ის ალლაჰის მიერ მშობლებისთვის ბოძებული უძვირფასესი ამანათია.

შუამავალს (ს.ა.ვ) ერთ-ერთ ჰადისში ადამიანების მოვალეობები ასე აქვს ჩამოყალიბებული:

“ყველანი მწყემსები ვართ და ყველა თავის სამწყემსოზეა პასუხისმგებელი... მამაკაცი ოჯახის მწყემსია და იგი ამ სამწყემსოზე პასუხისმგებელია. ქალი მამაკაცის ოჯახის მწყემსია და მასთან ერთად სამწყემსოზე პასუხისმგებელია ისიც.“ *(ბუხარი, ვესაიე, 9; მუსლიმი, იმარე, 20)*

ქვემოთ მოცემულ აიათში კი მსგავსი აზრი შემდეგნაირად არის გადმოცემული:

“ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაიცავით თქვენი სულნი და თქვენი ოჯახი ცეცხლისგან, რომლის საწვავი ადამიანები და ქვებია...“
(სურა თაჰრიმი, აიათი, 6)

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ვ) ზემოთხსენებულ აიათზე შემდეგ განმარტებას აკეთებს:

“მათ, ალლაჰის მიერ თქვენზე აკრძალულებს მოარიდებთ და ნაბრძანებისკენ კი უბიძგებთ. აი ეს, მათი ჯოჯოხეთისგან დაცვაა.“ (ალუსი. XXVIII, 156)



ბავშვის აღზრდა, პირველ რიგში, დედ-მამის წრფელი სიყვარულით იწყება. დედ-მამას ბავშვი ისე უნდა უყვარდეს, როგორც უზენაესი ალლაჰის ამანათი. ეს სიყვარული კი მათი და ბავშვების ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერების მოპოვების საშუალებად უნდა გამოიყენონ.

ბავშვის აღზრდა მშობლების ზნეობით იწყება. ბავშვებს სპეტაკი ზნეობა მაშინ უყალიბდებათ, როცა მათ ჩამოყალიბებული

კეთილი ზნეობისა და მტკიცე მორალის მქონე მშობლები და სახელოვანი აღმზრდელები ასწავლიან.

ამიტომ მშობლებმა და პედაგოგებმა

- ბავშვებს ყოველთვის კარგი საქციელი უნდა აჩვენონ, ვინაიდან ბავშვები თუ კამათსა და ჩხუბში არიან გაზრდილები, უზრდელები და უზნეოები იქნებიან ხოლო, თუ მშვიდ და თბილ გარემოში იზრდებიან, კარგი ხასიათის იქნებიან და გარემოებებს ადვილად შეეგუებიან.
- ბავშვები კარგი ქცევებისთვის უნდა შეაქოთ და დააჯილდოვოთ, კარგი ჩვევები წახალისებით უნდა გაამყაროთ, ხოლო შეცდომები ხშირად არ უნდა დაინახოთ და მათ შეცდომებს იგნორირება გაუკეთოთ. აქვე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ "გაუფრთხილებელი შეცდომები" განმეორების შემთხვევაში ბავშვში მტკიცდება და ზნეობას ასუსტებს.
- ბავშვები ხშირად დასჯას არ უნდა მივაჩვიოთ, არ უნდა გავლანძღოთ თუ შემთხვევით ჭიქა, ან თეფში გატეხეს, რადგან ამ მომენტში ბავშვი უმწეობას განიცდის. ასეთი შემთხვევები ხომ უფროსებშიც შემთხვევითია.
- ბავშვების ქცევებსა და ზნეობაში დაშვებული შეცდომები უყურადღებოდ და რეაგირების გარეშე არ უნდა დავტოვოთ და შევეცადოთ, რომ მას ეს შეცდომა გამოვასწორებინოთ, მაგრამ არა დასჯითა და აკრძალვით, რადგან ბავშვისთვის რაიმეს აკრძალვა შეცდომის გამოსწორების მიზნით არაეფექტური მეთოდია, ბავშვს კი არ უნდა ავუკრძალოთ, არამედ კარგად ავუხსნათ, თუ რატომ არ უნდა გაიმეოროს არასასურველი ქცევა. თუ ბავშვს ვასწავლით, რომ თავის შეცდომებსა და დანაშაულზე თვითონ აიღოს პასუხისმგებლობა, მივაღწევთ იმას, რომ მას ჩამოუყალიბდება თვითკრიტიკისა და თვითგანსჯის უნარი.
- ბავშვებს დასაშვები ნორმის ფარგლებში თავისუფალი ბავშვური ცხოვრების შესაძლებლობა უნდა მიეცეთ. მაგრამ არც ზედმეტი თავისუფლება და არც გადამეტებული ზეწოლა არ არის მიზანშეწონილი.
- ბავშვებს ხშირად შევახსენოთ უზენაესი ალლაჰის უსაზღვრო წყალობა და მადლიერების გამოხატვას შევაჩვიოთ. შუამავლის (ს.ა.ვ.) ცხოვრებიდან მაგალითები მოვუყვანოთ და მათი სულიერების გასამდიდრებლად ვიზრუნოთ.

ერთი სიტყვით, თუ გვინდა რომ ბავშვი უნაკლო იყოს, უნაკლო დედ-მამობა და უნაკლო პედაგოგობა უნდა გავუწიოთ.

წერილი დედ-მამას შვილისაგან

საყვარელო დედიკო და მამიკო!

რომ შემძლებოდა ყველა გრძნობისა და სურვილის გადმოცემა თქვენთვის, აი, ამ სიტყვების თქმას ვისურვებდი.

მე გამუდმებით ვიზრდები და ვვითარდები. მართალია, თქვენი შვილი ვარ, მაინც თქვენგან განსხვავებულ ინდივიდად ვყალიბდები. გთხოვთ, შეეცადოთ გამიგოთ და შემიცნოთ. გამოცდილებით ვსწავლობ ბევრ რამეს, ამიტომაც შეიძლება, გაგიძნელდეთ ჩემი დაყოლიება. ყველგან და ყოველთვის ნუ დამიცავთ და ნუ დამეხმარებით. ნება მომეცით, ჩემი საქმე მე თვითონ ვაკეთო. სხვანაირად როგორ უნდა მივხვდე, რომ უკვე დიდი ვარ. ნუ გამათამამებთ, თორემ სულ ბავშვად ყოფნის სურვილი მექნება. ნურც იმაზე უფრო დიდად მიმიჩნევთ, ვიდრე ვარ, რადგან ასე შეიძლება, ისეთი რამ გავაკეთო, რაც თქვენ სასოწარკვეთილებაში ჩაგაგდებთ. ასე საკუთარი თავისადმი ნდობასაც დავკარგავ. ვიცი, რაც მსურს, ყველაფერს ვერ ჩავიგდებ ხელში, თუმცა, რასაც მაძლევთ, მასზე უარს ვერ ვამბობ. რამდენადაც მეტს მომცემთ, იმდენად უფრო მეტს მოვითხოვ. ნამოქმედარი არა ფულითა და საჩუქრებით, არამედ სიტყვით დამიფასეთ!

ნურც შეუძლებელ რამეს დამპირდებით, რადგან დანაპირებს თუ ვერ შემისრულებთ, თქვენდამი ნდობა შემისუსტდება. ყოველთვის მტკიცედ და რეალურად მომექცით. როცა შემამჩნევთ, რომ სწორ გზას ვსცდები, საზღვრები დამიწესეთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ უფრო მეტად არა თქვენი რჩევა-დარიგებების, არამედ ქცევების ზეგავლენის ქვეშ ვექცევი. მე „ფოტოკამერა“ ვარ, როგორც ის, მეც მოვლენებს უმალ აღვიბეჭდავ ხოლმე გონებაში. ხოლო შემდეგ, როცა იმ სურათებს გაჩვენებთ და არ მოგეწონებათ, მე ნუ დამადანაშაულებთ, ეს თქვენი, უფროსების ბრალია. თუკი თქვენ შორის სიყვარულისა და პატივისცემის სიმცირეს დავინახავ, ეს ზიანს მომაყენებს და ყოველთვის შფოთვაში მამყოფებს.

ბევრს ნუ ილაპარაკებთ და ნუ იყვირებთ, ხმამაღალ ნათქვამზე უფრო მეტად შთამბეჭდავ კვალს ტკბილი და თბილი სიტყვებით დატოვებთ. ჩემს პატარა შეცოდებებს ნუ გააზვიადებთ და თავს ნუ მომაბეზრებთ. დაშინებებითა და მარცხით დამნაშავის სინდრომს ნუ ჩამომიყალიბებთ. სანამ დამსჯიდეთ, მომისმინეთ. ჩემთვის სწავლის საუკეთესო წუთები ის არის, როდესაც გეკითხებით. პასუხები მოკლე და კონკრეტული იყოს. მაგრძნობინეთ, რომ მენდობით, ამას თუ არ გააკეთებთ, გარჯა დამიფასეთ და მხარი დამიჭირეთ.

სხვებს ნუ შემადარებთ. ჩემგან იმაზე მეტს ნუ დაელოდებით, ვიდრე ვარ. ნუ შეეცდებით, ყველა წესი უცებ შემასწავლოთ, ამისთვის დრო მომეცით. გაბრაზების დროს, შესაძლოა, მართლები იყოთ, მაგრამ ნუ დამამცირებთ. ძალიან გთხოვთ, სხვების წინაშე ღირსებას ნუ შემილახავთ.

თუკი უსამართლოდ მომექცევით, ამის აღიარებას თავს ნუ აარიდებთ. ბოდიშის მოხდა თქვენდამი სიყვარულს არ შეამცირებს, პირიქით, თქვენთან უფრო დამაახლოებს. თავს ისე ნუ მომაჩვენებთ, რომ თითქოს მიუწვდომელნი და უშეცდომონი ხართ, ვინაიდან შემდეგში თქვენს შეცდომას რომ დავინახავ, ძალიან დიდ ტკივილს ვიგრძობ.

იქნებ ზოგჯერ გაწყენინოთ, იმედი გაგიცრუოთ, მაგრამ როგორიც ვარ, ისეთი შემიყვარეთ. თუ არ ისურვებთ, რომ სანიმუშო შვილი გყავდეთ, არც მე ვისურვებ, რომ უნაკლო მშობლები მყავდეს. ჩემთვის საკმარისია, გიყვარდეთ და გამიგოთ.

ჩემი ნება არ იყო, რომ თქვენს შვილად დავბადებულიყავი, თუმცა არჩევანის უფლება რომ მქონოდა, მშობლად თქვენ გარდა სხვას არ ავირჩევდი.

პატივისცემით.

თქვენი შვილი.“

ამ კონტექსტის მიხედვით, განათლების ფასეულობები სკოლამდელი ასაკის ბავშვებს რომ გადავსცეთ, ამისათვის მშობლებსა და პედაგოგებს სამი ძირითადი მოვალეობა ეკისრებათ:

პირველი; თუ ბავშვში ფასეულობებისა და ღირებულებების ჩანერგვა გვინდა, მას ეს საუკეთესოდ უნდა ვაჩვენოთ.

მეორე; ბავშვისთვის ზემოთ ხსენებული ფასეულობების პრაქტიკაში დასანერგად ხელსაყრელი გარემოების შექმნაა საჭირო.

მესამე; ერთობლივად დაგეგმვა და ცხოვრება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაა.

ამ წიგნში მოცემულია პედაგოგების ზოგადი დასკვნების შესაბამისად სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის საჭირო ფასეულობები: პასუხისმგებლობა, ქველმოქმედება, სამართლიანობა, მოთმინება და პატივისცემა.

ა. პასუხისმგებლობა

რა არის პასუხისმგებლობა?

პასუხისმებლობა პიროვნების მიერ საკუთარი ქცევებისა და ქმედებების შედეგების თავზე აღებაა, თავის ირგვლივ მყოფების სასარგებლოდ გარჯაა.

ოჯახს, რომელსაც ბავშვის აღზრდა აქვს დაკისრებული, ბავშვის გაზრდას არ უნდა დაელოდოს. პატარაობიდანვე ბავშვს ზოგი საპასუხისმგებლო საქმე უნდა დააკისროთ, რადგან მან იგრძნოს, რომ რაღაცების კეთება შეუძლია.

თუ ბავშვს არ მიეცემა საპასუხისმგებლო საქმე, მისი ნდობა საკუთარი თავის მიმართ ნელ-ნელა შესუსტდება. საინტერესო ის არის, რომ ზოგჯერ მშობლები საპასუხისმგებლო საქმეს არ აძლევენ ბავშვს, ხოლო როცა წამოიზრდება ბავშვი და პასუხისმგებლობას არ აიღებს, რეაგირებას მხოლოდ მაშინ იწყებენ. თუ ოჯახი გარკვეულ ასაკამდე ბავშვს არანაირ პასუხისმგებლობას არ აკისრებს, ბავშვს პასუხისმგებლობის უნარი ვერ ჩამოუყალიბდება და, ბუნებრივია, ცხოვრებაში ფეხზე მყარად დგომა გაუჭირდება.

პასუხისმგებლობის ფასეულობების შეძენა სხვადასხვა პროგრამებით შეიძლება, რომელთა კონცეფციის შემუშავებაში ოჯახი აუცილებლად უნდა ჩაერთოს..

ბავშვში პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება



აჰმედის პასუხისმგებლობები

შვიდი წლის აჰმედი დედისგან დავალებული საქმის ნაცვლად სხვა რამით ერთობოდა; საწოლის გასწორების ნაცვლად დაფის ნაჭრებისგან თვითმფრინავს აკეთებდა, ნაგვის გარეთ გატანის ნაცვლად ტელევიზორს უყურებდა, ტანსაცმლის კალათში ჩაყრის ნაცვლად ფანჯრის მინასთან ბუზებზე ნადირობდა.

დედა აჰმედს წყრომით მიმართავდა: „აჰმედ, დილით სკოლაში წასვლამდე საწოლი არ გაგისწორებია, შენ რამდენჯერ უნდა გითხრა, საწოლი გაასწორე!“ აჰმედი კი აუღელვებლად პასუხობდა: “რა ვიცი, აბა?“

არადა ამ საზიზღარი პრობლემის წარმოშობის მიზეზი რა იყო, იგი ვერაფრით ვერ ხვდებოდა. ყოველ შემთხვევაში, საღამოს საწოლში ისევ ხომ უნდა დაწოლილიყო. აქედან გამომდინარე საწოლის გასწორების მნიშვნელობა რა იყო?

ბოლოს და ბოლოს აჰმედის მშობლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ბავშვს პასუხისმგებლობისგან თავის არიდების შესახებ ესაუბრონ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ახმედს 7 წლის ბავშვის გასაკეთებელზე მეტ საპასუხისმგებლო საქმეს არ აძლევდნენ. როცა დასხდნენ მოსალაპარაკებლად, დაკვირვებით ჩამოწერეს სია, თუ რისი გაკეთება შეეძლო აჰმედს.

მეორე დღეს კი სია აჰმედს აჩვენეს. აჰმედს უთხრეს, რომ ეს სია იმიტომ დაიწერა, რომ შენ შენი გასაკეთებელი საქმეები შეგახსენოს. შენი გასაკეთებელი საქმეების გაიოლებისთვის ერთი მეთოდი შევიმუშავეთ: რა საქმესაც გააკეთებ, ის უნდა აღნიშნო, დამთავრების შემდეგ კი მოხვიდე და რომელიმეს უნდა გვაჩვენო. სკოლიდან მოსვლის შემდე თუ გინდა რომ მეგობრებთან ითამაშო, ფილმს უყურო, ან კიდევ რომელიმე შენი სასურველი საქმე გააკეთო, საჭიროა, მანამდე აქ ჩამოწერილი ვალდებულებები შეასრულო.

აჰმდემა იმ წამსვე მშობლები დატოვა და ორი საათის განმავლობაში ოთახში ჩაიკეტა. ზოგჯერ კარებს გახსნიდა და მშობლების მისმართით რაღაც სიტყვებს ჩაიბუტბუტებდა, შემდეგ კი ისევ ჩაიკეტებოდა. მაგრამ მშობლები მშვიდად იყვნენ და სიმტკიცეს ინარჩუნებდნენ. შემდეგ აჰმედმა ნელ-ნელა თავისი პასუხისმგებლობის შესრულება დაიწყო, თან ამ ყველაფერს უკვე მონდომებით აკეთებდა, ვინაიდან თავის ვალდებულებებს რომ მორჩებოდა, შემდეგ თავის სურვილებისამებრ იმოქმედებდა. ეს კი მისთვის ჯილდოს მსგავსი იყო. ამით მშობლებიც ძალიან გახარებულები იყვნენ. მათ როგორც მოილაპარაკეს, იმის მიხედვით იმოქმედეს და უკან არც კი დაუხევიათ, ბავშვის რეაქციას ყურადღება არ მიაქციეს და ამით აჰმედმაც შეძლო ის, რომ თავისი ვალდებულებები დამოუკიდებლად გაითავისა და შეასრულა.



უპასუხისმგებლონი რომ არ იყვნენ!



სამართლიანი მშობლები და პედაგოგები

- ბავშვის პასუხისმგებლობას ასაკის შესაბამისი საზღვრები უნდა დაუწესოთ.
- ბავშვმა უნდა გაიგოს პასუხისმგებლობის მნიშვნელობა და ის, რომ ამით მისი საქმეების გაიოლებაა შესაძლებელი, რის შემდეგაც პასუხისმგებლობის თავზე აღებას თვითონ მოინდომებს.
- ბავშვი რომ იყოს მოწესრიგებული, ამის კარგი მაგალითი უფროსებმა უნდა უჩვენონ.
- სხეულის ჰიგიენისთვის, ტანსაცმლისა და ნივთების სისუფთავისთვის ბავშვი უნდა შეაქოთ და დააჯილდოვოთ.
- ბავშვის ნივთები სუფთად უნდა შეინახოთ და ბავშვისგანაც სისუფთავის დაცვა მოითხოვოთ.
- ბავშვისთვის ის სია უნდა მოამზადოთ,რომელშიც იქნება ჩამოთვლილი მისი ვალდებულებები, რომელთა გაკეთება ბავშვმა იცის და შეუძლია.

(ბავშვებმა, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან, შეიძლება სურათებით მიანიშნოთ)

- როცა ამ ვალდებულებებს შეასრულებს ბავშვი, უნდა შეაქოთ.

რა უნდა გავაკეთოთ პასუხისმგებლობის მქონე ბავშვების აღზრდისათვის?

- ბავშვის მიმოფანტული სათამაშოების შესანახად ერთი ყუთი უნდა შევიძინოთ. დღის ბოლოს, ან კვირის ბოლოს უნდა მიეცეს ბავშვს დრო, რომ სათამაშოები ყუთში შეაგროვოს.
- დაუწესდეს სისუფთავის ნორმები და ამ ნორმებს სიფრთხილით თვალყური უნდა ადევნოთ.
- ბავშვებს მარტო ისეთი წესები არ უნდა დაუწესოთ, რომლებსაც არ ასრულებს, არამედ ისეთებიც, რომლებსაც ასრულებს.
- როცა ბავშვი აშავებს რაიმეს, ბავშვი კი არა, მისი ქმედებები განსაჯეთ. მაგ: “შენ ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ირგვლივ რომ ყველაფერს აბნევ, არ მომწონს.“
- ბავშვი როცა მორჩება ვალდებულებებს, დააჯილდოვეთ.

როცა გააკეთებთ სურათებიან ცხრილს, რომელშიც ვალდებულებები იქნება ჩამოწერილი, ბავშვისთვის შესამჩნევ ადგილზე დაკიდეთ.

(სურათები შეიძლება ასეთი იყოს: ბავშვი რომელიც კბილებს იწმენდს, ნაგავს ურნაში ყრის და ა. შ.)

რა არ უნდა გავაკეთოთ პასუხისმგებლობის მქონე ბავშვების აღზრდისას?

ბავშვს არასდროს არ უნდა უწოდოთ ზარმაცი, უქნარა და ამდაგვარად არ უნდა შეაფასოთ.

ბავშვს იმაზე მეტი არ უნდა დაეკისროს, რაც მის ასაკს და შესაძლებლობას აღემატება.

რაც არ უნდა მოხდეს, უპასუხისმგებლობისათვის არ უნდა გაუბრაზდეთ და მოთმინებიდან არ უნდა გამოხვიდეთ.

ბავშვისგან სრულყოფილებას არ უნდა ველოდოთ. ჩვენ თავს როგორც ვიცავთ, ისე უნდა დავიცვათ ბავშვის სურვილები და მათ ნამოქმედარს გაგებით მოვეკიდოთ.

თამაშები პასუხისმგებლობის შესახებ

მოქმედება1 - "ჩემ იღბალზე რა შემხვდება?"

ბავშვებთან ერთად უნდა ვისაუბროთ იმის შესახებ, თუ რა პასუხისმგებლობა გვაკისრია საკუთარი თავის, ოჯახის, გარემოს მიმართ. განსჯილი პასუხისმგებლობები სირთულის მიხედვით (ასაკის შესაბამისად) სხვადასხვა სიდიდისა და ფერის ფურცლებზე დაიწერება:



მაგიდის გაწყობისას დედას დავეხმარე. (10)

სათამაშოები და ჩემი ნივთები ადგილებზე დავაწყვე. (10)

ქუჩაში ნაგავი არ დავყარე. (10)

ჩანთა მე თვითონ ჩავალაგე. (10)

ტანსაცმელი სუფთად შევინახე. (10)

საჭმლის წინ ხელები დავიბანე. (10)

მეგობრებთან ერთად მშვიდად ვითამაშე. (10)

დედა, როცა საქმით იყო დაკავებული, ჩემი ძმა გავართე. (10)

ყოველი ქმედების შესაფასებელი ქულა ამ ფურცელზე დაიწერება და დაიკეცება. შევსილი ყველა ფურცელი შეგროვ-

დება ერთ ყუთში, ან ტომარაში. თამაშში მონაწილე რიგის მიხედვით ფურცლებს ამოიღებს. ფურცლის ამოღების დამთავრებისთანავე ქულები შეიკრიბება. ამ საქმის განმხორციელებელიც ქულას მიიღებს. და ბოლოს ის პიროვნება, რომელსაც ყველაზე მეტი ქულა ექნება, გამარჯვებულიც ის იქნება.


მოქმედება 2 - "ცხრილი"

1	2	3	4	5	6	7	8

1	2	3	4	5	6	7	8

პარალელურად ორი ცხრილი დაიხაზება და ცხრილის უჯრებში ერთი და იგივე ქულები ჩაიწერება. მაგალითისთვის ვალდებულების შემსრულებელი ბავშვი პირველ უჯრაში ფეხს დაადგამს:

- ერთი მოთამაშე იტყვის: "ნათურები ტყუილად ანთია, უნდა ჩავაქრო" და თავის ცხრილში ერთი ნაბიჯით წინ წაიწევა.
- სხვა მოთამაშე იტყვის: "ღია ონკანები უნდა დავკეტო" და თავის ნახაზში წინ წაიწევა.
- შემდეგ ისევ პირველი იტყვის: "სახლში დედას უნდა დავეხმარო" და წინ წაიწევს.
- შემდეგ ისევ მეორე იტყვის: "სახლში რომ დედა სახლს ასუფთავებს, უნდა დავეხმარო" და ისევ წინ წაიწევს.



რომელ უჯრაშიც დაადგამს, იმ უჯრის ქულა ბავშვის სახელის ქვეშ ჩამოიწერება. შემდეგ უჯრაში შემდეგი ბავშვი დაიწყებს. რომელი მოთამაშეც მალე დაასრულებს, ის იქნება გამარჯვებული.

მოქმედება 3 - "გადააგდე ბურთი, მიიღე ქულა"

თამაში შეიძლება დიდ ოთახში, ან კიდევ ეზოში. ბავშვები ორ ჯგუფად დაიყოფა. ჯოხები დაიწყობა. ბავშვი საპასუხისმგებლო ერთ ქცევას იტყვის, შემდეგ განსაზღვრული მანძილიდან ბურთს დაარტყამს და რამდენ ჯოხსაც წააქცევს, იმდენ ქულას აიღებს. ჯოხს რომელი ბავშვიც ვერ წააქცევს, უსიტყვოდ რიგში გაჩერდება. ჯოხს რომელი ბავშვიც

წააქცევს, თავის სამაგალითო ქცევას აჩვენებს და რიგის გარეთ გაჩერდება. ორი ჯგუფი რიგრიგობით ითამაშებს. რომელი ჯგუფიც პირველი დაასრულებს ჯოხების წაქცევას, ის იქნება გამარჯვებული. ჯგუფებმა თუ ერთდროულად დაასრულეს, მაშინ რომელსაც მეტი ქულა ექნება, ის იქნება გამარჯვებული.

მოქმედება 4 - "სამიზნე ფიცარი"

ფურცელზე დაიწერება საპასუხისმგებლო თორმეტი სამაგალითო ქცევა. ერთიდან თორმეტამდე ჩამოწერილ ქცევებს მიუწერთ ციფრებს. ყოველი ქცევის შეფასების მიხედვით ქულები დაიწერება. მოსწავლეები ორ ჯგუფად გაიყოფიან და რიგში გაჩერდებიან. განსაზღვრულ მანძილიდან ბავშვი ისარს ისვრის სამიზნეზე, სადაც მოხვდება, იქ დაწერილი ციფრის მიხედვით ქცევის შესაბამისად ქულას მიიღებს და ამ ქცევას თავისი ფურცლიდან წაშლის. ბავშვები რიგრიგობით მიიღებენ მონაწილეობას. ყველა ქცევის წაშლის შემდეგ ფურცლიდან ქულები შეჯამდება. რომელი ბავშვიც მეტ ქულას მიიღებს, ის იქნება გამარჯვებული.

მოქმედება 5 - "დრამა"

რეგულარული - არარეგულარული

ბავშვები ორ ჯგუფად იყოფიან.
ორი სხვადასხვა ოთახი გამოიყოფა.



პირველ ოთახში არსებული ნივთები მიმოიფანტება. მეორე ოთახში კი ყველაფერი თავის ადგილზეა. ბავშვების ერთი ჯგუფი რაღაც პერიოდი არეულ ოთახში ითამაშებს, მეორე ჯგუფი კი დალაგებულ ოთახში. თხუტმეტი წუთის შემდეგ კი ოთახები გაიცვლება. თხუტმეტი წუთი სხვადასხვა ოთახებში ითამაშებენ. შემდეგ ორივე ჯგუფის მოსწავლეებს შეეკითხებით, თუ რა იგრძნეს სხვადასხვა ოთახებში თამაშისას და რას ფიქრობენ. ოთახებს შორის განასხვავების მიზეზები გამოვლინდება.

ბ. ქველმოქმედება

რა არის ქველმოქმედება?

ქველმოქმედება - სხვა ადამიანისთვის თავისი დროის დათმობა, ასევე შესაძლებლობებისა და ქონების თავისი სურვილით სხვებისთვის გაზიარებაა.

ადამიანის სულში არსებობს როგორც კეთილი ძალები, ისე უარყოფითი (ეგოისტური) ძალები. როცა პიროვნება მხოლოდ თავის სურვილებსა და მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს და გაცემა კი არა, მხოლოდ აღება აინტერესებს, სულის უარყოფით ძალას კვებავს და ეგოისტ ადამიანად ყალიბდება. ხოლო პიროვნება, რომელსაც ცხოვრების წესად გაუხდია სხვისთვის გაცემა, დახმარება და მზრუნველობა, საზოგადოებისთვის სასარგებლო ქველმოქმედ ადამიანად ჩამოყალიბდება და სიკეთის კეთებით იგი ყოველთვის დიდ სიამოვნებას მიიღებს.

სასარგებლო ჩვევების ჩამოყალიბებისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის მდგომარეობა. ბავშვმა დახმარება იძულებით კი არა, არამედ თავისი სურვილით უნდა გააკეთოს. ზრდასრულებისთვის ესაა მართლაც სათნოება. პიროვნებას თავისი სურვილით გაცემის ჩვევა რომ ჩამოვუყალიბოთ, მას იგი ბავშვობის პერიოდში უნდა ვასწავლოთ. ოჯახმა, როგორც სანიმუშო მოდელმა, ბავშვს სხვებზე დახმარების სურვილი უნდა გაუღვივოს და ეს ჩვევად ჩამოუყალიბოს.

ბავშვები ბევრ სასარგებლო ჩვევას ცხოვრებაში ბუნებრივი გზებით იძენენ. სხვა დანარჩენი სოციალური ქცევის ჩამოყალიბების მსგავსად სასარგებლო ქცევის შეძენაც სიცოცხლის პირველ წლებშივე იწყება. საზოგადოების დადებითი სოციალური ქმედებები, ოჯახისა და ოჯახის თითოეული წევრის სამაგალითო ქმედებები აღსაზრდელისთვის შეძენილი მოდელებია. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოზარდების დამოკიდებულება და ქცევები მეტწილად იმის მიხედვით ყალიბდება, თუ რას ხედავენ ისინი ირგვლივ, რადგანაც ბავშვებზე გარემო დიდ ზეგავლენას ახდენს.

ბავშვებში ქველმოქმედება ისეთ ჩვევად უნდა ჩამოვაყალიბოთ, რომ მთელი ცხოვრება იგი უწყვეტად გაგრძელდეს. ამისთვის კი რამდენიმე საკითხი უნდა გავითვალისწინოთ.

ბავშვი მცირე დახმარებებით უნდა წახალისდეს, საჭიროების შემთხვევაში დახმარება უნდა გაეწიოს, მოსალოდნელი ქცევების ჩვენების შემთხვევაში ბავშვის შექებითა და დაჯილდოებით შესრულებული ქცევები განმტკიცდება და უწყვეტად გაგრძელდება. ბავშვი თანაგრძნობას უნდა შევაჩვიოთ.

ქველოქმედი ბავშვების აღზრდისათვის მშობლებმა პედაგოგი სწორად უნდა შეარჩიონ


- მშობლებმა და აღმზრდელებმა ბავშვებს ქველმოქმედების მაგალითები, პირველ რიგში, თვითონ უნდა უჩვენონ. ირგვლივ ისეთი პიროვნებები უნდა მოიძიონ, ვისაც დახმარება ესაჭიროებათ, შემდეგ კი აღმოუჩინეთ მათ დახმარება ისე, რომ ეს ბავშვმაც შეამჩნიოს. ეს ქმედება ბავშვს მიბაძვისკენ უბიძგებს და ქველმოქმედების სურვილს გაუღვივებს.
- მშობლებმა და აღმზრდელებმა ბავშვები თავიანთ საქმეებში უნდა დაიხმარონ და ამით სიკეთის ქმნისკენ წაახალისონ. ბავშვი ქველმოქმედებისა და სხვა კეთილი საქმეებისგან დიდ კმაყოფილებას და სიამოვნებას მიიღებს და ამ გრძნობებს სხვა ბავშვსაც გაუზიარებს.
- მშობლებმა და აღმზრდელებმა ბავშვს უნდა გაუზიარონ მათი გამოცდილებები და გრძნობები, რათა იცოდნენ, დახმარების მიღების, ან დახმარების გაწევის შემთხვევაში რა გრძნობები დაეუფლებათ და რა ფასეულობებს გაითავისებენ.
- ბავშვები როცა უფროსებისგან დახმარებას ითხოვენ, არ უნდა გაუბრაზდეთ. თუ დახმარების თხოვნის მიზანი არაა პასუხისმგებლობისგან თავის არიდება, უნდა დაეხმაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი შევაგულიანოთ საპასუხისმგებლო საქმის გასაკეთებლად და თავისი შესაძლებლობები დაწვრილებით ავუხსნათ, შესრულების შემდეგ კი შევაქოთ და წავახალისოთ.
- ბავშვის ოთახში შეიძლება, რომ სიკეთის კეთების ამსახველი სურათები, ფოტოები, პლაკატები, პანელები, წარწერები, სიმბოლიკები მოვათავსოთ.



- არ უნდა დავივიწყოთ, რომ “სანთელი, მეორე სანთელის ანთებით არაფერს არ წააგებს“.

ქველმოქმედების ფასეულობის შეძენისთვის რა უნდა გავაკეთოთ?

- დღის განმავლობაში ჩვენი საქმიანობით სიკეთის მაგალითი უნდა ვუჩვენოთ ბავშვებს.
- საქმის კეთების დროს ბავშვისგან დახმარება ვითხოვოთ, როცა დაგვეხმარება წავახალისოთ და მადლობა გადავუხადოთ.



- ირგვლივ მყოფ გაჭირვებულ ხალხს ისე უნდა დავეხმაროთ, რომ ბავშვმაც დაინახოს.
- დახმარების შესახებ თხრობისას მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს.
- ბავშვებს ირგვლივ მყოფი გაჭირვებული ადამიანების მდგომარეობა კარგად უნდა გავაგებინოთ.
- სხვადასხვა ორგანიზაცია, ფონდი და მსგავსი დაწესებულებები ბავშვებთან ერთად უნდა მოვინახულოთ.
- ბავშვს უნდა ვაჩვენოთ, რომ დახმარება მცირედიც რომ იყოს, მნიშვნელოვანია.
- მშობლებმა და პედაგოგებმა უნდა აჩვენონ ბავშვებს, თუ როგორ ეხმარებიან ერთმანეთს.

ქველმოქმედების ფასეულობის შეძენისთვის რა არ უნდა გავაკეთოთ?

- ბავშვი, რომელიც უფროსების დახმარებას ცდილობს, არ უნდა დავაბრკოლოთ.
- ბავშვები თუ უფროსებისგან დახმარებას ითხოვენ, უარი არ უნდა ვუთხრათ.
- არ უნდა გავუბრაზდეთ ბავშვებს, თუ დახმარების გაწევა არ სურთ, ასევე ბავშვებს უნდა ავუხსნათ, თუ ასეთ დროს რას გრძნობენ ისინი, რომლებიც დახმარებას ელიან.
- ბავშვებზე დახმარებისას სიამოვნების გრძნობა და დახმარების სურვილი არ უნდა დავკარგოთ, იძულებითი დახმარება არ უნდა იყოს.
- ბავშვები იძულებული არ უნდა გავხადოთ, რომ სხვებს დაეხმარონ.

ბავშვებს ცნობიერება უნდა ჩამოვუყალიბოთ

- ბავშვებისგან ფეხსაცმლის თასმების შეკვრა მოითხოვეთ ცალი ხელით და დაელოდეთ. ისინი დარწმუნდებიან, თუ რამდენად რთულია და შეუძლებელი ცალი ხელით საქმის კეთება. ხშირად ოჯახის წევრებმა სთხოვონ ბავშვებს დახმარება და შემდეგ აღნიშ-


ნონ ის, რომ საქმე მათი დახმარებით უფრო იოლად გაკეთდა. ეს ბავშვს ერთი წინადადებითაც შეიძლება, რომ აუხსა.

- აჩვენეთ და გააგებინეთ ბავშვებს, რომ გუნდური მუშაობა ინდივიდუალურ ძალისხმევაზე უფრო წარმატებულია.
- ოჯახის წევრებს ერთიმეორისთვის რა და როგორი დახმარების გაწევა შეუძლიათ, ჩამოწერეთ სიის მიხედვით და ჩამოკიდეთ თვალსაჩინო ადგილას.
- ბავშვებთან ერთად მოემზადეთ საქმიანობისთვის და მათგან დახმარება ითხოვეთ.

თამაშები ქველმოქმედების თემაზე

მოქმედება 1 - "კურდღელო, გაიქეცი"

ბავშვები სამ ჯგუფად დაიყოფიან, მაგ: **კურდღლები, მელიები და ცხოველების მეგობრები.** კურდღლების ლიდერად დედა კურდღელი აირჩევა. მელიებს გვერდით ერთი ადგილი ექნებათ გამოყოფილი და იქ დაიმალებიან. დედა კურდღელი და ბაჭიები სახლისკენ წასვლისას მელიების სოროს უახლოვდებიან. დედა კურდღელმა როდესაც კარგად მიუახლოვდა მელიების სოროს, როგორც კი დაინახა მელიები, იმ წამსვე იყვირა: "გაიქეცი, კურდღელო, გაიქეცი". კურდღლებმაც სახლისაკენ გაიქცნენ. როდესაც მელიები კურდღლებს დასაჭერად მისდევენ, ცხოველების მეგობარი ბავშვები მელიებს აბრკოლებენ და კურდღლებს ეხმარებიან. დაჭერილი კურდღელი მელია გახდება. თამაში ასეთნაირად გაგრძელდება.





მოქმედება 2 - "ბუშტები"

ბუშტების პატრონ ბავშვებსა და ბუშტების გახეთქვის მოსურნე ყვავს შორის მიმდინარეობს თამაში. ყვავი ყველა ძალას იყენებს იმისათვის, რომ ბუშტები დახეთქოს. ბავშვები კი ბუშტების ირგვლივ ხელებს ჩაჰკიდებენ და წრეს შემოარტყამენ, ასევე ბუშტების დაცვისათვის ერთმანეთს დაეხმარებიან. ყვავისთვის საკმარისია, შეეხოს იმ ბავშვს, რომელიც ბუშტის ადგილზე დგას. ის ბავშვი, რომლის ბუშტიც გასკდება, გარეთ გავა და ყვავის უკან გაჩერდება. ყვავი რამდენ ბუშტსაც გახეთქავს, კუდი იმდენად დაუგრძელდება. თამაში როლების შეცვლით გაგრძელდება.

მოქმედება 3 - "ბაღჩაში მყოფი მიდილლა" (პატარა ცხენი)

ბავშვები ერთმანეთს ხელს ჩაჰკიდებენ და წრეს გააკეთებენ. სახეები ცენტრისკენ ექნებათ მიმართული. მიდილლი რომელი ბავშვიც იქნება, ცენტრში დადგება და მას ბავშვები შეეკითხებიან: „მიდილლი, შენ ჩვენს ბაღჩაში როგორ შეხვედი?" მიდილლი პასუხობს: "შიგნით გადავხტი". ბავშვები ეკითხებიან: "როგორ უნდა გამოხვიდე?" „აი, ასე"- პასუხობს მიდილლი და შემდგომ გარეთ გამოსვლისთვის წრის გარღვევას, ან ხელების ქვეშ გაძრომას ცდილობს. მიდილლის დასახმარებლად სამი პიროვნება წრის გარეთ ელოდება. მიდილლი გარეთ როგორც კი გამოვა, წრეში მდგომი სამი, ან ოთხი პიროვნება დასაჭერად დაედევნება. წრის გარეთ მდგომი სამი პირი მიდილლს დაეხმარებიან და დაჭერაში შეწინააღმდეგებიან. რომელი ბავშვიც პირველი დაიჭერს, მომდევნო თამაშში ის იქნება მიდილლი.

მოქმედება 4 - "ბოლოკის რაუნდი"

მოთამაშეებზე როლები დანაწილდება. მოთამაშეები არიან: **ბოლოკი, ბაბუა, ბებია, შვილიშვილი, ძაღლი, კატა და თაგვი**. ბოლოკი ბაღჩაშია. უკვე იმხელა გაიზარდა, რომ შეიძლება ამოღება და მირთმევა. ბაბუა მიუახლოვდა და ბოლოკი მოქაჩა, მაგრამ, მთელი ძალით მოქაჩვის მიუხედავად, ბოლოკს ძვრაც კი ვერ უყო. ბებიას დაუძახა, ბებია მოვიდა და ბაბუას წელზე შემოხვია ხელები. ეხლა ერთად მოქაჩეს ბოლოკი, მაგრამ უშედეგოდ, ბოლოკი ადგილიდანაც კი არ დაიძრა. ბებიამ შვილიშვილს დაუძახა. შვილიშვილი

სირბილით მოვიდა, ბებიას წელზე შემოხვია ხელები და ერთად მოქაჩეს ბოლოკი, მაგრამ ამაოდ, ბოლოკი არ ამოდის. შვილიშვილი ძაღლს დაუძახებს. ძაღლიც მოვა დასახმარებლად. შვილიშვილს შემოეხვევა წელზე, ერთად მოქაჩავენ, მაგრამ ბოლოკს ადგილიდან ამჯერადაც ვერ დაძრავენ. ძაღლი კატას დაუძახებს, კატა ძაღლს კუდზე დაექაჩება. შემდეგ კატა თაგვს დაუძახებს, თაგვიც სირბილით მოვა. ყველა ერთად დაიწყებს მოქაჩვას. ეს ბოლო მცდელობა უკვე ტყუილად აღარ ჩაივლის. ბოლოსდაბოლოს ბოლოკს მიწიდან ამოიღებენ. შემდეგ ყველა ერთად ბოლოკს წრეს შემოარტყამს, ურთიერთდახმარების სიხარულსა და გამარჯვებას იზეიმებს. ბოლოს ბოლოკს ერთად გაიყოფენ (!) შემდეგ ისევ თავიდან ბოლოკის როლს სხვა რომელიმე ბავშვი აიღებს და თამაში კვლავ თავიდან დაიწყება.

მოქმედება 5 / "იგავი"

ალი და სელიმი

ალის ერთ დღეს მოეწყინა, გარეთ გასასეირნებლად დედისგან ნება აიღო, თან დედას დაჰპირდა, რომ ჭკვიანად იქნებოდა. შემდეგ ტანზე ჩაიცვა და გარეთ გავიდა.

სეირნობისას ქუჩის ბოლოში, მარტოდ მჯდომი სელიმი დაინახა, სელიმი დარდიანი და ჩაფიქრებული ძირს იყურებოდა, სელიმის ოჯახი ალის საცხოვრებლიდან ორი ქუჩით უკან ცხოვრობდა, სელიმი ალის ერთ-ერთი ძალიან საყვარელი მეგობარი იყო. სელიმის ასეთმა დაღონებულმა და ჩაფიქრებულმა სახემ ალი შეაწუხა და სიტუაციის გასარკვევად მასთან მივიდა.



— გამარჯობა, სელიმ, როგორ ხარ? — ჰკითხა ალიმ, მაგრამ სელიმმა არაფერი უპასუხა.

— გამარჯობა, სელიმ, როგორ ხარ?— კვლავ შეეკითხა ალი.

სელიმს არ ესმოდა, როცა შეამჩნია, ალის შეხედა და უთხრა: —გაგიმარჯოს ალი, ბოდიში, ცოტა ჩაფიქრებული ვიყავი, ვერ შეგამჩნიე, კარგად ვარ, ღმერთს მადლობა, შენ როგორ ხარ?

— ღმერთს მადლობა, მეც კარგად ვარ, რაიმე დარდი ხომ არ გაწუხებს? რაღაც ძალიან დამწუხრებული მეჩვენები? მეც ხომ არ მომიყვებოდი, რაც მოხდა?— ჩაეძია ალი სელიმს.

სელიმს არ სურდა დარდის გაზიარება, ამიტომ ალის უთხრა:



— არ მინდა, რომ გიამბო და შენც დაგამწუხრო.

ალის სელიმის დახმარება ძალიან უნდოდა, ამიტომ მას არ მოეშვა:

— სელიმ, ასე როგორ შეიძლება, ჩვენ მეგობრები ვართ, თან არ გახსოვს ის, თუ ჩვენ მასწავლებელი რას გვასწავლიდა? მუსლიმები ერთმანეთს ცუდ დღეებში მხარში ამოუდგებიანო, თუ ვერ დაგეხმარები ვერაფრით, დაგლოცავ მაინც და ღმერთს შევთხოვ შენთვის დახმარებას.

სელიმმა იცოდა, რომ ალი სანდო მეგობარი იყო, დღემდე მათ ერთმანეთისთვის ბევრი საიდუმლო ჰქონდათ განდობილი.

ბოლოს სელიმმა გადაწყვიტა ალისთვის ეამბო ის, რაც აწუხებდა და უთხრა:

— ამ დღეებში ოჯახში ფინანსური პრობლემები გვაქვს, მშობლები ვითომ მიმალავენ, მაგრამ მე მაინც ვხვდები. დანამდვილებით ვიცი, რომ მამა ვალებსაც კი ვერ იხდის, დედასთან საუბრისას ყური მოვკარი, მშობლები რომ ასეთ ცუდ დღეში არიან, ეს მე ძალიან მაწუხებს.

ალის მეგობრის ასეთმა მდგომარეობამ გული აუჩუყა, უცებ გაახსენდა კლასში მასწავლებლის ნათქვამი შუამავლის ჰადისი: „კარგი საქმეების კეთებისთვის იჩქარეთ!“

ალიმ სელიმს დაემშვიდობა და აჩქარებული ნაბიჯებით იქაურობას გაშორდა.

სელიმს ეგონა, რომ ალის მოეწყინა და წავიდა, ალის ასეთმა საქციელმა სელიმი უფრო დაამძიმა, მან გაიფიქრა: „ალის სულ ტყუილად მოვახვიე ჩემი პრობლემები თავს, განა მას რაუნდა ექნა? რითი უნდა დამხმარებოდა?“ მარტოდ დარჩენილი სელიმი ისევ სახლში დაბრუნდა.

ალი მთელი ღამე სელიმის პრობლემებზე ფიქრობდა, ბოლოს გამოსავალი გამონახა, გადაწყვიტა მამას დალაპრაკებოდა...

მეორე დღეს სელიმის მამამ, როგორც ყოველთვის, სამსახურის საშოვნელად სახლიდან გავიდა, სახლში საკვებიც ცოტა ჰქონდათ დარჩენილი.

საღამოს სელიმის მამამ სახლში გახარებული და გაღიმებული დაბრუნდა. სელიმი ხელში აიყვანა, ლოყაზე აკოცა, ჩაეხუტა, ძირს დასვა და თქვა: „ჩემო ძვირფასო ოჯახო, თქვენთვის სამახარობლო მაქვს, ღმერთს უღრმესი მადლობა, რომ სამსახური ვიშოვე. პატრონიც სანდო პიროვნებას ჰგავს. ოსმანი ჰქვია, თან ჩვენს უბანში ორი

ქუჩის უკან ცხოვრობს. ერთი ბავშვი ჰყოლია, ალი ჰქვია, ჩვენი სელიმის ტოლი ყოფილა, ღმერთის ნებით ალიც სელიმთან დამეგობრდება.“

სელიმმა ახლა მიხვდა, თუ ალი რატომ წავიდა სირბილით სახლში. მეორე დღეს სკოლაში შეხვდნენ, თითქოს არაფერი, ერთმანეთს ისე გადაეხვივნენ. ეს ამბავი მათ საიდუმლოდ შეინახეს და არავისთვის არაფერი უთქვამთ.

ამის შემდეგ ალი და სელიმი ერთმანეთს გაჭირვებაში ყოველთვის მხარში ედგნენ, ყოველთვის ერთმანეთს ეხმარებოდნენ და ერთმანეთის გულითადი მეგობრები გახდნენ ცხოვრებაში.

იგავის ბოლოს

ბავშვებს ქვემოთ მოცემული კითხვები დაუსვით:

- “თქვენი აზრით, მეგობრობა კარგია?“
- “მეგობრები ერთმანეთისთვის რას გაკეთებენ?“
- “თქვენ გყავთ მეგობრები?“
- “მეგობრებისთვის რაც არ უნდა გააკეთოთ, ჩაითვლება თუ არა დახმარებად?

გ. სამართალი

სამართლიანობას და ზომიერებას, ამ მნიშვნელოვან ადამიანურ ღირებულებებს, მხოლოდ ღირსეული პიროვნებები ატარებენ. ბავშვები სამართლიან და უსამართლო ქმედებებს უფროსებისგან ხედავენ და შემდეგ სწავლობენ, მაგრამ ისინი ამ ქმედებების სამართლიანობასა და უსამართლობას ერთმანეთისგან ვერ არჩევენ, ეს კი მათ ქვეცნობიერებაშიც აისახება.



ბავშვები მშობლების ქცევებს მაგალითად იღებენ. ისინი კარგი დამკვირვებლები არიან, ჯერ დააკვირდებიან, შემდეგ კი იმავეს თვითონაც გააკეთებენ. ისინი მონაყოლს კი არა, ნამოქმედარს ითვისებენ. ბავშვების სულის განვითარების პროცესი და მათზე შთაბეჭდილებების მოხდენა მშობლების ხელშია. ფაქტიურად, მშობლები, მოქანდაკის მსგავსად, ბავშვის პიროვნებას ქმნიან. შექმნილი ნაშრომი კარგი იქნება თუ ცუდი, ამას მშობლების დამოკიდებულება განსაზღვრავს.

ბავშვს ცხოვრებისეულ გამოცდილებას ჰმატებს ის, რომ სწავლის პერიოდში მშობლები მისთვის მისაბაძი მაგალითები არიან. თუ მშობლები ბავშვს მათი ქმედების განსხვავებულ მაგალითს აძლევენ, ეს ბავშვის აღზრდაში უნებლიედ შეტანილი შეცდომაა. მაგ: შეცდომის დაშვების შემთხვევაში მშობლები თუ განსხვავებული აზრისანი იქნებიან, ბავშვი ვერ მიხვდება, რომელი ქმედება არის კარგი, ან ცუდი. ბავშვში არსებული ეგოიზმი, ბუნებრივია, მხოლოდ მისთვის სასურველს მიიჩნევს სწორად და იმას მიიღებს კიდეც.

ბავშვის სულიერ სამყაროში თავისი უფლებების შეგრძნება ყოველთვის არსებობს. მშობლებმა ბავშვის სულში არსებული ეს გრძნობა უნდა აღმოაჩინონ, გამოავლინონ და უფლებების გათავისებით სამართლიანად მოქცევა ასწავლონ. ბავშვი თუ მიიჩნევს, რომ მშობელი მას სამართლიანად ექცევა, თავს უსაფრთხოდ იგრძნობს. თუ ბავშვი თვლის, რომ მშობელი მას უსამართლოდ ექცევა, მაგალითად; გუშინდელი ნათქვამის შემდეგ დღეს საპირისპიროდ იქცევა, დილით მიცემული პირობა საღამოთი ირღვევა, მაშინ ამ ოჯახში აღზრდილი ბავშვი კონტროლის უნარს კარგავს და ეს მის თვითგანვითარებას შეაფერხებს. კონტროლს უნარდაკარგული ბავშვი კი მცნებებს, როგორიცაა: კარგი და ცუდი, მართალი და ტყუილი — სრულად ვერ განარჩევს ისეთ და ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდება. ბოლოს კი სამართლიანობის შეგრძნების არ მქონე ადამიანად გადაიქცევა.

თუ ოჯახში ერთზე მეტი ბავშვი არსებობს, მათთან სამართლიანად მოქცევა ძალზედ მნიშვნელოვანია. მაგალითად; ერთ-ერთმა შვილმა კარგი გააკეთა და დედას მოუნდა ამ ბავშვის დაჯილდოვება, მამა კი წინააღმდეგი იყო, რადგან ის ფიქრობდა, რომ მეორე ბავშვი დაიჩაგრებოდა. ამ შემთხვევაში ჯილდოს თუ ორივეს მისცემენ, ის ჯილდო გაუფასურდება იმისთვის, ვინც ჯილდო ნამდვილად დაიმსახურა. ხოლო იმ ბავშვს, რომელიც ჯილდოს არ იმსახურებდა, სამართლიანობის გრძნობა და უნარი არ განუვითარდება, ის სიცოცხლეში არასდროს არ გასცემს და სულ აღების სურვილი ექნება. იმ ბავშვს კი, რომელიც ფიქრობს, რომ მხოლოდ მან იმსახურებს ჯილდოს სამართლიანად, მშობლების სამართლიანობის მიმართ უნდობლობა გაუჩნდება და თანდათან, ზოგადად სამართლის მიმართ, უნდობლობა ჩამოუყალიბდება.



უფლებების პატივისცემა პატარაობიდანვე იწყებს გამოვლენას. ბავშვებში გამოვლენისთანავე უნდა შევასუსტოთ სასარგებლო საუბრებით ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიცაა: ძმების ეჭვიანობა, ძმებს შორის კონკურენცია და აგრესია. ბავშვს რომ უარყოფითი გრძნობები არ გაუღვივდეს, აქცენტი უნდა გაკეთდეს სამართლიანობასა და უფლებემოსილებაზე. ბავშვს უნდა ვასწავლოთ თავისი უფლებების გათავისება და სხვისი უფლებების პატივისცემა.

სამართლიანი ბავშვების აღზრდისათვის

მშობლებმა პედაგოგები სწორად უნდა შეარჩიონ

- მშობლებმა ბავშვები ერთიმეორისგან არ უნდა განასხვავონ, ბავშვებს შორის სამართალი არ უნდა შეილახოს, რათა ბავშვებმა სამართლიანი დამოკიდებულება ისწავლონ და მომავალში გარემოზე ასახონ.
- თუ გვინდა, რომ სამართლიანი იყოს ბავშვი, მისი ასაკობრივი განვითარება უნდა გავითვალისწინოთ. ასაკობრივი განვითარების მახასიათებლისა და ქცევის შედარებისას გონივრულად უნდა მოვიქცეთ.
- ბავშვების პრობლემები და შემთხვევები სამართლიანად უნდა გადაიჭრას.



- ბავშვებს შორის კონფლიქტის გადაჭრისას, რაგინდ მარტივი საკითხიც არ უნდა იყოს, ორივე მხარეს ყურადღებით უნდა მოვისმინოთ, გამოვიკვლიოთ და შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება.
- ყოველთვის შევეცადოთ, რომ ბავშვებს ვენდოთ და მათ უპირობო ნდობა ვაჩვენოთ.
- სუსტი და უმწეო ადამიანები დავიცვათ და ამით ბავშვების მაგალითი ვიყოთ.
- ბავშვების შეცდომებზე რეაგირების დროს აუცილებელია, რომ ზომიერები ვიყოთ.
- სამართლიანობა ყოველთვის ერთნაირად მოქცევას არ ნიშნავს, ბავშვებში ასაკის, სქესისა და სხვა პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით

იცვლება სამართლიანობის გაგებაც, ამიტომაც სამართლიანობა სიტუაციის შესაბამისად უნდა განისაზღვროს.



მოქმედება 1 / "იგავი"

—ბავშვებო! ბაბუასთან ლაპარაკი გიყვართ? რას ლაპარაკობთ?

—უფროსების მონახულება კარგი საქციელია? თქვენ ბოლოს როდის მოინახულეთ უფროსები?

ბავშვებს შეეკითხებით, თუ რა აზრისანი არიან.

— ბავშვებო, ბაბუებზე ვლაპარაკობდით და მეც ჩემი ბაბუა გამახსენდა. ბაბუას მალე ავიწყდებოდა.

—აბა რას აკეთებდა?

—ბაბუას როცა ეძინა (მძინარეს მსგავსად მოიქცევით),

სათვალეები დაუკარგავს (ცერა და საჩვენებელი თითებით მრგვალი სათვალეები გააკეთეთ და უკან შეინახეთ),

უძებნია, გადაუჩხრეკია ყველაფერი (მარჯვნივ და მარცხნივ მიმოიხედავს),

და რას ხედავს...

(შენახული მრგვალი სათვალეები სათვალეების მსგავსად თავზე დაიდეთ)

თავზე ჰქონია.

აი, სებერე...

(ხელებს გაშლის და თავს გააქანებს).

იგავი: პატარა ომარი "სამართალს" სწავლობს

პატარა ომარი ბაბუას კალთაში ეჯდა. იგი ძალიან ჩაფიქრებული იყო. ბაბუა მიხვდა, რომ ომარს რაღაც პრობლემა ჰქონდა, თუმცა არ ეკითხებოდა, რადგან უნდოდა, რომ ომარს თვითონ ეთქვა.

პატარა ომარმა პასუხის მომლოდინე თვალებით ჰკითხა: "ბაბუა! სამართალი კარგი რამეა ხომ?"

ბაბუამ მიუგო: "დიახ, ჩემო ომარ. ის ყველა მუსლიმის საჭირო და მნიშვნელოვანი თვისებაა."

ომარი ისევ აგრძელებს: "ბაბუა, მე სამართალი რაა, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ კარგი რამაა."



ბაბუას გაუკვირდა: “ჰმმმ! კარგი, ეს შენ საიდან იცი?“

ომარი თავდაჯერებულად პასუხობს: “ბაბუა, გავიგე, რომ შუამავალი სამართლიანი იყო. თუ ის სამართლიანი იყო, ვფიქრობ, რომ აუცილებლად კარგი რამაა და მასში არსებული ყველაფერიც კარგია.“

ბაბუამ შეაქო ომარი: “ყოჩაღ ომარ. ძალიან კარგად ფიქრობ. იცი რომ სანამ იგი შუამავალი გახდებოდა, მანამდეც ყველას უყვარდა? დიახ, ყველას ძალიან უყვარდა. ერთ დღეს შუამავალისგან პატარა შვილიშვილებმა: ჰასანმა და ჰუსეინმა ერთდროულად წყალი ითხოვეს. შუამავალმა პირველად ჰასანს, შემდეგ კი ჰუსეინს წყალი მიაწოდა. ეს შუამავლის ქალიშვილმა, ძვირფასმა ფატმამ, დაინახა და ჰკითხა: “მამიკო, წყალი რატომ პირველად ჰასანს მიეცი. ჰასანი უფრო მეტად გიყვარს?“ შუამავალმა კი უპასუხა: „არა, ფატმა, პირველად ჰასანმა მთხოვა წყალი და მაგიტომ.“ საყვარელი შუამავალი (ს.ა.ვ.) შვილიშვილების სიყვარულშიც სამართლიანი იყო, უფლებებს არ არღვევდა.“

ბაბუა ომარს მიუბრუნდა და უთხრა: “აი, ჩემო ომარ, ეხლა ხომ უფრო კარგად გაიგე?“

ომარს თვალებში ღიმილი დაეტყო, ბაბუას ჩაეხუტა და უთხრა: “შუამავალი (ს.ა.ვ.) როგორც ყოველთვის და ყველაფერში, შვილიშვილებისთვისაც სამართლიანი ყოფილა. მეც ჰასანისა და ჰუსეინის მსგავსად ძალიან ბედნიერი ვარ, რომ შენისთანა ბაბუა მყავს.“

მოქმედება 2 / თამაში

სიმართლის ბაბუა - ტომარაში რა გაქვს?

ცოტა მოზრდილი ბავშვი ბაბუას ფორმაში შევა. თავის თავს სამართლიან ბაბუად გააცნობს. ბავშვებთან ერთად სამართლის დადებით და უარყოფით ცნებებს განსაზღვრავს. სამართლიანობა, რიგში მოცდა, ხმაური, სხვების შეწუხება, თანაბრად მოქცევა და მსგავსი სიტყვები პატარა ფურცლებზე დაიწერება და სამართლიან ბაბუას ტომარაში ჩაიყრება. მცნებების შესახებ სამუშაო რომ დასრულდება, ბავშვები რიგრიგობით ამ კითხვას დასვამენ:

“სიმართლის ბაბუა, ტომარაში რა გაქვს?“

სამართლიანი ბაბუაც ეტყვის, რომ მოდით, თქვენ თვითონ დაინახეთ. კითხვას რომელი ბავშვიც დაუსვამს, ტომარას იმას გაუწვდის. ერთ ფურცელს ამოიღებს ბავშვი, დაწერილ სიტყვას მასწავლებელს აჩვენებს და წაიკითხავს. სამართლიანი ბაბუა დაეხმარება და აუხსნის.

დ. სიზუსტე

სიზუსტე არსისა და სიტყვის ერთობას, ტყუილისა და თაღლითობისგან შორს დგომას, ადგილისა და დროის მიხედვით სამართლიანი ქცევის გამოვლინებას ნიშნავს. სხვანაირად რომ ვთქვათ, პიროვნება გულღია და გულწრფელი უნდა იყოს, საღი აზრისგან არ გადაუხვიოს და შესაბამის ჭეშმარიტ გზას უნდა მიჰყვეს.

მშობლები და პედაგოგები პირდაპირ, ან არაპირდაპირად, ან კიდე ღიად, ან ირიბად ყოველგვარი ღალატისა და ტყუილისგან შორს უნდა დადგნენ. უფროსები ყოველთვის ბავშვების მეთვალყურეობის ქვეშ არიან. უფროსების გძნობები და სიტყვები სიტყვისა და საქმის ერთიანობა უნდა იყოს. მიცემულ სიტყვას ბავშვები რამოდენიმე კვირაც რომ გავიდეს, მაინც არ ივიწყებენ. მშობლებმა შეიძლება თავიანთი თავის გამართლებას შეეცადონ, მაგრამ მიცემული სიტყვის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბავშვში მოტყუების გრძნობები გაღვივდება.

ოთხიდან-ექვსი წლის ასაკის ბავშვებში მიცემული სიტყვის შესრულება მნიშვნელოვანია. დანაპირების შესრულება, ვალდებულების შესრულება, სიტყვისა და საქმის თანამიმდევრობა ბავშვში უფროსებისადმი ნდობას აძლიერებს.



გულახდილი ბავშვების აღზრდისათვის მშობლებმა პედაგოგი სწორად უნდა შეარჩიონ

- მშობლები და პედაგოგები სამართლიანობითა და პატიოსნებით ბავშვებისთვის სამაგალითონი უნდა იყვნენ.
- პედაგოგმა, ან კიდე მშობლებმა ბავშვები თავიანთი ტყუილების თანამოზიარე არ უნდა გაიხადონ.

- ბავშვი ყოველთვის სიმართლის ლაპარაკისკენ უნდა წაახალისოთ, სიმართლეს როცა ილაპარაკებს, უნდა შეაქოთ.
- ბავშვმა თუ შეცდომა დაუშვა და შემდეგ აღიარა ყველაფერი, მის მიმართ არ უნდა გამოიყენოთ ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა: "არ გრცხვენია? და კიდე ამბობ, რომ შენ გააკეთე?"
- უნდა დავაჯეროთ ბავშვებს, რომ წარმატების მიღწევა მხოლოდ პატიოსნებითაა შესაძლებელი.
- სკოლამდელ პერიოდში ბავშვებში ფანტაზიის ძალა მეტია, ამიტომაც მათი ნათქვამი არარეალური სიტყვებია და სიცრუედ არ უნდა მიიღოთ.
- ამანათის დაცვაში სამაგალითო უნდა ვიყოთ და ეს ბავშვსაც უნდა ვაგრძნობინოთ.

მოქმედება 1 / ზღაპარი

იგავამდელი მოქმედება

ბავშვებს შეიძლება ვაჩვენოთ სახის სხვადასხვა გამომეტყველება (დამწუხრებული, გაღიმებული, წარბშეკრული). ბავშვებს შეიძლება ვკითხოთ: "ბავშვებო, თქვენი აზრით, ეს სახე რატომაა დამწუხრებული?" დანარჩენი სახის გამომეტყველების შესახებაც იგივე კითხვები დაისმება და შემდეგ იგავზე შეიძლება გადავიდეთ.

ასე შეიძლება გავიგოთ, თუ ბავშვები რითი ხდებიან ბედნიერები. შემდეგ იგავის დაწყება ასეთნაირად შეიძლება: "ვნახოთ, იგავის გმირი ერენი, თუ რით ხდება ბედნიერი?"



ერენის სიზმარი

ორშაბათი დღე იყო, ანუ კვირის პირველი დღე. იუსუფის უფროსმა ძმამ, ერენმა, დედის სიტყვა არ მოისმინა, ჩანთა საღამოთი არ მოამზადა. დილით როგორც კი ადგა, საათს დახედა და რას ხედავს?! საათი ცხრა გამხდარა. მას ჯერ ჩანთაც კი არ მოუმზადებია, არც უსაუზმია. ამ ყველაფრის შემდეგ პირველი გაკვეთილიც გაუცდენია. არადა პირველ გაკვეთილზე ერენს მათემატიკის გამოცდა ჰქონდა. მასწავლებელს განსაკუთრებულად გაფრთხილებული ჰყავდა, რომ ყველანი უნდა მო-



სულიყვნენ. ერენი ფიქრობდა, თუ რა უნდა ექნა: “ნეტა მასწავლებელს რა ვუთხრა? იქნებ ვუთხრა, რომ დედა ავად იყო და მე არ გამაღვიძა, ან დილიდან ავად ვიყავი და თავი მტკიოდა, ან იქნებ სჯობდეს, რომ ვუთხრა, თითქოს, გზაზე პატარა ავარია მოხდა.“

არა! ამას ვერ ეტყოდა. ვინაიდან ამის თქმა სიმართლე არ იქნებოდა. ტყუილი კი ძალიან ცუდია. მასთან მისი ძმა იუსუფი მივიდა და ჰკითხა: “ძამიკო, ძალიან დამწუხრებული ხარ?“ ერენმა ძმას უთხრა: “კარგი, მაგრამ ეხლა შენთან ვერ ვისაუბრებ“. ამ დროს კი დედის მიერ მონაყოლი იუსუფ შუამავლის შესახებ ისტორია გააახსენდა. მას მისმა ძმებმა ცუდი გაუკეთეს, ჭაში ჩააგდეს, შემდეგ როცა გაუჩინარდა, იცრუეს, ჩვენ არ გაგვიკეთებიაო. უზენაეს ალლაჰს ტყუილის ლაპარაკი, რაც არ უნდა საბაბი ჰქონდეს, არ უყვარს. სიმართლის მთქმელი კი უყვარს და იცავს.

უფრო მეტიც, მუჰამმედ (ს.ა.ვ.) სანამ შუამავალი გახდებოდა, მანამდეც ყველასათვის სანდო პიროვნება იყო. ხუმრობის დროსაც კი არავითარ შემთხვევაში ტყუილს არ იტყოდა.

ერენი აზრზე მოვიდა და გადაწყვიტა, რაც არ უნდა მომხდარიყო, მასწავლებლისთვის სიმართლე უნდა ეთქვა, რომ გვიან დაიძინა და დილით ვერ გაიღვიძა.

კლასში შევიდა და მასწავლებლისკენ მიემართებოდა, რომ დედის ხმამ გააღვიძა: “ერეენ! ადექი შვილო! დღეს მათემატიკის გამოცდა გაქვს, არ დააგვიანო“. თურმე რაც ნახა, სიზმარი იყო. ძალიან გაუხარდა და დედა შესძახა: “დიდი მადლობა დედა!“

უზენაეს ალლაჰს დიდი მადლობა გადაუხადა, რომ ასეთი სიზმარი აჩუქა და ტყუილის თქმამდე გაითავისა, რომ ტყუილი ცუდი იყო.

ზღაპრის შემდგომი მოქმედება

ბავშვებს ქვემოთ მოცემული კითხვები დაუსვით:

- ერენმა რომ მიხვდა, გამოცდაზე აგვიანებდა, რა გადაწყვეტილება მიიღო?
- ერენმა ტყუილი რატომ არ თქვა?
- ხალხს არ უყვარს ისეთი პიროვნებები, რომლებიც სიმართლეს არ ლაპარაკობენ? რატომ?
- ტყუილის მთქმელი დამწუხრდება, თუ გაიხარებს? რატომ?

მოქმედება 2

სიმართლის თამაში

ბავშვებო! დღეს თქვენთან ერთად სასწაულებით სავსე ქვეყანაში უნდა ვიმოგზაუროთ ცხენებით. ჩვენ ეზოში ცხენები გველოდება. წავედით, "ბისმილლაჰ"! ყველამ ცხენზე შესხედით! კარგია, ყოჩაღ თქვენ. ეხლა ავუჩქაროთ. იჩქარეთ, არავინ უნდა ჩამორჩეს. ფრთხილად იყავით, წინ დიდი მდინარეა. ამ მდინარეზე ხიდიც არაა. ძალიან სწრაფად აქედან უნდა გადავხტეთ! აბა ვნახოთ, ჰოოპ, აი, გადავედით! დიახ ძალიან კარგია... ცხენებმაც დაიღალნენ და ჩვენც. ცოტაც ვიფრინოთ... ყველამ ფრთები დაჰკრას... აი, შეხედეთ, რამდენად დიდი კარია! ნელ-ნელა კარის წინ უნდა დავეშვათ! აი, მოვედით! მაგრამ ამ ქვეყნის კარები ცოტა განსხვავებულად იხსნება! თითოეულმა ჩვენგანმა ყველაზე განსაკუთრებული თავისი გაკეთებული თითო სიმართლე უნდა თქვას და ისე უნდა შევიდეს! ვინაიდან კარები მხოლოდ ასე გაიხსნება.

მასწავლებელი სხვადასხვანაირ ბარათებს დაამზადებს. მაგ: ბავშვი ხეს რწყავს, ბავშვი ხის ტოტს ტეხს, დანგრეული ჩიტის ბუდე და სხვა მრავალი. შემდეგ სხვადასხვანაირი ბარათები მაგიდაზე დაიწყობა. ბარათებს ამოვატრიალებთ და ბავშვები რიგრიგობით აიღებენ. ბარათს, რომელზეც კარგი ქცევაა, სიმართლის ყუთში ჩააგდებენ, ხოლო ცუდ ქცევას — შეცდომის ყუთში. სიმართლის ყუთზე გამრავლების ნიშანია და თეთრი ფერისაა. ტყუილის ყუთსაც გამრავლების ნიშანი აქვს და შავი ფერისაა.

ბარათები ყუთებში მოთავსდება. ამის დამთავრების შემდეგ ბავშვებს მასწავლებელი გარკვეულ წინადადებებს ეტყვის. მაგ: "უფროსებს ადგილი უნდა დავუთმოთ". რომელი ბავშვიც პირველი უპასუხებს: "სიმართლე ", სიმართლის ყუთზე დაარტყამს ხელს, ხოლო პასუხად „ტყუილის" თქმის შემთხვევაში ტყუილის ყუთზე დაარტყამს ხელს.



ე. მოთმინება

მოთმინება; ტკივილის, მწუხარების, ან კიდევ სირთულეების წინააღმდეგ მობილიზებაა, აუჩქარებლად,



აუღელვებლად, სტაბილურად და განსაზღვრულად მოქმედებაა. მოთმინება საქმის დასრულბამდე გადაწყვეტილების მიუღებლობაა, მიუკერძოებლობაა, თანამოსაუბრის სიტყვების გაგებაა, ისეთი ქცევაა, რომელიც მისასალმებელია და სხვა მსგავს დამოკიდებულებებს შეიცავს.

ბავშვების აღზრდისას მოთმინება, ფაქტიურად , უფროსებისთვის საჭირო თვისებაა. მაგრამ ბავშვებმაც თუ იციან, რა არის მოთმინება? ზოგ შემთხვევაში იმის გამო ლოდინით, რომ სურვილი იმწამსვე არ სრულდება, ან ზოგჯერ რაიმე სურვილის შესრულების გამო დიდხანს ლოდინით მოთმინებას ისწავლიან.

მომთმენი ბავშვების აღზრდისათვის

მშობლებმა და პედაგოგებმა რა უნდა გააკეთონ?

- მშობლებმა და პედაგოგებმა თავიანთ საქმესა და ურთიერთობაში, მოთმინებით, ბავშვებს საუკეთესო მაგალითი უნდა უჩვენონ.
- მშობლებმა და პედაგოგებმა ბავშვის ფიზიკური და გონებრივი განვითარების პერიოდები და მათი თავისებურებები კარგად უნდა იცოდნენ.
- მშობლებმა და პედაგოგებმა ბავშვებისთვის მოთმინების სწავლების პერიოდში თავიანთი გრძნობები და ფიქრები უნდა აკონტროლონ. სანამ ბავშვებს მოთმინებას ასწავლიან, ის, თუ ბავშვების წინააღმდეგ რამდენად მომთმენნი არიან, თავიანთი თავი თვითონ უნდა გამოსცადონ.
- თამაშისა და მოქმედების დროს ბავშვების მიმართ საკმარისად ზომიერი მოთმინება უნდა გამოიჩინოთ. რამოდენიმეჯერ ერთი და იგივე მოქმედება არ უნდა განმეორდეს.
- ბავშვებს მოთმინებისკენ წამახალისებელი ქცევები უნდა აჩვენოთ. მაგალითად; პირის დასაბანად რიგში დგომა, ჭამის ბოლოს განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ, ტკბილეულისა და ხილის მირთმევა.





- ბავშვებს სახლში, ან კიდევ სკოლაში უფროსებზე დახმარების საშუალება უნდა ჰქონდეთ.
- მოთმინების მიჩვევისათვის სხვადასხვა მოქმედებები შეიძლება შესრულდეს, როგორიცაა; ბრინჯის გადარჩევა, ნივთების ერთმანეთის მიყოლებით დაწყობა-დალაგება და სხვა მსგავსი რამ.
- „ყოჩაღ შენ, რადგან მოთმინების შედეგად დიდ წარმატებას მიაღწიე, გილოცავ, აი, ნახე, მოითმინე და კიდეც მოიგე“ - ამ და მსგავსი სიტყვებით სტიმული უნდა მისცეთ ბავშვს.

მომთმენი ბავშვების აღზრდისათვის

მშობლებმა და პედაგოგებმა რა არ უნდა გააკეთონ?

- ბავშვების თამაშებსა და საქმეებში სწრაფი და ცალმხრივი მიდგომა არ უნდა იყოს.
- ბავშვს რაიმე პრობლემის შემთხვევაში ჩვენი დახმარების ნაცვლად ვაჩვენოთ გზები, რომლებითაც თვითონ შეძლებს პრობლემის აღმოფხვრას.
- ბავშვები როცა ლაპარაკობენ, მოთმინებით უნდა მოვუსმინოთ, ლაპარაკი არ უნდა შევაწყვეტინოთ და უნდა დავასრულებინოთ. ბავშვებისგან საქმის ნახევრად დატოვება არ უნდა მოვითხოვოთ.
- რაც არ უნდა მოხდეს, წარუმატებლობის შემთხვევაში ასე არ უნდა მივმართოთ: „რამდენად ნელი ხარ, ვერაფერს დროულად ვერ აკეთებ!“ ამით ბავშვი შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს.



მოთმინების თამაშები

მოქმედება 1

“ სასაცილო იუმორი“

მოთამაშეები რიგში დასხდებიან და გასაცინებლად რიგრიგობით ფეხზე წამოდგებიან. ჯგუფში მყოფი ყველა მოთამაშე შეეცდება გააცინოს ფეხზე მდგომი ბა-



ვშვი. ისინი ანეგდოტს მოჰყვებიან და კომიკურ მოქმედებას გაითამაშებენ. თამაშის წესი ასეთია; გაცინებისას არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაუღიტინო. ყოველი მცდელობის მიუხედავად ბავშვი, რომელიც ხუთი წუთის განმავლობაში არ გაიცინებს, იქნება ყველაზე მომთმენი. შემდეგ მის მაგივრად სხვა რომელიმე ბავშვი დადგება და ასე თამაში გაგრძელდება.

მოქმედება 2


“მედიცინა“

ჯგუფი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ არავინ ხმა არ ამოიღოს, არ დაილაპარაკოს. სიტყვა “მედიცინას“ წარმოთქმის შემდეგ ხმის ამოღება აკრძალულია. ვინც დაილაპარაკებს და ხმას ამოიღებს, თამაშიდან გავა. ის, ვინც თამაშის ბოლომდე დარჩება, იქნება გამარჯვებული.

მოქმედება 3

“მოთმინების სწავლა“

ბავშვებს შეეკითხებით, თუ რას ნიშნავს მოთმინება. რაღაც პერიოდი უნდა იფიქრონ, შემდეგ ხელის აწევით სიტყვის თქმის უფლება მიეცით ბავშვებს. ბავშვებისთვის აზრის გაზიარებისას შეიძლება, თქვენი მაგალითიც მოიტანოთ: “მე ვარ მომთმენი. გელოდებით, თუ როდის დაასრულებთ ლაპარაკს. თქვენ მომთმენი ხართ? როგორ ხვდებით ამას?“ ბავშვებს ჰკითხეთ, თუ რომელ საკითხებში არიან ისინი მომთმენნი. უფრო მეტად ეცადეთ, რომ დააფიქროთ. თუ საჭირო იქნა, ბავშვებს ქვემოთ მოცემულ მაგალითები მიეცით.



- პირსაბანში ხელების დაბანისათვის რიგში დგახართ, ესე იგი ითმენთ.
- თქვენი მეგობარი ერთი სათამაშოთი თამაშობს და თქვენ მას ელოდებით, ესე იგი ითმენთ.

როცა სადილზე დასხდებით და დანარჩენ თქვენს მეგობრებსაც ელოდებით, ესე იგი ითმენთ.

მაგალითების სიმრავლისთვის ბავშვებს დაუსვით კითხვა: “ კიდევ სად და როდის შეიძლება მოთმენა?“ მოქმედების ბოლოს პედაგოგი მადლობას უხდის ყველას, ვინც მას და მის მეგობრებს მოთმინებით უსმენდა.

ვ. პატივისცემა

პატივისცემა უფროსი, ძვირფასი და მნიშვნელოვანი პიროვნებების მიმართ სიყვარული და პოზიტიური დამოკიდებულებაა. პატივისცემა სხვის მიმართ ზრუნვისა და დაფასების გამოხატულობაა.

პატივისცემის სხვადასხვა სახეობა არსებობს: უფროსების, წინაპრების, აზრების, ცხოველების, საიდუმლოს, საკუთარი თავის, უფლებების პატივისცემა და სხვა მსგავსი...

პატივისცემა კეთილშობილი ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა. იგი ერთის მხრივ, საკუთარ პიროვნებასა და სხვა პიროვნების შორის ზღვარის ცოდნა და მისი დაცვაა, საკუთარი და სხვისი უფლებების გაფრთხილებაა. ნებისმიერმა პიროვნებამ უნდა იცოდეს, სად გადის ეს ზღვარი და როდემდე სჭირდება პიროვნებას პატივისცემა, ამას კი მხოლოდ პატივისცემის სწავლებით გაიგებს.



ჩვენს კულტურაში მორჩილებასა და უფროსების პატივისცემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. არა მარტო უფროსების, არამედ ყველა სულიერის მიმართ პატივისცემით მოპყრობა პიროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა. მაგრამ სხვის მიმართ გადამეტებულმა პატივისცემამ საკუთარი თავის პატივისცემის დაკარგვამდე არ უნდა მიგვიყვანოს.

მშობლები თავიანთ უფლებებს როცა იცავენ, უნდათ, რომ ბავშვებს მაგალითი მისცენ და სუსტი კი არა, არამედ თავდაჯერებული ბავშვები



აღზარდონ. მაგრამ ზოგჯერ გაუთვითცნობიერებლად სხვებს ტკივილსა და შეურაცყოფას აყენებენ, ამით კი ბავშვების წყენინებაც უხდებათ, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, ვერც კი ამჩნევენ.

ბავშვებისთვის პატივისცემის სწავლება ყველაზე უკეთ უფლებების დაცვითაა შესაძლებელი. ბავშვმა თავისი უფლებებით სარგებლობა და ამ უფლებების დაცვის გზები უნდა ისწავლოს ისე, რომ სხვისი უფლებები არ შელახოს.

ბავშვები ბრმად მორჩილების ნაცვლად სიმართლეს, უფლებების დაცვას, გონიერი და სულიერი ღირებულებების პატივისცემას უნდა სწავლობდნენ. ბავშვის გონებაში კარგისა და ცუდის, სიმართლისა და სიცრუის ცნებების დამკვიდრებისათვის მას საფუძვლიანი წესი და განმარტება უნდა მიეწოდოს. რომელიმე წესის ბრმად გამოყენების შემთხვევაში ხშირად ქცევის შეუსაბამობა ხდება. ბავშვისთვის მნიშვნელოვანია უცვლელი ქცევისა და პატივისცემის გათვითცნობიერება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი მშობლებთან ისე მოიქცევა, როგორც მათ სურთ, ხოლო როცა მარტოდ დარჩება, როგორც მას სურს, ისე მოიქცევა.

პატივისცემის სწავლებისას მშობლების ბავშვებთან დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანია. ბავშვები ინდივიდუალისტები არიან. ისინი მხოლოდ თავიანთ თავზე ფიქრობენ და ეგოისტის მსგავსად იქცევიან, ამიტომაც შეცდომის დაშვებამდეც მიდიან. ბავშვები არ ფიქრობენ, მათ ქცევას რა შედეგი მოჰყვება და ამიტომაც ისე იქცევიან, როგორც მათ სიამოვნებთ. ბავშვი არ შეშინდება უპატივცემულო ქცევის შედეგის გამო და ვერ მიხვდება იმ მიზეზს, რომ სხვას ძალიან აწყენინა მაშინ, როცა თავს კარგად გრძნობდა. ამიტომაც, მშობლებმა ბავშვებს სათანადო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ. უფროსები თუ კარგ ხელმძღვანელობას გაუწევენ, ბავშვი ცხოვრებას ისწავლის; ისწავლის, თუ სად და როგორ უნდა მოიქცეს. ბავშვში როცა უპატივცემულობას, უსამართლობას ხედავს ოჯახის რომელიმე წევრი, აუცილებლად უნდა ჩაერიოს, მაგრამ ეს ისე უნდა გააკეთოს, რომ ბავშვს თვითონ მიახვედროს თავისი შეცდომა და ასევე აუხსნას, რატომ არის ეს შეცდომა.

ბავშვებმა პატივისცემის მსგავსი ფასეულობის შეძენისას თვითონ უნდა იგრძნონ, რომ პატივცემულნი არიან. ბავშვებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორი უნდა იყოს პატივისცემა, ვის უნდა სცენ პატივი და თვითონაც სხვების მხრიდან როგორ უნდა მიიღონ პატივისცემა.

პატივისცემის სწავლისას ბავშვებმა განცდების, აზრებისა და ქცევების თავისებურებებს უნდა ჩასწვდენ. ამისთვის კი შეიძლება, მსგავსი წინადადებები გამოვიყენოთ.: "ჩვენ ძალიან კარგი ბავშვები ვართ; ჩემი მეგობარი ძალიან კარგია; ჩემში არსებობს ყველაფერი კარგი; ჩვენ საუკეთესო ჩვევები გვაქვს; მასწავლებელს ჩემში განსაკუთრებით ეს ჩვევები უყვარს; დედიკოსა და მასწავლებელს ჩემი ეს ქცევა ძალიან მოსწონთ; ჩვენს ოჯახში ერთმანეთი ძალიან გვიყვარს; ჩვენი კლასი ერთმანეთს პატივს ვსცემთ და ერთმანეთი ძალიან გვიყვარს; გთხოვთ, მინდა მადლობა გადაგიხადოთ."

რა უნდა გავაკეთოთ ღირსეული შვილების აღზრდისათვის?

- მათი აზრებისა და სურვილების მიმართ პატივისცემა უნდა გამოიჩინოთ, მათ უნდა მოუსმინოთ.
- იმათგან როგორც კი პატივისცემას იგრძნობთ, თქვენც პატივი ეცით (ხმამაღლა არ ელაპარაკოთ, ნებართვის გარეშე მათი სათამაშოები არ აიღოთ).
- მათი აზრები და ქცევები თუ მიუღებელია, გასაგებ ენაზე აუხსენით (შენ როცა მეგობრის სათამაშოს უნებართოდ იღებ, მას სწყინს)
- უნდა აუხსნათ ვის და როგორ უნდა სცენ პატივი.
- პატივისცემის წესები უნდა ასწავლოთ.
- უნდა ასწავლოთ, თუ სად გამოიყენონ სიტყვები: "გთხოვთ," „მადლობა," „მაპატიე".



- უნდა ასწავლოთ, რომ კარზე დაკაკუნების გარეშე სხვის ოთახში არ შევიდნენ, უნებართოდ რაიმე ნივთი და სათამაშო არ აიღონ და სხვა მსგავსი ქცევები ყოველდღიურად პრაქტიკაში გამოყენონ.



- ტკბილი ენით უნდა ავუხსნათ უპატივცემულო სიტყვებისა და ქცევების უვარგისობა.

რა არ უნდა გავაკეთოთ ღირსეული შვილების აღზრდისას?

- ბავშვების თანდასწრებით არავის არ უნდა დავსცინოთ, არავის ზურგს უკან ცუდად, უარყოფითად არ უნდა ვილაპარაკოთ.
- ბავშვებთან ცუდი სიტყვა არუნდა გამოვიყენოთ, ხმა არ უნდა ავიმაღლოთ.
- ბავშვს ლაპარაკი არ უნდა გავაწყვეტინოთ, ლაპარაკის დასრულებამდე უნდა მოვუსმინოთ.
- თუკი ბავშვის აზრი სწორი არ იქნება, საჭიროებისამებრ, მას სისწორე ავუხსნათ.
- ბავშვი ღირსეულად თუ არ მოიქცევა, შეცდომის გამოსწორების ნაცვლად, შური არ უნდა ვიძიოთ (შენ სანამ ღირსეულად არ მომექცევი, რასაც მთხოვ, არაფერს შეგისრულებ...).
- პატივისცემის სწავლებისას პატივისცემის ჩარჩოებს არ უნდა გავსცდეთ (არ უნდა ვუთხრათ ამხელა ვირი გახდი და პატივისცემა ვერ ისწავლე.)
- ბავშვები არ უნდა შევაშინოთ უპატივცემულობითა და უსიყვარულობით (არ უნდა ვუთხრათ შენ თუ მე პატივს არ მცემ, ძალიან დაისჯები).
- პატივისცემის საზღვრები ბუნდოვნად არ უნდა დატოვოთ. (ის უღირსი ქცევები რა იყო?)
- პრობლემები და სირთულეები, რომლებიც ბავშვს არ ეხება, არ უნდა გავაგებინოთ.
- უსამართლობის შემთხვევაშიც კი ღირსება არ უნდა დაკარგოთ და დიალოგი უნდა შევძლოთ.

თამაშები პატივისცემის სწავლების შესახებ

მოქმედება 1

“პატივცემული-უპატივცემულო“

თამაშის წესია, **ღირსეული** ქცევისთვის ტაშის დაკვრა, უღირსი საქციელისთვის კი ხელების წინ გაწევით ჩატრიალება. ჯგუფთან ერთად ღირსეული და უღირსი საქციელების სია ჩამოიწერება (პატარა ასაკის ბავშვებში დახატვაც შეიძლება). ჯგუფის ლიდერი აირჩევა.

ჯგუფის ლიდერი სამაგალითო ქცევებს წაიკითხავს: "როცა ლაპარაკობენ, სიტყვის შეწყვეტა კარგი არაა," "უნებართოდ არ შეგვიძლია ავიღოთ სხვისი ნივთი," "სხვის ოთახში შეიძლება მხოლოდ დაკაკუნებით შევიდეთ," "ნაგავი გზაში არ დავყაროთ," "როცა ძმას ვუბრაზდებით, ხმამაღლა არ უნდა ვილაპარაკოთ", ღირსეული მაგალითებისთვის ტაში დაიკვრება, ხოლო უღირსი საქციელისთვის კი ხელები წინ გაიწევა და ჩატრიალდება. ჯგუფის ლიდერი დროდადრო თამაშს ააჩქარებს. ვინც შეცდება, თამაშიდან გავა.

მოქმედება 2

მასწავლებლის პატივისცემა — დრამა

როცა ბავშვებს აუხსნით პატივისცემის მნიშვნელობას, შემდეგ მათთან ერთად მასწავლებლობანა ითამაშეთ.

თავი პირველი

ბავშვებისგან რომელიმე მასწავლებლად აირჩიეთ. თქვენ კი მოსწავლე გახდით, ბავშვების რიგებში გაერიეთ. ბავშვებს მოუწოდეთ, მასწავლებელს არ მოუსმინონ, უპატივცემულონი, გათამამებულნი, იყვნენ. ყველაზე გათამამებული და უპატივცემულო ბავშვის როლი თქვენ ითამაშეთ. ბავშვს, რომელიც მასწავლებელს თამაშობს, საქმე უარყოფითი ქცევით გაურთულეთ. შემდეგ მასწავლებლის როლში მყოფ ბავშვებს ჰკითხეთ, ასეთი საქციელების გამო რას ფიქრობდნენ და თავს როგორ გრძნობდნენ.



თავი მეორე

ბავშვებს ამჯერად დინჯი მასწავლებელი ათამაშეთ, დაარიგეთ, რომ ყველამ პატივისცემით უნდა მოიქცეს. მათ რიგებში შედით და სამაგალითო მოსწავლის როლი თქვენ მოირგეთ. შემდეგ მასწავლებლის როლში მყოფი ბავშვებისგან მოისმინეთ, თუ რას გრძნობდნენ ისინი.

თამაშის შემდეგ სხვა დანარჩენი ბავშვების ერთად ილაპარაკეთ, თუ რომელი იყო კარგი ქცევა. ამგვარად ბავშვები ღირსეული-სა და უპატივცემულო ცნებებს უკეთესად გაიგებენ.

დრამა დანარჩენი მოსწავლეების მონაწილეობით შეიძლება რამოდენიმეჯერ განმეორდეს.



მოქმედება 3

წყალობის პატივისცემა / სახლში თამაში & სკოლაში დრამა

თამაშისთვის საჭიროა:

- რამოდენიმე ხორბლის მარცვალი,
- ერთი სუფრის კოვზი ფქვილი,
- ერთი ნაჭერი პური,

ბავშვებს წყალობის ფასს თამაშით ავუხსნით, წყალობის ფასის სწავლებით შეგვიძლია, ვასწავლოთ, რომ ისრაფი, მფლანგველობა არ უნდა გააკეთოს (შეიძლება სლაიდით ჩვენება)

“პური ჩვენთან საიდან და როგორ მოდის?“

ოჯახის ყველა წევრი მაგიდას მიუსხდა, მაგიდასთან ჯდომის დრო კარგი შანსია საუბრისთვის, განსაკუთრებით ვახშმის დროა ხელსაყრელი. „ბისმილლაჰის“ თქმით, ჭამის დაწყების შემდეგ, დედა ან მამა (სასურველია დედა) ბავშვებს მიმართავს:

“ჭამისას გინდა ჩემთან ერთად თამაში?“ ამით ყურადღებას მიიპყრობს. თამაში ბავშვებისთვის ყველაზე საყვარელი საქმეა, ამიტომაც აირჩევენ. დედა აიღებს ერთ ნაჭერ პურს და ბავშვებს მიმართავს:

“აბა ვინ მეტყვის, ეს პური ჩვენთან საიდან და როგორ მოდის?“ ასე თამაშს დაიწყებს.

ბავშვს იმწამსვე აზრად მოუვა მარკეტი, ან პურის საცხობი. დედა ჰკითხავს შემდეგს და თან ეტყვის:

“იქ საიდან მოდის?“ - ამ კითხვით თან ბავშვებს დაეხმარება. შემდეგ რამოდენიმე ხორბლის მარცვალს აჩვენებს და ეტყვის: “პური აი, ასეთი ხორბლის მარცვლებისგან კეთდება,“ და შემდეგს ჰკითხავს:



“ხორბალი საიდან მოდის?“ - ასე ბავშვს თან მინიშნებებს აძლევს, თან თამაშს უხელმძღვანელებს და პურის თავგადასავალსაც მოუყვება:

“გლეხი ხორბლის მარცვლებს მიწაში თესავს. მიწა თუ არ იქნება, პურის მარცვლები არ აღმოცენდება, ნაყოფს არ მოგვცემს. ხორბლის მარცვლისა და მიწის გამჩენიც უზენაესი ალლაჰია.

მიწაში დათესილ ხორბლის მარცვლებს გაღვივებისთვის წყალი ან წვიმა სჭირდება, ხოლო სითბოსა და სინათლეს კი მზისგან იღებს. ხორბლის მარცვალმა რომ ისუნთქოს, რათქმაუნდა, ჰაერიც სჭირდება.

“წვიმის, მზისა და ჰაერის გამჩენი უზენაესი ალლაჰია. ხორბლის მარცვლები მიწით იკვებება და ასე თავთავს იძლევა. ერთ თავთავში სულ 20-30 ხორბლის მარცვალია. უზენაესი ალლაჰი გლეხს დათესილი ერთი ხორბლის მარცვალში 30 ხორბლის მარცვალს აძლევს.“

“გლეხი ხორბლის თავთავებს აიღებს და ბეღელში წაიღებს, ხორბლის მარცვლებს თავთავისგან გაარჩევს და ტომრებში ჩაყრის. შემდეგ ტომრებს წისქვილში წაიღებს. წისქვილში ხორბალს დააფქვევს, ფქვილად აქცევს. ფქვილს ტომრებში მოათავსებს და პურის საცხობში წაიღებს. მეპურე ერთ ქვაბში ფქვილს ჩაყრის, ზედ წყალს დაასხამს, კარგად მოზელს და ცომს გამოიყვანს. ცომს პატარა ნაჭრებად დაყოფს და შემდეგ შეაგდებს თონეში, რომელშიც ცეცხლი ანთია. თონეში ცომი გამოცხვება და პური გახდება. მეპურე გამომცხვარი პურებისგან ზოგს დახლებზე დააწყობს, ზოგს კი მარკეტებს მიჰყიდის. ჩვენც წავალთ და ყველაზე ახლომდებარე თონეში, ან მარკეტში იმდენ პურს ვიყიდით, რამდენიც გვესაჭიროება.

დედა ბავშვებს შეეკითხება:

- „ეს პური ჩვენთვის რამდენად ფასეულია?
- ეს პური რომ არ ვჭამოთ და ნაგავში ჩავყაროთ, ძალიან ცუდს გავაკეთებთ? რატომ?
- პურის ნაგავში ჩაყრა ფერმერის უპატივცემულობა იქნება? რატომ?

- მეწისქვილის, მეპურის, მარკეტის მიმართ უპატივცემულობას როგორ გამოვხატავთ?
- მამათქვენი ამ პურის ფულის შოვნისათვის საღამომდე მოშაობს და ეს უპატივცემულობა არ იქნება? რატომ?

შეკითხვებს მაგიდასთან მყოფი ყველა თავისი აზრით უპასუხებს.

